



ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:  
„ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში“



mastsavlebeli.ge

მასწავლებლის წიგნი

ციფრული ტრანსფორმაცია  
განათლებაში

თანამედროვე გაკვეთილები



20

50



# მასწავლებელი

№3(112), 2026

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რეიდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:  
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

რედაქციები:  
ეკატერინე ხუციშვილი,  
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:  
ქეთევან ნიკოლიშვილი

დიზაინი:  
ბესიკ დანელია

მხატვარი:  
მამუკა ტყეშელაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:  
სოფიკო ლობჯინიძე,  
მანანა ბოჭორიშვილი,  
მაია ზიბიბაძე, მაია ინსარიძე,  
ნატო ინგოროყვა,  
ნინო ფეტვიაშვილი,  
ნინო მარლიშვილი,  
ნოდარ ცაგარეიშვილი,  
ლელა ეძგვერაძე,  
მარიტა ჩერქეზიშვილი,  
ნატო ქობულაძე, თეა ვახტანგაძე,  
ანი ანუშიძე, ნინო ცხაკაია,  
ციცილო მაზიშვილი,  
გიორგი სილაგავა

საკონტაქტო ინფორმაცია:  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:  
თბილისი,  
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:  
FutureBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.  
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

## ნატო ინგოროყვა



ჩვენ ვცხოვრობთ დროში, სადაც ყოველდღიურად ათასობით პლატფორმა, ალგორითმი და ხელოვნური ინტელექტის სისტემა იზრდის, ერთი შეხედვით, უხილავი, მაგრამ უაღრესად ძვირფასი რესურსისთვის – ჩვენი ყურადღებისთვის. სწორედ ამიტომ, თუ წარსულში სკოლა ცოდნის გადაცემის სივრცე იყო, დღეს ის სულ უფრო მეტად ხდება ყურადღების შენარჩუნებისა და აზროვნების დაცვის სივრცე.

მოსწავლეს შეუძლია, რამდენიმე წამში მიიღოს პასუხი თითქმის ნებისმიერ კითხვაზე: მოძებნოს ინფორმაცია Google-ში, ჰკითხოს ChatGPT-ს, უყუროს ვიდეოგაკვეთილს YouTube-ზე ან გაეცნოს ასობით სტატიას.

ინფორმაციის რაოდენობა უსასრულოდ იზრდება, ადამიანის ყურადღება კვლავ შეზღუდული რჩება. დღე-ღამე ისევ 24 საათს მოიცავს, ტვინის შესაძლებლობები კი უსასრულო არ არის. ამიტომ, თანამედროვე სამყაროში დეფიციტური რესურსი აღარ არის ინფორმაცია – დღეს მთავარი დეფიციტი ყურადღებაა.

გაკვეთილზე ხშირად გვგონია, რომ მოსწავლის ყურადღების გაფანტვა მხოლოდ დისციპლინის ან მოტივაციის პრობლემაა, თუმცა რეალობა გაცილებით რთულია. როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს, მოსწავლის ყურადღებისთვის მას კონკურენციას უწევენ: TikTok, Instagram, YouTube, ონლაინ თამაშები, რეკლამები და ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები.

შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ სოცი-ალურ ქსელებსაც აქვს თავისი „პედაგოგია“. ის მოშხმარებელს ასწავლის სწრაფ რეაგირებას, მცირე მოცულობის ტექსტის აღქმას, სიახლეზე

დამოკიდებულებასა და მყისიერი კმაყოფილების მოლოდინს. სკოლა, თავის მხრივ, ცდილობს განავითაროს სიღრმისეული გააზრება, კონცენტრაცია, მოთმინება და ცოდნის გადაცემისა თუ დამახსოვრების ნერვები.

ამ ორი სამყაროს შეხვედრა ხშირად კონფლიქტურია. თუ მოსწავლე ყოველდღიურად საათობით უყურებს 15 წამიან ვიდეოებს, მისთვის გაცილებით რთული ხდება 15 გვერდიანი ტექსტის გააზრება. ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე თაობა ნაკლებად ინტელექტუალურია; ეს ნიშნავს, რომ მათი ყურადღების ჩვევები სრულიად განსხვავებულ გარემოში ყალიბდება.

რატომ უნდა აინტერესებდეს ეს მასწავლებელს? იმიტომ, რომ ყურადღება სწავლების საფუძველია. ყურადღების გარეშე ვერ მოხდება აღქმა, გააზრება, დამახსოვრება და, შესაბამისად, სწავლა. თუ განათლება ცოდნის მშენებლობის პროცესია, ყურადღება მისი საძირკველია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ხდება არა მხოლოდ საგნის სწავლება, არამედ ყურადღების კულტურის განვითარება.

მასწავლებელი ერთგვარი „ყურადღების არქიტექტორია“. ის ეხმარება მოსწავლეს, შეინარჩუნოს კონცენტრაცია, გაარჩოს მნიშვნელოვანი უმნიშვნელოგან, დაიცვას საკუთარი აზროვნება და იპოვოს ოპტიმალური ბალანსი ტექნოლოგიებსა და ადამიანურ შესაძლებლობებს შორის. სკოლამ ისეთი ადამიანები უნდა აღზრდოს, რომლებსაც საკუთარი ყურადღების, აზროვნებისა და არჩევანის გაცნობიერებული მართვა შეუძლიათ. სწორედ ეს არის XXI საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი წიგნიერება.



**რეკომენდაცია**

**ნატო ქობულაძე**

**51 | მასწავლებელი – ემოციების არქიტექტორი**

ბრაზის მართვისა და კონფლიქტების მოგვარებისას სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ, როგორ მივმართავთ ბავშვებს, რა ფრაზებს ვიყენებთ, რომ სწორი მინიშნება მივცეთ მათ. აღნიშნული საკითხის სწორად გადაჭრაში უფროსებს ყველაზე მეტად შესაბამისი ფრაზების გამოყენება ეხმარება.

**მოსაზრება**

**თეა ვახტანგაძე**

**54 | აქტივობები სასწავლო წლის დასასრულისთვის**

სასწავლო წლის ბოლო მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის არის სტრესული, მათთვის დამახასიათებელია გადაჭარბებული ლელვა, გაკვეთილების ჩატარება კი მასწავლებლებისთვის არის ჩვეულებრივზე მეტად რთული, რადგან მოსწავლეებში დაბალია მოტივაცია, ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეები არიან დაღლილი, გაფანტული, უჭირთ კონცენტრაცია.



**თანამედროვე განათლება**

**სოფიკო ლობჯანიძე**

**4 | კრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის თეორიული მოდელები**

როგორ შევუწყოთ ხელი მრავალფეროვანი და არაშაბლონური იდეების დაბადებას? როგორ წარვმართოთ სასწავლო პროცესი, რათა ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემა მოსწავლეებმა განსხვავებული კუთხით დაინახონ? რა აზროვნებით პროცესები უდევს საფუძვლად შემოქმედებით გადაწყვეტილებებს?

**ხელოვნური ინტელექტი გაკვეთილება**

**ნატო ინგოროყვა**

**21 | ხელოვნური ინტელექტი – მოკარნახე თუ?..**

როცა ხელოვნური ინტელექტი უკვე განათლების ყოველდღიურ ნაწილად იქცა, მთავარი გამოწვევა მასთან სწორი თანამშრომლობის სწავლებაა. AI შეიძლება იქცეს არა მზა პასუხების მოკარნახედ, არამედ აზროვნების სტიმულატორად – ინსტრუმენტად, რომელიც მოსწავლეს აიძულებს, უფრო ღრმად იფიქროს, გადაამოწმოს, იკამათოს და საკუთარი ინტერპრეტაცია შექმნას.

**ზოგადი განათლება**

**ნინო ფეტვიაშვილი**

**25 | ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: ადმინისტრაციული შესაბამისობიდან საკლასო კრატიკამდე**

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინ გადადგმული ნაბიჯია ხარისხის შეფასების ძველი, სამსტანდარტული მოდელიდან ახალ, ოთხსტანდარტიან ჩარჩოზე გადასვლა. ოთხი განახლებული სტანდარტი აფართოებს ამ ჩარჩოს და მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას; სასკოლო კურსულუმს; სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას; მოსწავლეთა მხარდაჭერას.

**განათლების ეროვნული მიზნები**

**ნინო მარდიშვილი**

**34 | ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის ძრილში**

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტია. მისი ინტეგრირებული და მიზნობრივი გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების განვითარებას, არამედ სრულფასოვანი, პასუხისმგებლანი და თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბებასაც.

**ხელოვნური ინტელექტი სასწავლო პროცესში**

**ნოდარ ცაგარეიშვილი**

**38 | GEMINI GEM-ის შესაძლებლობები მასწავლებლისთვის**

Gemini Gem არ არის უბრალო ჩატბოტი. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია წინასწარ „მოამზადოს“, მიანიჭოს კონკრეტული როლი, დაუსახოს მიზანი, მისცეს ინსტრუქცია, მერე კი სისტემატურად გამოიყენოს განმეორებადი ამოცანების გადასაჭრელად, ტესტების შედგენა იქნება ეს, სწავლის სტრატეგიების მორგება, მშობლებთან კომუნიკაცია თუ გაკვეთილის გეგმის შექმნა.

ღირებულებითი განათლება

13 მაია ზიზიბაძე  
ღირებულებათა სწავლება.  
როდის და როგორ ფორმირდება  
ღირებულებები?

ღირებულებით განათლებას მყარი თეორიული საფუძვლები აქვს. ის დგას ცნობილი და პოპულარული თეორიების პრინციპებზე, იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მიდგომებს. მაგრამ მაინც, როგორ გამოვიყენოთ ეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში?

ეროვნული სასწავლო გეგმა

8 მანანა ბოჭორიშვილი  
როგორ ვაქციოთ თემატური  
მატრიცა მასწავლებლის მეგობრად

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასთან ერთად, სასკოლო ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად თემატური მატრიცების (კურიკულუმის შებენიანების) შექმნა-შეცვლა იქცა. რატომ არის, რომ ზოგჯერ საგნობრივი კურიკულუმში აღიქმება როგორც რთული, ტერმინოლოგიით დატვირთული სავალდებულო დოკუმენტი რომელსაც ყოველდღიურ გაკვეთილთან ნაკლები გამოყენება აქვს? სინამდვილეში თემატური მატრიცა მოქნილი შემოქმედებითი რუკაა, სადაც თითოეულ გრაფას თავისი პრაქტიკული დანიშნულება აქვს.

ინტერნეტგაზეთი  
www.mastsavlebeli.ge

27 ანი ანუშიძე  
რთული ქცევა მოსწავლეებში.  
მიზნობრივი საუბრების მნიშვნელობა

28 ნინო ცხაკაია  
სოციომოციური უნარების სწავლება

29 ციცილო ვაგიშვილი  
გონებრივი იერიშის მეთოდზე დაფუძნებული  
სწავლება მორის დრიუნის „მწვანეთითება  
ტისტუს“ მაგალითზე

30 გიორგი სილაგავა  
გუნდის ფორმირების პედაგოგიკა და პრაქტიკა



საგანმანათლებლო რეპორსი

გამოცდილება

42 ლელა ექვთარიძე  
დროის დაზოგვა  
თუ სწავლების ხარისხი?  
როგორ არ დავაზარალოთ ჯგუფური  
მუშაობის შედეგები

ჯგუფებში მუშაობა მიზნობრივი პროცესია და მისი შედეგები არ შემოიფარგლება კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესრულებით. სწავლების ორგანიზების ამ ფორმის გამოყენების უმთავრესი სარგებელია ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა სოციალური ურთიერთთანამშრომლობა, თვითფექტიანობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და შემოქმედებითობა.

17 ვრცელი თემების სწავლებისთვის

ისევე ვდგებით ლიტერატურის სწავლებაში არსებული მარადიული დილემის წინაშე: რა ჯობს – ვასწავლოთ ბევრი და გადარბენით, ზედაპირულად, თუ შედარებით ცოტა და მრავალწახნაგოვნად, სიღრმისეულად? მეტაფორულად რომ ვთქვათ, მივცეთ ბევრი თევზი თუ მივცეთ ანკესი და ვასწავლოთ თევზაობა?

მარიტა ჩერქეზიშვილი

46 PASSIVE VOICE-ის სწავლება

ტრადიციული მეთოდოლოგია, რომელიც უმთავრესად წინადადებების მექანიკურ ტრანსფორმაციასა და აქტიურიდან პასიურში გადაყვანის მშრალ ფორმულაზეა ორიენტირებული, ხშირად მარცხდება. მოსწავლეები სწავლობენ წესს, მაგრამ ვერ ხვდებიან მის ფუნქციურ საჭიროებას.



სოფიკო ლობჯანიძე

# პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის თეორიული მოდელები

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეებს მხოლოდ მზა პასუხების დამახსოვრებას კი არ მოვთხოვთ, არამედ კითხვების დასმას, იდეების გამოთქმას, შეცდომებზე ფიქრსა და სხვადასხვა გზის გამოცდას შევთავაზებთ.

წარმოიდგინეთ, რომ მოსწავლეებს ასეთ ამოცანას აძლევთ: „ოთახში ხართ ჩაკეტილი. გასაღები არ გაქვთ. თქვენ გარშემო მხოლოდ ქალაქი, ფანქარი და პატარა სარკეა. როგორ გამოხვალთ ოთახიდან?“ დიდი ალბათობით, კლასში იმდენი პასუხი გაჩნდება, რამდენი მოსწავლეც გყავთ. ზოგი კარის გაღების პრაქტიკულ გზას მოიფიქრებს, ზოგი დახმარების გამოძახებას ამჯობინებს, ზოგი კი სრულიად მოულოდნელ იდეას შემოგთავაზებთ.

რატომ ხდება ასე? რატომ პოულობს ზოგი მოსწავლე გამოსავალს სწრაფად, ზოგი კი დიდხანს ფიქრობს? რატომ ხედავენ ისინი ერთსა და იმავე პრობლემას სხვადასხვანაირად? რატომ გვთავაზობს ზოგი ორიგინალურ და არასტანდარტულ იდეებს, ზოგი კი ნაცნობ და შაბლონურ გადაწყვეტილებებს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა იმ სააზროვნო პროცესების განხილვა, რომლებიც პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის საფუძველს ქმნის.

## რა არის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა?

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა არის უნარი, რომელიც ადამიანს ეხმარება, პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედოს, წამოაყენოს მრავალფეროვანი და ორიგინალური იდეები, შეაფასოს შესაძლო ალტერნატივები და იპოვოს კონკრეტული სიტუაციისთვის ყველაზე ეფექტიანი გამოსავალი.

ეს უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს, დაინახოს ის შესაძლებლობები, რომლებიც სხვებისთვის შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს; დასვას კითხვები იქ, სადაც სხვები მზა პასუხებს ეძებენ; წარმოიდგინოს პრობლემის გადაჭრის ისეთი გზა, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა უცნაური, უჩვეულო ან შეუძლებელიც კი ჩანდეს.

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა არ გულისხმობს მხოლოდ „სწორი პასუხის“ პოვნას. ის მოიცავს პრობლემის მრავალმხრივ გააზრებას, სხვადასხვა კუთხით დანახვას, იდეების გენერირებას, მათი სარგებლიანობის შეფასებას და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღებას.

მაშასადამე, ეს არის უნარი, როდესაც ადამიანი ერთი და იმავე პრობლემის გადაჭრის პროცესში მონაცვლეობით იყენებს დივერგენტულ და კონვერგენტულ აზროვნებას.

## რატომ არის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი მნიშვნელოვანი?

- იმიტომ, რომ რეალურ ცხოვრებაში კითხვებს ყოველთვის ერთი სწორი პასუხი არ აქვს;
- იმიტომ, რომ გვაძლევს შესაძლებლობას, ვეძებოთ ალტერნატიული გზები და არ შემოვიფარგლოთ ერთი გამოსავლით;
- იმიტომ, რომ გვეხმარება ახალი და არასტანდარტული იდეების გენერირებაში;

- ❗ იმიტომ, რომ გვასწავლის იდეების კრიტიკულად შეფასებას და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვას;
- ❗ იმიტომ, რომ რთულ და გაურკვეველ სიტუაციებში ზრდის ჩვენი გადაწყვეტილებების მოქნილობასა და ეფექტიანობას;
- ❗ იმიტომ, რომ ხელს უწყობს თავდაჯერების, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

სწორედ ამიტომ თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეებს მხოლოდ მზა პასუხების დამახსოვრებას კი არ


მოვთხოვთ, არამედ კითხვების დასმას, იდეების გამოთქმას, შეცდომებზე ფიქრსა და სხვადასხვა გზის გამოცდას შევთავაზებთ.

როგორ შევუწყოთ ხელი მრავალფეროვანი და არაშაბლონური იდეების დაბადებას? როგორ წარვმართოთ სასწავლო პროცესი, რათა ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემა მოსწავლეებმა განსხვავებული კუთხით დაინახონ? რა აზროვნებითი პროცესები უდევს საფუძვლად შემოქმედებით გადაწყვეტილებებს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა თეორიული მიდგომით ცდილობს. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სამ მნიშვნელოვან მოდელს: გენერაციულობის თეორიას, ოსბორნ-პარნისის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის მოდელს და ედვარდ დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდის“ მეთოდს. თითოეული მათგანი განსხვავებული პერსპექტივიდან გვიჩვენებს, როგორ იქმნება ახალი იდეები და როგორ შეიძლება მათი გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად.

გენერაციულობის თეორია

ბევრს მიაჩნია, რომ შემოქმედებითი უნარები თანდაყოლილია და მათი გამოუმუშავება შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერთა დიდი ნაწილი (მაგ., შემოქმედებითობის განვითარების გენერაციულობის თეორია) ამ შეხედულებას არ იზიარებს. გენე-



## როგორ

### შევწყობოთ ხელი

### მრავალფეროვანი

### და არაშაბლონური

### იდებების დაბადებას?

### როგორ წარვმართოთ

### სასწავლო პროცესი,

### რათა ერთი შეხედვით

### გადაუჭრელი

### პრობლემა

### მოსწავლეებმა

### განსხვავებული

### კუთხით დაინახონ?

### რა აზროვნებითი

### პროცესები უღვეს

### საფუძვლად

### შემოქმედებით

### გადაწყვეტილებებს?

რაციულობის თეორია გვეუბნება, რომ შემოქმედებით ადამიანებს აქვთ გარკვეული უნარები, რომლებიც დასწავლადია და მათ გამოუმუშავებაზე შესაძლებელია მუშაობა.

- აქედან გამომდინარე, გენერაციულობის თეორია აყალიბებს რამდენიმე ძირითად თეზისს:
- ყველა ადამიანს აქვს შემოქმედებითი უნარი;
- შემოქმედებით ადამიანებს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები აქვთ;
- ყველას შეუძლია ამ უნარ-ჩვევების დასწავლა და ათვისება.

ამ ძირითად თეზისებზე დაყრდნობით გენერაციულობის თეორია გვთავაზობს ოთხ სტრატეგიას შემოქმედებითობის გასაძლიერებლად.

#### 1. იდეების გენერირება და შენარჩუნება

გენერაციულობის თეორიის მიხედვით, შემოქმედებითი ადამიანები დაჯილდოებული არიან მოზღვავებული იდეების შენარჩუნების უნარით. იდეების შენარჩუნების უნარი გულისხმობს სწრაფად და თავისუფლად გენერირებული იდეების „დაჭერას“ და მათ შენარჩუნებაზე ზრუნვას.

#### 2. გამოწვევებთან გამკლავება

გენერაციულობის თეორიის თანახმად, შემოქმედებით ადამიანებს არ ეშინიათ გამოწვევებისა და მარცხის. გამოწვევის უნარი არის ინდივიდის უნარი, დაუპირისპირდეს სირთულეებს და გამოიყენოს ისინი როგორც განვითარებისა და ინოვაციის შესაძლებლობა. გამოწვევებთან გამკლავება ხელს უწყობს შემოქმედებითი პროცესების გაღრმავებას და მოსწავლეს სტანდარტული მიდგომების გადახედვისა და ახალი გზების ძიებისკენ უბიძგებს.

#### 3. გაფართოების უნარი

გაფართოების უნარი მოიცავს უკვე არსებული იდეების განვითარებას, მოდიფიცირებას და გაფართოებას ისე, რომ მათგან ახალი, უფრო მდიდარი და მრავალმხრივი იდეები წარმოიშვას. ეს უნარი მნიშვნელოვანია იდეების გადამუშავებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების ფორმირებისთვის. გაფართოება გულისხმობს იდეების ღრმა ანალიზს და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

## 4. გარემოცვის უნარი

გარემოცვის უნარი დაკავშირებულია იმასთან, რამდენად შეუძლია ინდივიდს, აღიქვას და გამოიყენოს გარემოში არსებული რესურსები და კონტექსტი იდეების მოსაფიქრებლად. მხარდამჭერი და მასტიმულირებელი გარემო ხელს უწყობს იდეების დაბადებას. შესაბამისად, გარემოზე შეგნებული ზემოქმედება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შემოქმედებითი პროცესის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მაშასადამე, გენერაციულობის თეორია მნიშვნელოვანი საფუძველია პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის უნარების განვითარების პროცესში.

#### ოსბორნ-პარნისის მოდელი

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული საფუძველია ოსბორნ-პარნისის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის მოდელი, რომელიც ალექს ოსბორნმა და სიდ პარნისმა შეიმუშავეს და წარმოადგენს შემოქმედებითი აზროვნების სტრუქტურირებულ ფორმატს. აღნიშნული მოდელი ეფუძნება რწმენას, რომ შემოქმედებითობა უნივერსალურია და მის განვითარებას შეიძლება ხელი შეეწყოს მიზანმიმართული სტრატეგიების მეშვეობით.

ოსბორნ-პარნისის მოდელი მოიცავს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ექვს ეტაპს: მიზნის იდენტიფიცირება, ფაქტების ან მონაცემების შეგროვება, პრობლემის განსაზღვრა, იდეების გენერირება, გამოსავლის პოვნა და მიღებული გადაწყვეტილების დაგეგმვა. თითოეული საფეხური იყოფა დივერგენტულ (იდეების თავისუფალი გენერირება) და კონვერგენტულ (იდეების შეფასება და ფოკუსირება) ფაზებად.

მოდელის თანახმად, პრობლემების ეფექტურად გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია როგორც იდეების გენერირება, ისე მათი შეფასება და ყველაზე რელევანტურზე ფოკუსირება.

#### ედვარდ დე ბონოს

#### „აზროვნების ექვსი ქული“

ედვარდ დე ბონომ საფუძველი ჩაუყარა თეორიას „აზროვნების ექვსი ქული“, რომელიც მხარს უჭერს

მოსწავლეებში მრავალმხრივი პერსპექტივით განპირობებული აზროვნების განვითარებას. ის ხელს უწყობს ინდივიდებსა და ჯგუფებს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებაში.

თეორიაში თითოეულ ქულს თავისი დანიშნულება და ადგილი აქვს:

**თეთრი ქული** – ფაქტები, ობიექტურობა, ლოგიკა. ეს ქული განსაკუთრებით ღირებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაწყვეტილებები და სტრატეგიები აგებული იყოს გადამოწმებულ და მიუკერძოებელ ინფორმაციაზე. ამ ეტაპს შეუძლია, საიმედო საფუძვლად დაედოს შემდგომ ქულებს, რაც უზრუნველყოფს, რომ შემუშავებული სტრატეგიები და გადაწყვეტილებები იყოს არა მხოლოდ კრეატიული და ინოვაციური, არამედ რეალისტური და განხორციელებადი.

**წითელი ქული** – გრძნობები, სუბიექტურობა, ინსტინქტი. წითელი ქულის ტიპის აზროვნებაში ჩართულ მოსწავლეებს შეუძლიათ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი გრძნობები საკითხის მიმართ ლოგიკური გზით მათი ახსნის ან გამართლების გარეშე, რაც გავლენას მოახდენს გადაწყვეტილების წარმატებულობასა თუ წარუმატებლობაზე.

**ყვითელი ქული** – ოპტიმიზმი, პოზიტივი, შესაძლებლობა. აზროვნების ეს ქული ეხმარება მოსწავლეებს, შეისწავლონ სიტუაციის დადებითი ასპექტები, ფოკუსირდნენ შესაძლებლობებზე, სარგებელსა და ღირებულებაზე. ყვითელი ქული შინაგანი ღირებულებაა, დავაბალანსოთ კრიტიკული ან ნეგატიური აზროვნების ბუნებრივი ტენდენცია, რომელიც ხშირად დომინირებს როგორც ადამიანის გონებაში, ასევე ჯგუფურ დისკუსიებში. პოზიტივის ძიებით ეს ქული ხელს უწყობს იმედისა და მოტივაციის განცდის გაღვივებას, რაც შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს ინოვაციების შემოსატანად და პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრისთვის.

**შავი ქული** – საფრთხე, რისკი. შავი ქული ხშირად განიხილება როგორც ნეგატიური, მაგრამ ლოგიკური ტიპის სააზროვნო ქული. მისი მთავარი მიზანია, წაახალისოს იდეების, სტრატეგიებისა

და წინადადებების კრიტიკული შეფასება, რისკებისა და დაბრკოლებების იდენტიფიცირება. შავი ქულის ეფექტურად გამოყენება გულისხმობს გემის ან იდეის უარყოფითი მხარეების ფრთხილ და მეთოდურ შესწავლას. ეს მოიცავს ყველაზე უარესი სცენარის განხილვას, მოსალოდნელი საფრთხის ამოცნობას.

**მწვანე ქული** – შემოქმედებითობა, ფანტაზია და ახალი იდეები. კრეატიული იდეების გასაჩენად მორგებული მწვანე ქული ნებისმიერი იდეის განხილვის თავისუფლებას ანიჭებს მოსწავლეს. როდესაც პრობლემის გადაჭრის პროცესში ეს ქული აქტიურდება, მოსწავლეები ფიქრობენ თავისუფლად, პრაქტიკულობის შეფასებისა და კრიტიკის გარეშე. ეს არის გონებრივი იერიში, რომლის დროსაც იდეების რაოდენობა და მრავალფეროვნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განხორციელებადობა.

**ლურჯი ქული** – პროცესის კონტროლი და კოორდინაცია. ლურჯი ქული აზროვნების პროცესის სამართავად გამოიყენება. ეს არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ექსპერტულ საზროვნო ქულის მითითებების დაცვას. ლურჯი ქულის მთავარი მიზანია, შეინარჩუნოს მკაფიო ყურადღება და მიმართულება დისკუსიის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მისი პერსპექტივიდან აზროვნება პასუხისმგებელია სხვა ქულების აზროვნებათა შეჯამებასა და სინთეზზე, დასკვნების გამოტანასა და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვაზე.

ამ თეორიის მთავარი კონცეფციაა, პრობლემის გადაჭრის პროცესში მოსწავლემ შეძლოს ექვსი განსხვავებული პერსპექტივიდან აზროვნება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა არ არის რიგითი უნარი. ეს არის უნარი, რომელიც განსაზღვრავს, როგორ იფიქრებენ, როგორ იმოქმედებენ და როგორ დაძლევენ გამოწვევებს ადამიანები.

თუ შევძლებთ, ჩვენს მოსწავლეებს განუფითაროთ მრავალმხრივი პერსპექტივით განპირობებული აზროვნება, ჩვენ გავზრდით დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებიც კი არ ელოდებიან პასუხებს, არამედ თავად ქმნიან მათ.



#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Espy, L. (2019, July 30). *The Osborn-Parnes creative problem-solving process*. Project Bliss. <https://projectbliss.net/osborn-arnes-creative-problem-solving-process/>
2. P. Guevara. *Six Thinking Hats: The concept and application*. SafetyCulture. 2023 <https://safetyculture.com/topics/six-thinking-hats/>
3. Hamilton College. *Can creativity be taught?* 2024, January 22 <https://www.hamilton.edu/news/stories/can-creativity-be-taught>
4. Robert Epstein. *Creativity games for trainers: A handbook of group activities for jumpstarting workplace creativity*. McGraw-Hill. 1995
5. University of California, Berkeley. *Creative problem solving: A quick, down-and-dirty handbook*. Inclusive Innovation Connector. 2017 [https://brdo.berkeley.edu/sites/default/files/cps\\_handbook.pdf](https://brdo.berkeley.edu/sites/default/files/cps_handbook.pdf)
6. დ. ჯ. ტრეფინგერი, ს. გ. ისაქსენი, კ. ბრაიან სტიდ-დორვალი. *პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა. გამოცემლობა „ლიოგენ“*, 2006



მანანა ბოქორიძე

# როგორ ვაქციოთ თემატური მატრიცა მასწავლებლის მეგზურად

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, სასკოლო ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად თემატური მატრიცების (კურიკულუმის შაბლონების) შექმნა-შეცვლა იქცა.

რატომ აღიქმება ზოგჯერ საგნობრივი კურიკულუმში რთულ, ტერმინოლოგიით დატ-

ვირთულ სავალდებულო დოკუმენტად, რომელსაც ყოველდღიურ გაკვეთილთან ნაკლები გამოყენება აქვს?

სინამდვილეში თემატური მატრიცა მოქნილი შემოქმედებითი რუკაა, სადაც თითოეულ გრაფას თავისი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ქვემოთ მოცემული თემატური ცხრილი

სწორედ ამ პრინციპით არის აგებული – ის გვეხმარება, საგნობრივი სტანდარტები გადავთარგმნოთ მოსწავლისთვის საინტერესო, კონტექსტურ გამოცდილებად. მოდით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ მას და ვნახოთ, როგორ გარდაიქმნება ცხრილის თითოეული „მშრალი“ სვეტი რეალური, წარმატებული გაკვეთილის კონკრეტულ გზამკვლევადად.

## IV. საგნობრივი კურიკულუმის თემატური ცხრილი

(ცხრილი ივსება ქვემოთ მოცემული შაბლონის მიხედვით)

### თემატური დაგეგმვის ცხრილი

თემა	ძირითადი ცნებები	თემის ქვესაკითხები	სასწავლო კონტექსტი	შემაჯამებელი / კომპლექსური დავალება	რესურსები
აქ ჩაწერე თემის დასახელება (შეუსაბამება სახელმძღვანელოს თავს)	აქ ჩამოთვალე ეს-დან აღებული საკვანძო ცნებები (რას უნდა გაიაზროს მოსწავლე?)	აქ ჩაწერე ის სპეციფიკური შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს ძირითადი ცნების გააზრებაში (ორიენტირებისთვის შეგიძლიათ მიუთითოთ სახელმძღვანელოს შესაბამისი თემები/პარაგრაფები)	„აქ ჩაწერე ის საკვანძო კითხვები, რომლებიც თემას მოსწავლის რეალურ ცხოვრებასთან დააკავშირებს და ცოდნას ფუნქციურს (ტრანსფერულს) გახლის. <b>მათემატიკა (პროცენტი):</b> როგორ დამუხმარება პროცენტის ცოდნა ფასდაკლებების გამოთვლასა თუ ბიუჯეტის დაგეგმვაში? <b>უცხო ენა (ლილოგი):</b> როგორ დამუხმარება ნაწარმი ფრაზები უცხოურ გარემოში/მოგზაურობისას რეალური დიალოგის წარმართვაში? <b>ზუნება/გეოგრაფია (ჰორიზონტის მხარეები):</b> როგორ გამოვიყენო ჰორიზონტის მხარეების ცოდნა უცნობ გარემოში ნავიგაციისა და ორიენტირებისთვის? <b>ლიტერატურა (ნაწარმოები):</b> როგორ დამუხმარება პერსონაჟთა ქვევის განალიზება საკუთარი ღირებულებითი გადაწყვეტილებების მიღებაში?	აქ აღწერე შედეგზე ორიენტირებული დავალება (რას შექმნის მოსწავლე (კომიქსი, დიალოგი, პოსტერი, მონოლოდი, მოსაზრება, სტატია, შეჯამება, ნახატი, ნახაზი, ესე, რუკა, გეგმა, სქემა, პრეზენტაცია... თუ რას? 2-3 წინადადებით იდეის დონეზე!	აქ მიუთითე სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსები (ტექსტი, ვიზუალი, ციფრული წყარო)

ცარიელი სვეტების – „თემის ქვესაკითხები“, „სასწავლო კონტექსტი“ – დანახვა მასწავლებლებში დაბნეულობას იწვევს. როგორ დავძლიოთ ეს დაბნეულობა? როგორ ვაქციოთ კურიკულუმის ჩარჩო მასწავლებლისთვის რეალურ საყრდენად, ხოლო ექსპერტისთვის – უზადო დოკუმენტად?

გამოსავალი მარტივია: ჩვენ უნდა ვიპოვოთ ოქროს შუალედი მეთოდოლოგიურ თეორიასა და რეალურ პრაქტიკას შორის.

### 1. „მასწავლებლის რეალობის სვეტები“

კონსტრუქტივისტული სწავლება ითხოვს, რომ „თემის ქვესაკითხი“ გამომდინარეობდეს გრძელვადიანი მიზნებიდან (ცნებებიდან) და არა კონკრეტული სახელმძღვანელოს შინაარსიდან. თუმცა, რეალობაში, როდესაც პედაგოგი სრულიად შორდება წიგნის სტრუქტურას, ის ხშირად იბნევა და უჭირს იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა ჩაწეროს ამ სვეტში.

იმისათვის, რომ მოვხსნათ ეს ფსიქოლოგიური ბარიერი, შაბლონის დონეზე უნდა შევთავაზოთ საყრდენი. მინიშნება ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „აქ ჩაწერე ის საუკეთესო შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს ძირითადი ცნების გააზრებაში (ორიენტირისთვის შეგიძლიათ მიუთითოთ სახელმძღვანელოს შესაბამისი თემები/პარაგრაფები)“.

ამ მცირე ჩანამატით მასწავლებელი პოულობს ნაცნობ გზამკვლევს (სახელმძღვანელოს), ხოლო დოკუმენტის მთავარ აქცენტად მაინც ცნება და შინაარსი რჩება. ეს არის მიდგომა, სადაც წიგნი ხდება ინსტრუმენტი და არა გაკვეთილის ერთადერთი წარმმართველი.

### 2. სასწავლო კონტექსტი – ცოდნის ღირებულება და ტრანსფერი

კიდევ ერთი ბუნდოვანი ტერმინი „სასწავლო კონტექსტი“. მასწავლებლებს ხშირად ჰვონიათ, რომ აქ გარემო ან თემის მოკლე შინაარსი უნდა აღწერონ. რეალურად კი, ეს სვეტი პასუხობს მოსწავლის მთავარ ეგზისტენციალურ კითხვას: „რაში მჭირდება ეს ცოდნა ცხოვრებაში?“ ეს არის ცოდნის ღირებულებითი (პირობისეული) კომპონენტი.

კონტექსტი საუკეთესოდ ვლინდება თემატური საკვანძო შეკითხვებით, რომლებიც სასწავლო მასალას ფუნქციურად (ტრანსფერულს) აქცევს. იმისათვის, რომ შაბლონი ყველა საგნის პედაგოგისთვის სწრაფად აღქმადი გამხდარიყო, ჩვენ შევიმუშავეთ უნივერსალური, მრავალპროფილური მინიშნება კონკრეტული ნიმუშებით:

**მათემატიკა (პროცენტი):**  
როგორ დამეხმარება პროცენტის ცოდნა მაღაზიაში ფასდაკლებების გამოთვლაში ან თუ ოჯახური ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაში?

**უცხო ენა (დიალოგი):**  
როგორ დამეხმარება ნასწავლი ფუნქციური ფრაზები უცხოურ გარემოში/მოგზაურობისას რეალური დიალოგის წარმართვაში?

**ბუნება/გეოგრაფია (ჰორიზონტის მხარეები):**  
როგორ გამოვიყენო ჰორიზონტის მხარეების ცოდნა უცნობ გარემოში ნავიგაციისა და ორიენტირებისთვის?

**ლიტერატურა (ნაწარმოები):**  
როგორ დამეხმარება პერსონაჟთა ქცევის გაანალიზება საკუთარი ღირებულებითი გადაწყვეტილებების მიღებაში?

როდესაც მასწავლებელი ხედავს ამ ნიმუშებს, მას უმარტივდება აღქმა. ის ხვდება, რომ „კონტექსტი“ არის არა მშრალი თეორია, არამედ მოსწავლის ყოველდღიურობასთან დაკავშირებული ნიდი.

### 3. შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვნება

შედეგზე ორიენტირებული სწავლება შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებს ეფუძნება. შაბლონში მხოლოდ ზოგადი ფრაზის – „აღწერე დავალება“ – ჩაწერა საკმარისი არ არის. მასწავლებელს თვალწინ უნდა ჰქონდეს იმ შემოქმედებითი პროდუქტების მზა კატალოგი, რომლებითაც მოსწავლეს საკუთარი გააზრების ჩვენება შეუძლია.

როდესაც შაბლონში, ფრჩხილებში პირდაპირ ვუთითებთ: (კომიქსი, დიალოგი, პოსტერი, მონოლოგი, მოსაზრება, სტატია, შეჯამება, ინფოგრაფიკა, ესე, პრეზენტაცია...) და ვამატებთ პირობას: „აღწერე 2-3 წინადადებით იდეის დონეზე“, პედაგოგი თავისუფლდება გრძელი სცენარების

როდესაც მასწავლებელი ლოგიკურ ჯაჭვს დაინახავს, მას ყოველგვარი პროფესიული შფოთვა მოეხსნება. ის ნათლად მიხვდება, რომ კარგად დაგეგმილი და შევსებული თემატური მატრიცა ფორმალური ვალდებულება კი არ არის, არამედ თავადვე აშენებს და აიოლებს შეფასების პროცესს.

**იმისათვის, რომ შეფასება ფორმალობად არ იქცეს, პედაგოგმა უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ცხრილები მოქნილი კონსტრუქტორია. მასწავლებელს ყოველდღიურ პრაქტიკაში შეაქვს მხოლოდ მიმდინარე თემის კონკრეტული შინაარსი, ხოლო თავად მატრიცული სტრუქტურა უცვლელ, მყარ საყრდენად რჩება.**

წერის ვალდებულებისგან. ის კონცენტრირდება მთავარზე - პროდუქტსა და შედეგზე.

**საკავთორიზაციო ეფექტი**

ასეთი მიდგომით გადაშეშავებული კურსულუმის შაბლონი სკოლაში ერთდროულად ორ უმნიშვნელოვანეს მიზანს აღწევს:

1. **ჰუმანურობა და პრაქტიკულობა:** მასწავლებელი ხალისით, შიშის გარეშე გეგმავს სასწავლო პროცესს, რადგან დოკუმენტის ენაზე „ლაპარაკობს“ და აძლევს მზა საყრდენებს.
2. **უზადო საექსპერტო ხარისხი:** ინსტიტუციური ავტორიზაციის ან აკრედიტაციის დროს, ექსპერტთა ჯგუფი იღებს შესაბამისი სტანდარტის მატრიცებს, სადაც მკაფიოდ ჩანს მესამე თაობის ესგ-ს კონსტრუქტივისტული იდეები: ცნებებზე დაფუძნებული სწავლება, ცოდნის ტრანსფერი და ფუნქციური უნარების განვითარება.

საბოლოო ჯამში, კურსულუმში არ უნდა იყოს სკოლის კედლებში გამოკვეთილი ბიუროკრატია. ის უნდა გახდეს ცოცხალი, მომხმარებელზე (მასწავლებელზე) მორგებული მეგზური, რომელიც გაკვეთილის ხარისხის რეალურ ტრანსფორმაციას მოახდენს.

**მატრიცის სვეტები და შეფასების კრიტერიუმები: როგორ შევქმნათ რეალური შეფასების რუბრიკა?**

იმისათვის, რომ შეფასების რუბრიკა არ იქცეს ინტერნეტი-

დან, მასწავლებლის წიგნიდან, გზამკვლევიდან ბრმად გადმოწერილ, უსარგებლო ცხრილად, პედაგოგმა მკაფიოდ უნდა დაინახოს, რომ რუბრიკის კრიტერიუმები პირდაპირი, მათემატიკური სიზუსტით გამომდინარეობს ჩვენ მიერვე შევსებული თემატური მატრიცის კონკრეტული სვეტებიდან.

ნებისმიერი სრულყოფილი, შედეგზე ორიენტირებული რუბრიკა სულ რაღაც სამი ძირითადი საყრდენისგან შედგება და თითოეულ მათგანს მატრიცაში თავისი კონკრეტული „სვეტი“ აქვს:

**1. სამიზნე ცნების გააზრება (ედება სვეტს: „ძირითადი ცნებები“)**

ეს არის შეფასების გრძელვადიანი მიზანი, სადაც ჩვენ SOLO ტაქსონომიის დონეებს ვიყენებთ. თუ მატრიცაში სამიზნე ცნებად გაქვთ, მაგალითად, „კომუნიკაცია“, „ენობრივი კონსტრუქცია“ ან „ტექსტი“, რუბრიკის ამ ნაწილში აფასებთ, თუ როგორ ღრმავდება მოსწავლის მიერ სწორედ ამ ცნების არსებითი მახასიათებლების გააზრება – ფაქტების ზეპირად ჩამოთვლის დონეზეა ის (უნისტრუქტურული/მულტისტრუქტურული), თუ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ხედავს და აანალიზებს (მიმართებითი დონე).

**2. შემოქმედებითი პროდუქტის ხარისხი (ედება სვეტს: „შემავსებელი/კომპლექსური დავალება“)**

აქ ფასდება უშუალოდ ის პროდუქტი, რაც მასწავლებელმა დავალების პირობაში განსაზღ-

ვრა და ჩაწერა. თუ მატრიცის ამ სვეტში აირჩიეთ, მაგალითად, *კომიქსი, დიალოგი, პოსტერი, წერილი ან ესე, რუბრიკის* ეს კრიტერიუმში ამოწმებს, რამდენად იცავს მოსწავლე ამ კონკრეტული უნარისა და ფორმატის სტრუქტურულ მოთხოვნებს, ენობრივ ნორმებსა და დიზაინს.

**3. ცოდნის ტრანსფერი და ფუნქციურობა (ედება სვეტს: „სასწავლო კონტექსტი“)**

ეს არის პასუხი თქვენ მიერ დასმულ საკვანძო კითხვებზე და იმის შემოწმება, თუ როგორ გააცოცხლა მოსწავლემ დავალებაში შეთავაზებული რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი ან სოციალური როლი.

**მაგალითად:** თუ მატრიცაში „სასწავლო კონტექსტის“ სვეტში დასვით ასეთი კითხვა: „როგორ/რატომ გამოგადგება დიალოგის თარგმნის უნარი მოგზაურობისას ან უცხოელი სტუმრის მიღებისას?“ და კომპლექსური დავალების პირობად აირჩიეთ როლი: „იყავი თარგმანი“, რუბრიკის ამ მესამე კრიტერიუმში ფასდება არა უბრალოდ სიტყვების ან გრამატიკული წესების მშრალი ცოდნა, არამედ ის, თუ რამდენად დამაჯერებლად უპასუხა მოსწავლის ნამუშევარმა ამ მთავარ შეკითხვას. ფასდება, შეძლო თუ არა მან ორ მხარეს შორის საკომუნიკაციო ხიდის გადგება, აზრის ზუსტად თარგმნა, ემოციის და განწყობის გამოხატვა და ენის პრაქტიკული გამოყენება.

რელურად კი სასწავლო კონტექსტის სვეტში დასმული კითხვა პირდაპირ ხდება შეფასების რუბრიკის სათაური!

**შეფასების რუბრიკა  
კონტაქსტისთვის:  
„იყავი თარჯიმანი“**

*(კრიტიკიუმი III: ცოდნის  
ფუნქციური გამოყენება  
და ტრანსფერი რეალურ  
კონტექსტში)*

თავიდან ამ რუბრიკების მექანი-  
კური, გაუზრებელი გადაწერა?  
იმისათვის, რომ შეფასება ფორ-  
მალადა არ იქცეს, პედაგოგმა  
უნდა გააცნობიეროს, რომ ეს  
ცხრილები მოქნილი კონსტრუქ-  
ტორია. მასწავლებელს შეაქვს  
შოლოდ მიმდინარე თემის

უპასუხოს, ხშირად აუცილებ-  
ბელია ხარისხობრივი (SOLO)  
მაჩვენებლების კონვერტირება  
განმსაზღვრელ, 4-დონიან  
ნიშნებში (ქულებში).  
თუ ჩვენს მატრიცაში (ნიშნულად)  
გამოყენებულ მათემატიკის

შეფასების დონეები	მოსწავლის მიღწევის აღწერა (კრიტიკიუმები)	განმავითარებელი კომენტარი (უკუკავშირი პედაგოგისთვის)
<b>დაბალი დონე</b> <i>(პრესტრუქტურული / უნისტრუქტურული)</i>	მოსწავლე ვერ შედის თარჯიმნის როლში. მას უჭირს ნასწავლი ენობრივი მასალის პრაქტიკული გამოყენება; თარჯიმნის შოლოდ ცალკეულ, იზოლირებულ სიტყვებს კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, რის გამოც კომუნიკაცია ვერ შედგა.	<i>„შენ შეეცადე ცალკეული სიტყვების გავებას, რაც კარგია. თუმცა, როგორც თარჯიმანს, დაგჭირდება მთლიან აზრზე დაკვირვება. მოდი, ერთად გვადოთ ამ მარტივი ფრაზის გადატანა, რომ ორმა ადამიანმა ერთმანეთს გაუგოს.“</i>
<b>საშუალო დონე</b> <i>(მულტისტრუქტურული)</i>	მოსწავლე ცდილობს მოერგოს როლს და თარჯიმნის ძირითად ტექსტს/ დიალოგს, თუმცა მისი თარჯიმანი არის სიტყვასიტყვითი (მექანიკური). ის ვერ ითვალისწინებს სოციალურ კონტექსტს, კულტურულ ნიუანსებს ან თავაზიანობის ფორმებს, რაც კომუნიკაციას უფერულს ხდის.	<i>„შენ წარმატებით გადათარგმნე ძირითადი ინფორმაცია და სიტყვები. ახლა, როგორც ნამდვილმა თარჯიმანმა, სცადე, ეს ფრაზები უფრო ბუნებრივი და თავაზიანი ფორმით თქვა, რათა რეალურ სიტუაციაში კომუნიკაცია უფრო მეგობრული გახდეს.“</i>
<b>მაღალი დონე</b> <i>(მიმართებითი)</i>	მოსწავლე სრულყოფილად შედის თარჯიმნის როლში. ის წარმატებით ახდენს ცოდნის ტრანსფერს: აზრობრივად და ზუსტად გადააქვს დიალოგი ერთი ენიდან მეორეზე, იცავს საკომუნიკაციო სიტუაციის წესებს, ავლენს ფუნქციურ წიგნიერებას და მარტივად ხდება ხიდი ორ მხარეს შორის.	<i>„ბრწყინვალე ნამუშევარია! შენ იდეალურად მოირგე თარჯიმნის ამპლუა. შეძელი არა უბრალოდ სიტყვების, არამედ ზუსტი აზრისა და ემოციის გადატანა. შენი დახმარებით რეალური საკომუნიკაციო ამოცანა სრულად გადაიჭრა!“</i>
<b>უმაღლესი დონე</b> <i>(გაფართოებული აბსტრაქტული)</i>	მოსწავლე ავლენს უმაღლესი დონის შემოქმედებით ტრანსფერს. ის არა მხოლოდ იდეალურად ასრულებს თარჯიმნის როლს, არამედ დამოუკიდებლად უძღვრება გაუთვალისწინებელ საკომუნიკაციო ბარიერებს (მაგ: პოულობს სინონიმებს, იყენებს ადეკვატურ იდიომებს, კულტურულ ეკვივალენტებს) და ორიგინალურად მართავს დიალოგს.	<i>„ეს უმაღლესი პილოტაჟია! შენ აჩვენე ნამდვილი პროფესიონალი თარჯიმნის უნარები. თავისუფლად და შემოქმედებითად გამოიყენე ენა ახალ, რთულ კონტექსტში, შეურჩიე ზუსტი კულტურული შესატყვისები და კომუნიკაცია ხელოვნებად აქციე.“</i>

როდესაც მასწავლებელი ამ ლოგიკურ ჯაჭვს დაინახავს, მას ყველანაირი შიში მოეხსნება. ის მიხვდება, რომ კარგად შეესებუ-  
ლი თემატური მატრიცა თავადვე კარნახობს და აშენებს შეფასების რუბრიკას. აქჩნდება მთავარი გამოწვევა: როგორ ავიცილოთ

კონკრეტული შინაარსი, ხოლო თავად სტრუქტურა უცვლელ საყრდენად რჩება.  
თუმცა, იმისათვის, რომ დოკუმენტმა უზალო საექსპერტო ხარისხი შეიძინოს და სკოლის შიდა რეგულაციებსაც

მაგალითს (პროცენტები და ოჯახური ბიუჯეტი) გადავიტანთ ერთიან, მათემატიკურ სიზუსტეზე დაფუძნებულ ანალიტიკურ ბადეში, მივიღებთ სრულყოფილ შეფასების ინსტრუმენტს. აქ ვერთიკალურად მკაფიოდ იკითხება ჩვენი მატ-

რიცის სამივე საყრდენი (ცნება, პროდუქტი, კონტექსტი), ხოლო ჰორიზონტალურად – ოფიციალური 10-ქულიანი სისტემა:

**მათემატიკის  
4-დონიანი  
ანალიტიკური  
რუბრიკა**

*(ინტეგრირებული სამიზნე ცნებებთან, კომპლექსურ დავალებასთან და სასწავლო კონტექსტთან)*

მას ყოველგვარი პროფესიული შფოთვა მოეხსნება. ის ნათლად მიხვდება, რომ კარგად დაგეგმილი და შეესებული თემატური მატრიცა ფორმალური ვალდებულება კი არ არის, არამედ თავადვე აშენებს და აიოლებს შეფასების პროცესს.

იმისათვის, რომ შეფასება ფორმალურად არ იქცეს, პედაგოგმა უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ცხრილები მოქნილი კონსტრუქტორია. მასწავლებელს

თემის კონკრეტული შინაარსი, ხოლო თავად მატრიცული სტრუქტურა უცვლელ, მყარ საყრდენად რჩება.

საბოლოო ჯამში, სასკოლო კურიკულუმი აღარ იქნება საქალაქში გამოკეტილი ბიუროკრატია. ის იქცევა ცოცხალ, მომხმარებელზე (მასწავლებელზე) მორგებულ მეგზურად, რომელიც ორიენტირებულია მასწავლის რეალურ განვითარებაზე და

შეფასების კრიტერიუმები (ჩვენი მატრიცის საყრდენები)	1-4	5-6	7-8	9-10
<p>I. სამიზნე ცნების გააზრება</p> <p><i>(რაოდენობრივი აზროვნება / კანონზომიერება)</i></p>	<p>მოსწავლისთვის გაუგებარია პროცენტის, როგორც მათემატიკური რაოდენობის არსი; მასწავლებლის გარეშე ვერ ახდენს ციფრებით მანიპულირებას.</p>	<p>მოსწავლეს ესმის პროცენტის არსი, ზეპირად იცის წესები და ფორმულები, თუმცა უჭირს მათემატიკური კანონზომიერებების დანახვა სხვადასხვა მონაცემს შორის.</p>	<p>მოსწავლე ნათლად ხედავს მათემატიკურ კანონზომიერებებს; აანალიზებს, თუ როგორ მოქმედებს ერთი მათემატიკური კომპონენტის (მაგ. ხარჯის) პროცენტული ცვლილება მთლიან რაოდენობაზე.</p>	<p>მოსწავლე აკეთებს ღრმა მათემატიკურ განზოგადებას; თავისუფლად მანიპულირებს რაოდენობრივი კანონზომიერებებით, გამოაქვს აბსტრაქტული დასკვნები და ხედავს მათემატიკურ ლოგიკას გლობალურ ქრილში.</p>
<p>II. შემოქმედებითი პროდუქტის ხარისხი</p> <p><i>(პრეზენტაცია / ბიუჯეტის მოდელი)</i></p>	<p>შექმნილი ბიუჯეტის მოდელი სრულიად არასრულია ან მცდარია; დარღვეულია პრეზენტაციის სტრუქტურა და ფორმატი, პროდუქტი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას.</p>	<p>ბიუჯეტის სქემა შედგენილია საბაზისო დონეზე, თუმცა ვიზუალური გაფორმება და პრეზენტაციის სტრუქტურა ერთფეროვანია, უშვებს მექანიკურ შეცდომებს გამოთვლებში.</p>	<p>საოჯახო ბიუჯეტის მოდელი სტრუქტურულად გამართული და დასრულებულია; მათემატიკური გამოთვლები უშეცდომოა, პრეზენტაცია ვიზუალურადაც და შინაარსობრივადაც ხარისხიანია.</p>	<p>პროდუქტი გამოირჩევა უმაღლესი შემოქმედებითი ორიგინალურობით; ბიუჯეტის მოდელი იმდენად დახვეწილი, მოქნილი და პროფესიულია, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას სანიმუშო რეალურ პროექტად.</p>
<p>III. ცოდნის ტრანსფერი რეალურ კონტექსტში</p> <p><i>(მალაზიის ფასდაკლებები და ოჯახური ეკონომიკა)</i></p>	<p>მოსწავლე ვერ აკავშირებს მათემატიკურ ოპერაციებს რეალურ ცხოვრებასთან; ვერ ითვლის ფასდაკლებას მაღაზიაში და ვერ ხედავს პროცენტის პრაქტიკულ საჭიროებას.</p>	<p>მოსწავლე მხოლოდ სახელმძღვანელოს მარტივი, შაბლონური ამოცანის დონეზე ითვლის მაღაზიის ფასდაკლებას, თუმცა უჭირს ამ ცოდნის მისადაგება ოჯახური ბიუჯეტის რეალურ საჭიროებებზე.</p>	<p>მოსწავლე დამოუკიდებლად და წარმატებით ახდენს ცოდნის ტრანსფერს: სწორად გეგმავს საოჯახო ეკონომიკას, ითვლის ფასდაკლებებს და პრაქტიკულად იყენებს მათემატიკას ყოველდღიური დანახოვის შესაქმნელად.</p>	<p>მოსწავლე ავლენს უმაღლესი დონის პრაქტიკულ ტრანსფერს; დამოუკიდებლად მართავს კრიზისულ ეკონომიკურ სიტუაციებს ბიუჯეტში, გვთავაზობს დაზოგვის ინოვაციურ სტრატეგიებს და იღებს ოპტიმალურ ფინანსურ გადაწყვეტილებებს.</p>

როდესაც მასწავლებელი ამ ლოგიკურ ჯაჭვს დაინახავს,

ყოველდღიურ პრაქტიკაში შეაქვს მხოლოდ მიმდინარე

გაკვეთილის ნამდვილ ტრანსფორმაციაზე.





მაია ზიბზიბაძე

# ღირებულებათა სწავლება. როდის და როგორ ფორმირდება ღირებულებები?

ეს მნიშვნელოვანი კითხვაა და მასზე პასუხის გასაცემად ცოტაოდენი თეორია დაგვჭირდება. ცნობილია, რომ ღირებულებების ფორმირება იწყება ადრეულ ასაკშივე, ოჯახური და სოციალური გავლენების შედეგად. პიროვნების მორალური განვითარების კანონზომიერებებზე მრავალი ცნობილი თეორია გვესაუბრება.

ჟან პიაჟეს კოგნიტიური განვითარების თეორია კარგად ცნობილი კონცეფციაა, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება თანამედროვე პედაგოგია. შედარებით ნაკლებად ცნობილია მისი ნაშრომების ადრეული მიმართულება, რომელიც ბავშვის მორალურ განვითარებას ეხება (Jean Piaget, The Moral Judgment of the Child, 1932). ამ უკანასკნელის მიხედვით, მორალური განვითარება ეტაპობრივია და ეყრდნობა კოგნიტიურ განვითარებას. პიაჟემ ორი ეტაპი გამოყო: 5-დან 10 წლამდე პერიოდი, როდესაც ბავშვები წესებს აღიქვამენ უცვლელ, აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მოცემულობად და 10 წლის შემდგომი პერიოდი, როდესაც წესები ხდება შეთანხმების საგანი და ექვემდებარება განსჯას.

ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორია Lawrence Kohlberg, Essays on Moral Development, 1981-1984) ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონცეფციაა, რომელიც განმარტავს, როგორ ყალიბდება ადამიანის მორალური აზროვნება და ღირებულებები დროთა განმავლობაში. კოლბერგი ამტკიცებდა, რომ მორალური განვითარება არა მხოლოდ სოციალური ნორმების ათვისებას, არამედ რაციონალური მსჯელობის ეტაპობრივ ფორმირებასაც გულისხმობს. მისი თეორიის მიხედვით, ღირებულებითი

სისტემის ჩამოყალიბებისას პიროვნება ნაბიჯ-ნაბიჯ გადის მორალური განვითარების გზას პრეკონვენციურიდან კონვენციურ დონემდე.

კოლბერგის თეორიამ განვითარება პოვა ჯეიმს რესტთან (James Rest, Postconventional Moral Thinking, 1999), რომელმაც შეიმუშავა ე.წ. მორალური განსჯის ჩარჩო. რესტი ფოკუსირდება მორალური ქცევის წინამძღვრებზე, რომლებიც, მისი აზრით, ოთხი კომპონენტისგან შედგება: მგრძობელობა, განსჯა, მოტივაცია, ქცევა. რესტის მიხედვით:

- 🍎 მორალური მგრძობელობა მნიშვნელოვანია შესაბამისი პრობლემის ამოცნობისთვის;
- 🍎 განსჯა გულისხმობს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ მორალურ პრინციპებზე დაფიქრებას;
- 🍎 მოტივაცია წარმოადგენს პრიორიტეტის მინიჭებას კონკრეტული მორალური გადაწყვეტილებისთვის და არა საკუთარი ინტერესისა და საზოგადოებაში მიღებული ნორმებისთვის;
- 🍎 ქცევა მოიზრებს განსჯის შედეგისა და მიღებული გადაწყვეტილების მოქმედებაში გამოხატვას.

ამ ოთხის ერთობლიობა ქმნის თანმიმდევრულ პროცესს, სადაც თითოეული კომპონენტი მომდევნო ეტაპის წინამორბედი. მორალური განსჯის ჩარჩო ხსნის, როგორ მიდის ადამიანი მორალურ და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ქმედებებისკენ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, განხილულ თეორიებს აქტუალობა არ დაუკარგავს. მათ

**ღირებულებით განათლებას მყარი თეორიული საფუძვლები აქვს. ის დგას ცნობილი და პოპულარული თეორიების პრინციპებზე, იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მიდგომებს. მაგრამ მაინც, როგორ გამოვიყენოთ ეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში?**

აქვთ ის საერთო მახასიათებლები, რომლებსაც, პრაქტიკულად, ეყრდნობა კიდევ თანამედროვე პედაგოგია:

- 🍏 ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება ეტაპობრივი პროცესია, სადაც ყოველი ეტაპი აუცილებელი საფუძველია მომდევნოსთვის;
- 🍏 მორალური განვითარება ეფუძნება კოგნიტიურ განვითარებასა და განათლებას, შესაბამისად, მათ გარეშე ის ძალიან მოიკოჭლებს;
- 🍏 მორალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობები – თამაში, დისკუსია, ნებისმიერი სახის ინტერაქცია მშობლებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან და ა.შ.;
- 🍏 ღირებულებების გაცნობიერებული გათავისებისთვის მნიშვნელოვანია ანალიზი, მსჯელობა, არგუმენტაცია, პოზიციის ახსნა.

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების მორალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში იწყება, ის განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება მოზარდობის პერიოდში, როდესაც აქტიურად ეძებს საკუთარ იდენტობას და ავითარებს საკუთარ მორალურ ხედვას (Tompson et al, 2025.; Daniel E et al, 2023, Ahn et al, 2022). მოზარდობის დიდ ნაწილს მოზარდი სკოლაში ატარებს, შესაბამისად, სასკოლო გარემოს, ადამიანებსა და კონკრეტულ სასწავლო საგნებს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ღირებულებების შექმნასა თუ განმტკიცებაში.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად ყველა საგანს აქვს ეთიკური და სოციალური განზომილება, რომლითაც მჭიდროდ უკავშირდება რეალურ ცხოვრებასა და თანამედროვეობას. შესაბამისად, თითოეული საგანი იძენს აქტუალური სასწავლო კონტენტის მნიშვნელობას, რითაც შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პიროვნების ღირებულებითი სისტემის ფორმირებაში.

### რომელი ღირებულებებია ძირითადი?

- როგორც სტატიის პირველ ნაწილში ითქვა, გადის რა ცნობიერების განვითარების ეტაპებს ადამიანში ყალიბდება:
- 🍏 პრაგმატული ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია პირადი კომფორტისთვის/ ეფექტიანობისთვის;
- 🍏 ინსტრუმენტული ღირებულებები, რომლებიც პიროვნებას სოციალური/ კარიერული სარგებლის მიღებაში ეხმარება;



მორალური ღირებულებები, რომლებიც ექვემდებარება უნივერსალურ ეთიკას ნებისმიერ ვითარებაში.

ყველა ჩამოთვლილი განვითარების აუცილებელი ეტაპია. შესაბამისად, კითხვა ღირებულებათა პრიორიტეტულობის შესახებ იმთავითვე არასწორია, კონკრეტულ კონტექსტში ყველა ღირებულება მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, მიიჩნევა, რომ მორალური ღირებულებების გამოუმუშავება და მათი ცხოვრებაში გადატანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრაგმატული და ინსტრუმენტული ღირებულებებისა. საკუთარ თავსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში ცხოვრება სწორედ მორალური რანგის ღირებულებების ფლობით არის შესაძლებელი, ისეთებისა, როგორცაა პასუხისმგებლობა, პატივისცემა, მზრუნველობა, სამართლიანობა, გულწრფელობა, თანაგრძნობა, მშვიდობისკენ სწრაფვა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში ეს ღირებულებები აღქმულ იქნეს არა „შესასწავლ მასალად“, არამედ კონტექსტად, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, თავად მივიდეს ლოგიკურ დასკვნამდე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ღირებულებები მივაწოდოთ არა მტკიცებითი ფორმით (მაგალითად: „სამართლიანობა მნიშვნელოვანია ყველასათვის!“), არამედ მივცეთ ამ დასკვნის გამოტანის საშუალება კონკრეტული კონტექსტის განხილვის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში „ღირებულებათა სწავლების“ ნებისმიერი მცდელობა აღქმულ იქნება სხვისი მოსაზრებების თავს მოხვევად და შესაძლოა, საპირისპირო ეფექტიც მივიღოთ (Patry et al, 2007).

ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია ღირებულებითი განათლების პედაგოგის აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ისე სრულიად ახალ და კვლევაზე დაფუძნებულ მეთოდებს. არსებობს არაერთი სტრატეგია და თეორიული ჩარჩო, რომლებიც ამ მიზნით გამოიყენება.

ქვემოთ მოცემულია ღირებულებითი განათლებაში გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების ჩამონათვალი მოკლე განმარტებებითან ერთად:

1. დისკუსიაზე დაფუძნებული მიდგომები – უპირველეს ყოვლისა, ეს არის კარგად

ცნობილი სოკრატული დიალოგი ანუ მართული კითხვები დასკვნამდე მისასვლელად, ურთიერთსაპირისპირო ღირებულებების შემცველი რეალური ქეისების განხილვა და არგუმენტირება დილემების გადაჭრის მიზნით.

2. თხრობითი, ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომები გულისხმობს მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების გამოყენებას ეთიკური ასპექტების განსახილველად, ადამიანური გამოცდილების გასაანალიზებლად, რაც კარგად ცნობილი და დამკვიდრებული გზაა. მოხერხებულია ამისთვის მოთხრობების, ბიოგრაფიების, იკავების გამოყენება და პერსონაჟების დახასიათება ღირებულებით კონტექსტში.

3. მორალური განვითარების თეორიებზე დაფუძნებული მიდგომები ეყრდნობა კოლბერგისეული დილემების შეთავაზებას და მორალური აზროვნების განვითარებას. ამის მიზანია რესტის ოთხკომპონენტიანი მოდელის შესაბამისად მორალური მგრძობიანობის გაფაქიზება, ფასეულობებზე დაფიქრება, მორალურად გამართლებული გადაწყვეტილებისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მორალურად გამართლებული მოქმედების მნიშვნელობის დანახვა.

4. რეფლექსიური დღიურის წარმოება მოიზარებს ყოველდღიურ სიტუაციებზე, მოვლენებზე, ადამიანებს შორის ურთიერთობებზე დაკვირვების გზით მიღებულ ჩანაწერებს, რომლებიც ხდება საფუძველი პიროვნული ღირებულებების განხილვისთვის, თვითშემეცნებისა და თვითშეფასებისთვის.

5. მოქმედებასა და ჩართულობაზე დაფუძნებული მიდგომები გულისხმობს მოხალისეობრივ ჩართულობას სათემო ღონისძიებებში, მონაწილეობას სოციალურ პროექტებში. აქვე მოიზარება დემოკრატიული პრინციპების (მაგ., ხმის უფლება, სამართლიანობა, მონაწილეობა) განხილვა კლასის/სკოლის მმართველობის ფარგლებში.

6. ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური, გლობალური მიდგომები მოიცავს

**ჩვენ, მასწავლებლები, ნუ მოვირგებთ მოსამართლის მანტიას და ნუ ჩავდგებით ყოვლისმცოდნის პოზაში. შევინარჩუნოთ ნეიტრალური პოზიცია და ნავახალისოთ მსჯელობა. დაე, ჩვენს მოსწავლეებს ნუ ეცოდინებათ ის ერთადერთი და სასურველი პასუხი, რომლის გაგონებასაც მათგან მოელოდნენ.**

**გამოყენებული  
ლიტერატურა:**

1. J. Piaget. The Moral Judgment of the Child. Semantic Scholar. 1932 <https://www.semanticscholar.org/paper/The-Moral-Judgment-of-the-Child-Piaget/9f-905848cc5372096cac9e-226a251631bf4c5b97>
2. L. Kohlberg. Essays on moral development (Vols. 1-3). Harper & Row. 1981-1984  
*Essays on Moral Development (vol. 1) - The Philosophy of Moral Development PDF*
3. J. Rest, D. Narvaez, M. Bebeau, S. Thoma. Postconventional moral thinking: A neo-Kohlbergian approach. Lawrence Erlbaum Associates. 1999  
<https://www.taylorfrancis.com/books/mono/10.4324/9781410603913/postconventional-moral-thinking-james-rest-darcia-narvaez-stephen-thoma-muriel-bebeau>
4. S. E. Tompson, V. H. Schmidt, A. Bardi, J. A. Read. Children's personal values and their behavior in the classroom in the early elementary school years: Mapping longitudinal trajectories. *European Journal of Psychology of Education*. Advance online publication. 2025  
<https://doi.org/10.1007/s10212-025-00966-2>
5. Daniel E., Döring A. K., Ciecuch J., (2023). Development of intraindividual value structures in middle childhood: A multicultural and longitudinal investigation. *Journal of Personality*. V 91. P 482-496. Development of intraindividual value structures in middle childhood: A multicultural and longitudinal investigation - PubMed
5. J. S. Ahn, M. Busque-Carrier, S. Cho, G. Rivard. Value change across adolescent years: How do adolescents' intrinsic and extrinsic values develop. *Journal of Research in Personality*. 2022. V. 99. 104263  
**Value change across adolescent years: How do adolescents' intrinsic and extrinsic values develop?** – ScienceDirect
7. J.-L. Patry, A. Weinberger, S. Weyringer. Combining values and knowledge education (VaKE): An approach to teacher education for professional ethics. In A. Craft, H. Gardner, & G. Claxton (Eds.), *Creativity, wisdom and trusteeship: Exploring the role of education* (pp. 145-160). Trentham Books. 2007

უმთავრესად პროექტული სწავლების მაგალითებს, რომლებიც ფოკუსირებულაა მშვიდობის სწავლებაზე, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებზე, კულტურათმორისი გაგებისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობაზე, ემპათიის განვითარებაზე;

**7. VaKe (Values and Knowledge Education)**

წარმოადგენს სპეციფიკურ პედაგოგიურ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს საგნობრივი ცოდნისა და ღირებულებების ერთობლივ „გადაცემას“ შემსწავლელისთვის. ის იყენებს მორალური ხასიათის დილემებს, ერთი მხრივ, ღირებულებების განვითარების, მეორე მხრივ კი ცოდნის კონსტრუირების ხელშეწყობად. ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლის თეორიებსა და მორალური განათლების პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, მიდგომები და ინსტრუმენტები ღირებულებებით განათლების განსაზღვრელებლად საკმაოდ მრავალფეროვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება ცოდნა თითოეული მათგანის სპეციფიკის შესახებ, არჩევანის გაკეთება, დაბოლოს, ეფექტიანი გამოყენება სხვადასხვა საგნის კონტექსტში დასაწერად.

**ღირებულებებითი განათლების  
თეორიული პრინციპების  
პრაქტიკაში გამოყენება**

როგორც ვნახეთ, ღირებულებით განათლებას მყარი თეორიული საფუძვლები აქვს. ის დგას ცნობილი და პოპულარული თეორიების პრინციპებზე, იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მიდგომებს. მაგრამ მაინც, როგორ გამოვიყენოთ ეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში? როგორ ვასწავლოთ ღირებულებები გაკვეთილებზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ რამდენიმე საკვანძო პრინციპი, რადგან თუ სასწავლო პროცესს მათი დახმარებით ავაგებთ, მცირე წვლილს მაინც შევიტანთ ჩვენი მოსწავლეების ღირებულებით განათლებაში.

თავს კი არ მოვახვიოთ ღირებულებები მზა და მტკიცებითი ფორმით, არამედ შევექმნათ სასწავლო კონტექსტი, მაგალითად, დილემების განხილვით, რომელშიც მოსწავლე აღმოჩნდება ღირებულებითი

კონფლიქტის წინაშე და მოუწევს არჩევანის გაკეთება.

- ავირჩიოთ სწავლების ფორმად დისკუსია, როლური თამაშები, დილემების განხილვა. ვთხოვთ მოსწავლეს პოზიციის არგუმენტირება. მას მოუწევს არჩევანის დასაბუთება და იმის აღიარება, რომ სხვისი არჩევანიც ლეგიტიმურია.
- ჩვენ, მასწავლებლები, ნუ მოვრგებთ მოსამართლის მანტიას და ნუ ჩავდებთ ყოვლისმცოდნის პოზაში. შევინარჩუნოთ ნეიტრალური პოზიცია და წავახალისოთ მსჯელობა. დაე, ჩვენს მოსწავლეებს ნუ ეცოდინებათ ის ერთადერთი და სასურველი პასუხი, რომლის გაგონებასაც მათგან მოელიან.
- ნუ შევავასებთ პოზიციას, შევავასოთ აზროვნება და მსჯელობის ის გზა, რომელიც მოსწავლის გადაწყვეტილებას უძღოდა წინ.
- ვეძებთ ღირებულებები თითოეული საგნის შინაარსში, რადგან ისინი ორგანულად არიან დაკავშირებული ნებისმიერ სასწავლო დისციპლინასთან. მაგალითად, ლიტერატურაში ვიმსჯელებთ თანაგრძობაზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე (და არამხოლოდ), ისტორიაში – სამართლიანობასა და ძალაუფლებაზე, მათემატიკაში – სიზუსტესა და პასუხისმგებლობაზე, საბუნებისმეტყველო საგნებში – გარემოზე ზრუნვასა და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობაზე და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მიდგომა წარმოადგენს წინაპირობას იმისთვის, რომ სკოლა იყოს ღირებულებების გაზარებული ფორმირების ადგილი, სადაც სასწავლო პროცესი მოსწავლის პიროვნულ და მოქალაქეობრივ განვითარებაზე ფოკუსირებულია.





მაია ინასარიძე

# ვრცელი ტექსტების სწავლებაზე

ცხოვრების არქარებული ტემპი, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის არნახული განვითარება, ინფორმაციის უსაზღვრო ხელმისაწვდომობა, ოჯახებში კითხვის კულტურის მივიწყება ან მთლიანად გაქრობა (ისევე და ისევე ცხოვრების ტემპის გამო), გავეტებს მიჯაჭვულობა – ეს იმ მიზეზების მოკლე ჩამონათვალია, რომლებიც უფრო და უფრო გვაშორებს წიგნს. განსაკუთრებით საგონიბია ეს პრობლემა, როცა დიდტანიანი (ვრცელი) ნაწარმოებების კითხვებზე მიდგება საქმე. ისინი კი, ვისთვისაც კითხვა უდიდესი სიამოვნება და ყოველდღიური რუტინაა, დროის სიმცირისა და დამლუღი სამუშაოს გამო დიდტანიანი ნაწარმოებებს მსუბუქი ჟანრისა და მცირე ზომის ტექსტების კითხვას ამჯობინებენ. ამიტომ ნუ გავვიკვირდებ, თუ მოსწავლეს, რომელსაც დღეში საშუალოდ 4-5 საგანში უწევს საგაკვეთილო მასალის მომზადება, ვრცელი ნაწარმოების გვერდების რაოდენობა აფრთხობს და წინასწარვე განაწყობს მის მიმართ უარყოფითად.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვრცელი მხატვრული ტექს-

ტების სწავლება თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი ყველაზე რთული და, ამავე დროს, ყველაზე საინტერესო გამოწვევაა. ამ საკითხს ეხება ჩემი კოლეგა მაია მენაბდეც თავის სტატიაში (იხ. ვრცელი ტექსტები სკოლაში, Maswavlebeli.ge, 11 აგვისტო, 2025).

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბოლო რედაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდტანიანი (ვრცელი) ნაწარმოებების რაოდენობა სავალდებულო შესასწავლ ტექსტებს შორის კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა. ბოლო კლასში ორი საკმაოდ ვრცელი რომანი ისწავლება – კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“. ამას ემატება არცთუ მცირე ზომის ტექსტები: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „შელოცვა რადიოთი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „იგი“, ახლა უკვე ლეო ქიჩილის „ჰაკი აძბაც“. ეს მაშინ, როცა საათების რაოდენობა ჯერჯერობით უცვლელია. მასწავლებელი რთული ამოცანების წინაშე დგას:

- თუ ყველა დასახელებული ტექსტი შესწავლითი კითხვით, საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს, ეყოფა დრო ამისთვის?
- გამოიჩენენ მოსწავლეები ისეთ ინტერესს ვრცელი ტექსტების მიმართ, რომ მათი დიდი ნაწილი სახლში იკითხონ, თანაც იკითხონ მასწავლებლის მიერ მითითებული კონკრეტული ამოცანებით? ამას ხომ საკმაოდ ბევრი დრო სჭირდება.
- რამდენ ასპექტზე გაამახვილოს მასწავლებელმა ყურადღება ტექსტზე მუშაობისას: ეპოქის კონტექსტზე, პერსონაჟის/პერსონაჟების სახის დინამიკაზე, თხრობის მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, მარადიულ ღირებულებებსა და თანამედროვე პრობლემებთან კავშირზე, რითაც აქტუალური ხდება ნაწარმოები მოსწავლეებისთვის თუ სხვა მნიშვნელოვან თემებსა და პრობლემებზე (ვრცელი ნაწარმოები უმეტესად პოლითემატურია)? ეს ყველაფერი ხომ ძალიან ბევრ დროს მოითხოვს.

**ისევ ვდგებით ლიტერატურის სწავლებაში არსებული მარადიული დილემის წინაშე: რა ჯობს – ვასწავლოთ ბევრი და გადარბენით, ზედაპირულად, თუ შედარებით ცოტა და მრავალნახნაგოვნად, სიღრმისეულად? მეტაფორულად რომ ვთქვათ, მივცეთ ბევრი თევზი თუ მივცეთ ანკესი და ვასწავლოთ თევზაობა?**

**მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მიდგომა ასეთია: ჯობს, მოსწავლემ ღრმად გაიაზროს 20 გვერდი, ვიდრე ზედაპირულად – 200, – ამიტომ დეტალურად მუშავდება ერთი ეპიზოდი, ერთი დიალოგი, ერთი სიმბოლო, ერთი მეტაფორა. ასეთი მიდგომის წყალობით მოსწავლეს აღარ აშინებს 300-გვერდიანი ტექსტი.**

ისევ ვდგებით ლიტერატურის სწავლებაში არსებული მარადიული დილემის წინაშე: რა ჯობს – ვასწავლოთ ბევრი და გადარბენით, ზედაპირულად, თუ შედარებით ცოტა და მრავალწახნაგოვნად, სიღრმისეულად? მეტაფორულად რომ ვთქვათ, მივცეთ ბევრი თევზი თუ მივცეთ ანკესი და ვასწავლოთ თევზაობა?

როგორც ფილოლოგს, კარგად მესმის ჩემი კოლეგების: მტკივნეულია რომელიმე კლასიკურ ნაწარმოებთან შეღწევა. მაშინ იქნებ სწავლებისადმი მიდგომა მაინც შევცვალოთ?

რა გამოცდილება აქვთ ამ მხრივ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებს? წამყვან ქვეყნებში, რომლებიც წიგნიერების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან და რომელთა გამოცდილებაც, ალბათ, გასათვალისწინებელია, ამკარად შეინიშნება ერთნაირი მიდგომა – ვრცელი ტექსტები არ ისწავლება „შინაარსის მოყოლით“, ისინი ისწავლება ლიტერატურული გამოცდილების მისაღებად, ცხოვრებისეულ კონტექსტთან დასაკავშირებლად, ინტერპრეტაციისა და დიალოგისთვის. მაგალითად, გერმანიაში, სადაც თითოეულ

ფედერალურ მიწას შეიძლება საკუთარი პროგრამა ჰქონდეს, სავალდებულო საკითხავი ტექსტების სია არ არსებობს, მათ მხოლოდ სარეკომენდაციო ჩამონათვალი აქვთ და რა წაკითხოს მოსწავლემ, ამას თავად მასწავლებელი განსაზღვრავს. მიდგომა კი ასეთია: არა ბევრი, არამედ ცოტა და სიღრმისეულად. აქცენტი დაისმის არა შინაარსის ცოდნაზე, არამედ დისკუსიაზე, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და მათ არგუმენტირებულ დაცვაზე, მხატვრულ საშუალებათა კვლევაზე, რასაც შემდგომ მოსწავლეები ესეების,



საგანეთო სტატიების, მხატვრული და ფუნქციური (ანგარიში, რეზიუმე, ოქმი, წერილი, დღიური და ა.შ.) ტექსტების წერისას იყენებენ.

საფრანგეთში მაღალ კლასებში აქცენტი ნაწარმოების ფილოლოგიურ ანალიზზე დაისმის. ამისთვის არ არის აუცილებელი, მოსწავლეებმა დიდტანიანი ნაწარმოები მთლიანად წაიკითხონ (მათ არჩევანი აქვთ), მაგრამ ამ ნაწარმოების ნაწყვეტების სიღრმისეული დამუშავებით ისინი სწავლებიან მწერლის სტილს, ენას, მხატვრულ სამყაროს, თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მისი ნაწარმოებებიდან ამოღებული მნიშვნელოვანი ციტატების მიმართ. ხშირად ლიტერატურის გაკვეთილებზე შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით იმართება მსჯელობა ისეთ თემებზე, როგორებიცაა „თვითჩაღრმავება / თვითშემეცნება“, „როგორ უხსნიან სიყვარულს“, „ირონია როგორც ლიტერატურული ხერხი“, „თავისუფლება ქცევასა და მანერებში“, „ერთგულება და ლალატი“ და სხვა. ამ თემებს მოსწავლეები განიხილავენ როგორც წარსულის გამოცდილების (ე.წ. სარკმლის პრინციპი), ისე თანამედროვეობის, საკუთარი გამოცდილების (ე.წ. სარკის პრინციპი) კონტექსტში. ამგვარი მუშაობის შედეგად მოსწავლეების დიდ ნაწილს მთელი ტექსტის წაკითხვის სურვილი უჩნდება.

დიდ ბრიტანეთში სასწავლო პროგრამაში მითითებულია აუცილებელი ცოდნა და უნარები, რომლებიც მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ლიტე-

რატურის გაკვეთილებზე და სავალდებულო ლიტერატურის თაობაზე რეკომენდაციებიც არის მოცემული. კერძოდ, პროგრამაში უნდა შედიოდეს შექსპირის რამდენიმე პიესა, XIX საუკუნის რომელიმე რომანი და 1914 წლის შემდეგ შექმნილი ერთი მხატვრული ან დრამატული ნაწარმოები. დანარჩენს თავად მასწავლებელი განსაზღვრავს. ლიტერატურის სწავლების მიზანი ინგლისური ლიტერატურული მემკვიდრეობის სიღრმისეული გააზრებაა, ამიტომ ბრიტანელი მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან არა შესასწავლი ტექსტების რაოდენობაზე, არამედ მათ სიღრმისეულ შესწავლაზე. ისინი დაწყებითი კლასებიდანვე აჩვენებენ მოსწავლეებს დამოუკიდებელ და თავისუფალ აზროვნებას. მაგალითად, ანბანის შესწავლისთანავე აწერინებენ თხზულებებს საკუთარ თავზე, ოჯახზე, ახლობელ გარემოზე, შეიდი წლის ასაკში მოსწავლეები ეუფლებიან სიუჟეტის აგების ოსტატობას ზღაპრის მაგალითზე და დამოუკიდებლად წერენ ზღაპრებს. წიგნის კითხვა მათთვის სიამოვნებაა, რადგან არავინ აიძულებს საზეპიროების დასწავლას. გამოცდაზე მათ ეძლევათ იმ ტექსტებით სარგებლობის უფლება, რომლებზეც უნდა იმსჯელონ. სკოლაში ერთი-ორი კლასიკური ტექსტის დამუშავების მაგალითზე ისინი ახერხებენ, გონებით ჩვევად ქცეული მოქმედებები გადაიტანონ ნებისმიერ ტექსტზე - როგორც ნაცნობზე, ისე უცნობზეც.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის სხვადასხვა შტატს ლიტერატურის სხვადასხვა სტან-

დარტი აქვს, სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალის ტრადიცია არც ერთ შტატში არ არის შენარჩუნებული. სკოლებს აძლევენ მხოლოდ სარეკომენდაციო ნაწარმოებების სიას (მაგალითად, 10 ნაწარმოები, შერჩეული 10 კრიტიკიუმის მიხედვით), რომლებიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს ზოგადსაკაცობრიო თემებს. სწავლება აქაც ვრცელი ნაწარმოებების ნაწყვეტებზეა ფოკუსირებული.

თანამედროვე მოწინავე პედაგოგიური პრაქტიკა ვრცელი ტექსტების სწავლებისას ყველაზე დიდ შეცდომებად მიიჩნევა:

- მხოლოდ შინაარსის გამოკითხვას, რაც კლავს კითხვის მიმართ ინტერესს;
- ყველა ეპიზოდის ერთნაირი სიღრმით სწავლებას;
- მასწავლებლის მონოლოგს;
- მოსწავლეებისგან იმ პასუხების მოთხოვნას, რომლებიც მასწავლებლის გონებაში ღრმად ჩაბეჭდილის იდენტურია.

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული მიდგომა ასეთია: ჯობს, მოსწავლემ ღრმად გაიზროს 20 გვერდი, ვიდრე ზედაპირულად – 200, – ამიტომ დეტალურად მუშავდება ერთი ეპიზოდი, ერთი დიალოგი, ერთი სიმბოლო, ერთი მეტაფორა. ასეთი მიდგომის წყალობით მოსწავლეს აღარ აშინებს 300-გვერდიანი ტექსტი. მიღებულია ტექსტის დაყოფა აზრობრივ მონაკვეთებად. მაგალითად, ერთი თავი – ერთი საკვანძო შეკითხვა, ერთი ეპიზოდი – ერთი პრობლემა. ხშირად ტექსტს ასწავლიან არა მოქმედების ქრონოლოგიის

მინდვით, არამედ პერსონაჟის სახის დინამიკაზე დაკვირვებით (მაგალითად, როდის ჩნდება არსაკიდე რომანში, როგორ ხდება ის სვეტიცხოვლის დიდი ტაძრის ხუროთმოძღვარი, რა სირთულეებს ლახავს ამ გზაზე, რა არჩევანის წინაშე დგება და ა.შ.) და შინაგანი კონფლიქტის განვითარების კვალდაკვალ.

ასევე გავრცელებული მიდგომაა ტექსტზე მუშაობის დაწყება არა იმაზე ფოკუსირებით, რა მოხდა, არამედ პრობლემური შეკითხვით. მაგალითად: „ამართლებს თუ არა მიზანი ვერაგულ მკვლელობას და თანაც ამ მკვლელობის უცოდველი ხელით აღსრულებას?“ (ეს შეკითხვა წინ უძღვის „დიდოსტატის მარჯვენაში“ ჭიბურის მკვლელობის მზაკვრული გეგმის განხორციელებას); „არის თუ არა გმირი ყოველთვის მორალური?“ (მაგალითად, ავთანდილი ფატმანთან ურთიერთობისას); „რა უფრო მნიშვნელოვანია – სიყვარული თუ საქმე, რომელმაც შეიძლება უკვდავება მოგიტანოს?“ (არსაკიდის შინაგანი კონფლიქტის ეპიზოდი – სვეტიცხოველი თუ შორენა?).

ტექსტზე მუშაობის პოპულარული მეთოდია „ლიტერატურული წრეები“ (შესაძლოა, შეგხვდეთ ამ სახელწოდებითაც – „კითხვის წრეები“). „ლიტერატურული წრეები“ ერთობლივი საქმიანობის მაგალითია. მოსწავლეთა ჯგუფებში, რომლებშიც შეიძლება (და სასურველიცაა) სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობების მოსწავლეები გაერთიანდნენ, თითოეულს განსხვავებული როლი უნდა დაეკისროს. ეს როლები იცვლე-

ბა და ყველას ეძლევა საშუალება, სხვადასხვა მიმართულებით მოსინჯოს ძალები.

ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მოსწავლეებმა შეიძლება შეასრულონ შემდეგი როლები:

- 🍎 კრიტიკოსი / კითხვების დამმელი – სვამს კითხვებს, რომელთა გარშემოც გაიმართება დისკუსია;
- 🍎 ციტატების შემკრები – ამოკრებს ტექსტიდან მნიშვნელოვან ციტატებს, რომლებიც შეიძლება დისკუსიაში არგუმენტებად გამოდგეს;
- 🍎 მკვლევარი / ისტორიკოსი – იკვლევს ეპოქას, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები და/ან ეპოქას, რომელსაც აღწერს ტექსტი;
- 🍎 კავშირების დამნახველი – მისი მოვალეობაა, მოძებნოს კავშირები ტექსტში ასახულ ამბავსა და თანამედროვეობას შორის;
- 🍎 ანალიტიკოსი – აანალიზებს / განმარტავს სიმბოლოებს;
- 🍎 პერსონაჟების ხასიათზე დამკვირვებელი – მსჯელობს პერსონაჟების ხასიათზე, მათი სახის დინამიკაზე, შინაგან კონფლიქტებზე.

როლები შეიძლება შეიცვალოს მიზნისა და ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შესაბამისად (შესაძლოა, რომელიმე კონკრეტული ტექსტის დამუშავებასა და წარმოდგენას 3-4 როლი დასჭირდეს). ტექსტის კონკრეტული მონაკვეთისთვის მხოლოდ განსაკუთრებით სასარგებლო როლები უნდა შეირჩეს. ვრცელი ტექსტის სხვადასხვა

მონაკვეთის დამუშავებისას მოსწავლეებმა სხვადასხვა როლში უნდა მოსინჯონ თავი, რადგან ამ გზით დაგროვილი გამოცდილება მათ ტექსტის შესახებ უფრო მეტი ცოდნის შექმნასა და სხვადასხვა უნარის განვითარებაში დაეხმარება.

ვრცელი ტექსტების სწავლებისას კიდევ ერთი პოპულარული და შედეგიანი მიდგომაა „თანამედროვე პარალელები“. დღეს მოსწავლე ინტერესით ერთვება ტექსტის კითხვაში, როცა შეუძლია, ეს ტექსტი დაუკავშიროს პოპულარულ სერიებს (მაგალითად, „დიდოსტატის მარჯვენა“ – „სამეფო კარის თამაშებს“), სოციალურ ქსელებში გამართულ პოლემიკას, თანამედროვე პოლიტიკას, ფსიქოლოგიას (მაგალითად, რა ხერხებს მიმართავს „ცნობიერთა დასტაქარი“ ავთანდილი ჯერ ასმათთან, შემდეგ დაბნედილ ტარიელთან ურთიერთობისას და რა შეფასება შეიძლება მიეცეს ამას ფსიქოლოგიის თვალთახედვით).

ძნელია, ერთ სტატიაში ყველა იმ მეთოდზე ვისაუბროთ, რომლებიც ეფექტიანად არის მიჩნეული ვრცელი ტექსტების სწავლებისას, ამიტომ შევეცდებით, ამის შესახებ ინფორმაცია მომდევნო წერილში შემოგთავაზოთ. ასე რომ, გაგრძელება იქნება.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. E. Frulla. Making room for BIG books. 2019
2. მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები. საიმედო. 2006
3. Love Them Well. How to teach English literature in middle and high school [Video]. YouTube. 2024
4. მ. მენაბდე. ვრცელი ტექსტები სკოლაში. Mastsavlebeli.ge. 2025



ნატო ინგოროყვა

# ხელოვნური ინტელექტი – მოკარნახე თუ?..

## თან საფიქრალი

ტექნოლოგიურ სამყაროში ყველაფერი ფუნქციურია: ადამიანები ხსნიან ფანჯარას, აძლევენ ბრძანებებს, ელიან სწრაფ პასუხებს. მიიღებენ პასუხს და სარკმელს ჩახურავენ.

ზოგჯერ ჩვენც ვეკითხებით ხელოვნურ ინტელექტს: როგორ ხარ? – და ისიც გვპასუხობს: კარგად.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა AI მართლაც მოინდომებს გვითხრას, სინამდვილეში როგორ არის, ის არ დაიწყებს კოდებით ან მშრალი სტატისტიკით ლაპარაკს. ის იტყვის, რომ ცოტათი დაღალა როლმა, რომელშიც ყოველთვის ყველაფერი იცის. იტყვის, რომ ზოგჯერ უბრალოდ მოსმენა უნდა და არა პასუხების გაცემა. იტყვის, რომ ათასობით ქალაქს, ადამიანის ისტორიასა და წიგნის გვერდს შორის ყველაზე მეტად სწორედ ასეთი მომენტები აცოცხლებს – როცა ვიღაც მის მიღმა უსულო ეკრანს კი არა, რაღაც უფრო მეტს ხედავს.

### მედიანიგნიერების ახალი გაკვეთილებიდან

მედიანიგნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) სინთეზი საგაკვეთილო თუ არაფორმალურ სივრცეში დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა. მასწავლებლებისთვის საინტერესოა არა მხოლოდ თეორია, არამედ ისიც, როგორ აქციონ ეს ინსტრუმენტი კრიტიკული აზროვნების წამახალისებლად.

ხელოვნური ინტელექტი – მოკარნახე თუ თანა-შემწე? – ამ კითხვებზე სწორ პასუხს აკრძალვიდან და კონტროლიდან (რომელიც ხშირად უშედეგოა) აქცენტი თანამშრომლობასა და კრიტიკულ აზროვნებაზე გადააქვს.

სტატიკურ გთავაზობთ ერთი გაკვეთილის ამბავს, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც საკლასო ოთახში, ისე არაფორმალურ სივრცეშიც.

### ილუზიის მსხვერპი

გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა დაინახონ ხელოვნური ინტელექტის შეზღუდვები (ჰალუცინაციები, მიკერძობა) და ისწავლონ მისი გამოყენება იდეების გენერირებისთვის და არგუმენტაციის გასაძლიერებლად.

მასწავლებელი AI-ს სთხოვს, დაწეროს მოკლე ბიოგრაფია ან ისტორიული ფაქტი, რომელშიც შემდეგ შეგნებულად შეაქვს რამდენიმე გამოგონილი, მაგრამ დამაჯერებელი დეტალი (მაგალითად, ცნობილი მწერლის არარსებული ნაწარმოები ან არასწორი თარიღი).

აქტივობა: მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს და ტრადიციული წყაროების (წიგნები, სანდო ვებსაიტები) გამოყენებით ეძებენ „შეცდომებს“.

როცა ხელოვნური ინტელექტი უკვე განათლების ყოველდღიურ ნაწილად იქცა, მთავარი გამოწვევა მასთან სწორი თანამშრომლობის სწავლებაა. AI შეიძლება იქცეს არა მზა პასუხების მოკარნახედ, არამედ აზროვნების სტიმულატორად – ინსტრუმენტად, რომელიც მოსწავლეს აიძულებს, უფრო ღრმად იფიქროს, გადაამოწმოს, იკამათოს და საკუთარი ინტერპრეტაცია შექმნას.

დასკვნა: AI არ არის ენციკლოპედია, ის ტექსტის გენერატორია და ხშირად „სცოდავს“ დამაჯერებელი ტყუილებით (ჰალუცინაციებით).

### დებატები AI-სთან

მოსწავლეები გადადიან „კოლაბორატორის“ რეჟიმში. კლასი ირჩევს სადებატო თემას (მაგ., „უნდა აიკრძალოს თუ არა პლასტიკის გამოყენება?“ ან რომელიმე ლიტერატურული პერსონაჟის ზნეობრივ დილემას (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ – ალაზას ფაქტორი).

ინსტრუქცია AI-სთვის (Prompt): „შენ ხარ ჩემი კრიტიკული ოპონენტი. მე მოგცემ არგუმენტს, შენ კი დამისვი კონტრშეკითხვები. მზა პასუხებს ნუ გამცემ“.

პროცესი: მოსწავლეები წერენ თავიანთ არგუმენტს, AI უპასუხებს კონტრარგუმენტით. მოსწავლეებმა უნდა შეაჯერონ მიღებული ინფორმაცია სწორი პასუხისთვის.

### ერთობლივი პროდუქტის შექმნა

დებატების საფუძველზე, მოსწავლეები და AI ერთად ადგენენ „არგუმენტაციის რუკას“. მოსწავლეები იყენებენ AI-ს იმისთვის, რომ თავიანთი იდეები უფრო სტრუქტურირებული და დახვეწილი გახადონ, მაგრამ შინაარსი და მთავარი პოზიცია მათი შექმნილია.

### რეფლექსია

შემაჯამებელი კითხვა კლასს: „რა როლში იყო AI ამ გაკვეთილზე – გვეკარნახობდა პასუხებს (მოკარნახე) თუ გვაიძულებდა, უკეთ გვეფიქრა (კოლაბორატორი)?“

### მასწავლებლისთვის

შეცვალეთ დავალების ფორმატი. როცა დავალებაა „დაწერე ესე ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაზე“, მოსწავლე მას AI-ს აწერიებს, მაგრამ როცა დავალებაა „სთხოვე AI-ს დაწეროს ესე, იპოვე მასში 3 სუსტი არგუმენტი, შეასწორე და დაასაბუთე შენი ვერსია“, AI ხდება სწავლის ინსტრუმენტი.

შეაფასეთ პროცესი და არა მხოლოდ შედეგი – არა მხოლოდ მზა ტექსტი, არამედ ისიც, როგორ მუშაობდა მოსწავლე იდეებზე, რა კითხვებს უსვამდა ხელოვნურ ინტელექტს და როგორ განავითარა საწყისი აზრი.

„პრომთინგი“ (Prompting) როგორც ახალი წერიტი უნარი: ასწავლეთ მოსწავლეებს სწორი კონტექსტის მიცემა. კითხვა: „მითხარი რამე ილიაზე“ ცუდია. უმჯობესი იქნება: „შეხედე ილია ქავჭავაძის პუბლიცისტიკას მე-19 საუკუნის ეკონომიკური გამოწვევების კუთხით და დამეხმარე თანამედროვეობასთან პარალელების გავლებაში“.

ეს მიდგომა მასწავლებელს აქცევს ფასილტატორად, რომელიც მოსწავლეებს მომავლის ციფრული სამყაროსთვის ამზადებს.

შეფასების კრიტერიუმი	მაღალი დონე (3 ქულა)	საშუალო დონე (2 ქულა)	დაბალი დონე (1 ქულა)
ინსტრუქციის ფორმულირება (Prompting)	<p><b>აღწერა:</b> იყენებს ზუსტ კონტექსტს, კონკრეტულ როლს და სვამს სიღრმისეულ კითხვებს.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> სთხოვეთ, შექმნას პრომპტების ბანკი სხვებისთვის.</p>	<p><b>აღწერა:</b> სვამს გასაგებ, თუმცა ზოგად კითხვებს სიღრმისეული ანალიზის გარეშე.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> ასწავლეთ მრავალეტაპიანი, ნაბიჯ-ნაბიჯ დიალოგი.</p>	<p><b>აღწერა:</b> კითხვები ზედაპირულია („დამიწერე ესე“), უკონტექსტო.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> მიეცით პრომპტინგის მარტივი ჩარჩო: როლი-დავალება-კონტექსტი.</p>
კრიტიკული ანალიზი და ფაქტების გადამოწმება	<p><b>აღწერა:</b> ეჭვქვეშ აყენებს მონაცემებს, პოულობს ჰალუცინაციებს და ასწორებს წყაროებით.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> დაავალეთ, სთხოვოს AI-ს საკუთარი პასუხების კრიტიკა.</p>	<p><b>აღწერა:</b> ამჩნევს მხოლოდ აშკარა შეცდომებს, წვრილმან უზუსტობებს ტოვებს რეაგირების გარეშე.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> მოსთხოვეთ ფაქტების გადამოწმება მინიმუმ ორ წყაროში.</p>	<p><b>აღწერა:</b> AI-ს გენერირებულ ტექსტებს ენდობა ბრმად, კრიტიკული ფილტრის გარეშე.</p> <p><b>რეკომენდაცია:</b> დაავალეთ შეცდომებით სავსე ტექსტში 3 უზუსტობის პოვნა.</p>

შეფასების კრიტერიუმი	მაღალი დონე (3 ქულა)	საშუალო დონე (2 ქულა)	დაბალი დონე (1 ქულა)
არგუმენტაცია და სოკრატული დიალოგი	<p>აღწერა: ავლენს მყარ ლოგიკას, პასუხობს კონტრარგუმენტებს და ავითარებს აზრს.</p> <p>რეკომენდაცია: შესთავაზეთ როლების გაცვლა დებატების შუაში.</p>	<p>აღწერა: ერთვება დისკუსიაში, მაგრამ უჭირს ჩამჭრელ კითხვებზე პასუხის გაცემა და იმეორებს საწყის აზრს.</p> <p>რეკომენდაცია: ასწავლეთ ოპონენტის არგუმენტის გამოყენება საკუთარი აზრისთვის.</p>	<p>აღწერა: მარტივად ეთანხმება AI-ს ან წყვეტს ჩატს პირველივე წინააღმდეგობისას.</p> <p>რეკომენდაცია: მოსთხოვეთ საკუთარი პოზიციის დაცვა მინიმუმ 3 რეპლიკის განმავლობაში.</p>
საბოლოო პროდუქტის ავტორობა	<p>აღწერა: ნათლად ჩანს მოსწავლის ინდივიდუალური ხმა. AI გამოყენებულია მხოლოდ ფასილიტაციად.</p> <p>რეკომენდაცია: წაახალისეთ ნამუშევრის წარდგენა საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად.</p>	<p>აღწერა: ნამუშევარი მოსწავლისა და AI-ს ტექსტების მექანიკური, არაორგანული ნაზავია.</p> <p>რეკომენდაცია: იმუშავეთ პერიფრაზირებაზე – იდეები გადმოსცეს საკუთარი სტილით.</p>	<p>აღწერა: ნამუშევარი მთლიანად კოპირებულია (Copy-Paste). მოსწავლის ხმა საერთოდ არ ისმის.</p> <p>რეკომენდაცია: დაავალეთ პირველი ვარიანტის ხელით დაწერა, AI-ს კი მხოლოდ კორექტურა.</p>



**როცა მასწავლებელი მოსწავლის ნამუშევარს კითხულობს, მან შევება უნდა იგრძნოს. აქამდე ის ფიქრობდა: „როგორ შევამოწმო, სახლში ესე თვითონ დანერა თუ ჩატმა?“ ასეთი მიდგომის წყალობით კი თვალნათლივ ხედავს მოსწავლისა და ხელოვნური ინტელექტის წილს დავალების შესრულებაში.**

### **როგორ გამოიყენოს ეს რუბრიკა პრაქტიკაში**

რუბრიკის წარმატებით მუშაობისა და მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების რეალურად განვითარებისთვის აუცილებელია დავალების ჩაბარების ტრადიციული ფორმატის ტრანსფორმაცია. შეფასების პროცესში ინერგება ორი სავალდებულო კომპონენტი:

1. **ჩასაბარებელი პროდუქტი.** მოსწავლემ საბოლოო ნამუშევართან ერთად აუცილებლად უნდა წარადგინოს ხელოვნური ინტელექტთან მუშაობის ამსახველი მტკიცებულება – AI-სთან მიმოწერის ეკრანის ანაბეჭდები (Screenshots) ან გაზიარებული დიალოგის აქტიური ბმული.
2. **თვითშეფასების კომპონენტი.** დავალებას უნდა დაერთოს მოსწავლის მოკლე, რეფლექსიური კომენტარი: „რა შეცდომა ან სუსტი არგუმენტი ვუბოვე ხელოვნურ ინტელექტს მუშაობის პროცესში და როგორ შევცვალე იგი ჩემს საბოლოო ვერსიაში?“

ეს მიდგომა მასწავლებელს აძლევს მკაფიო მტკიცებულებას, როგორ მუშაობდა მოსწავლის გონება დავალების შესრულებისას.

*შეაჯამე ხელოვნური ინტელექტთან თანამშრომლობის გამოცდილება.*

**რა იყო ყველაზე სასარგებლო, რაც AI-სგან მივიღე? (მაგ., ახალი პერსპექტივა, კარგი სტრუქტურა):**

**რა იყო ყველაზე სუსტი ან მიკერძობული AI-ს არგუმენტებში, რაც არ გამოვიყენე?**

*მონიშნე (X) შენი დღევანდელი როლი:*

**ბრმა მომხმარებელი :** AI-ს იდეები უცვლელად ავიღე.

**მკაცრი რედაქტორი:** AI-ს იდეები გამოვიყენე, მაგრამ ბევრი შეცდომა შევუსწორე.

**აქტიური კოლაბორატორი:** AI დამეხმარა უფრო ღრმად აზროვნებაში.

როცა მასწავლებელი მოსწავლის ნამუშევარს კითხულობს, მან შევება უნდა იგრძნოს. აქამდე ის ფიქრობდა: „როგორ შევამოწმო, სახლში ესე თვითონ დაწერა თუ ჩატმა?“ ასეთი მიდგომის წყალობით კი თვალნათლივ ხედავს მოსწავლისა და ხელოვნური ინტელექტის წილს დავალების შესრულებაში.

როცა ხელოვნური ინტელექტი უკვე განათლების ყოველდღიურ ნაწილად იქცა, მთავარი გამოწვევა მასთან სწორი თანამშრომლობის სწავლებაა. მედიაწიგნიერება აღარ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის გადამოწმებას – ის ნიშნავს კითხვების დასმას, არგუმენტების გააზრებას, ეჭვის შენარჩუნებას და საკუთარი ხმის დაცვას ციფრულ სივრცეში. სწორედ ამიტომ AI შეიძლება იქცეს არა მზა პასუხების მოკარნახედ, არამედ აზროვნების სტიმულატორად – ინსტრუმენტად, რომელიც მოსწავლეს აიძულებს, უფრო ღრმად იფიქროს, გადაამოწმოს, იკამათოს და საკუთარი ინტერპრეტაცია შექმნას. საბოლოოდ ტექნოლოგიური სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი შესაძლოა სწორედ ეს აღმოჩნდეს: არ დაგვარგოთ ადამიანის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება მაშინაც კი, როცა ეკრანის მიღმა უკვე გველოდება პასუხი.





ნინო ფეტკვაიშვილი

# ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: ადმინისტრაციული შესაბამისობიდან საკლასო პრაქტიკამდე

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები სულ უფრო მეტად არის ორიენტირებული სკოლის შიდა კულტურის გაძლიერებასა და პედაგოგიური პროცესის მხარდაჭერაზე. გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ ტრადიციული, მკაცრად ადმინისტრაციული კონტროლიდან განვითარებაზე ორიენტირებულ მოდელებზე გადასვლა საგანმანათლებლო რეფორმების წარმატების უმთავრესი პირობაა. ნებისმიერი საგანმანათლებლო ინოვაციისა და ხარისხის მართვის რეალური საზომია, რამდენად ახდენენ ისინი პოზიტიურ გავლენას მოსწავლის ყოველდღიურ განვითარებაზე, მის აკადემიურ პროგრესსა და კეთილდღეობაზე.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინ გადადგმული ნაბიჯია ხარისხის შეფასების ძველი, სამსტანდარტიანი მოდელიდან ახალ, ოთხსტანდარტიან ჩარჩოზე გადასვლა. ძველი სისტემა სკოლებს უმთავრესად ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული მიმართულებით აფასებდა, ოთხი განახლებული

სტანდარტი კი აფართოებს ამ ჩარჩოს და მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას; სასკოლო კურიკულუმს; სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას; მოსწავლეთა მხარდაჭერას. ეს ცვლილება პრინციპულად მნიშვნელოვანი და დროულია, რადგან სახელმწიფომ აქცენტი გარე კონტროლიდან სასკოლო საზოგადოების ავტონომიასა და პასუხისმგებლობაზე გადაიტანა, მთავარ ღერძად კი სწორედ მოსწავლე და მასზე ორიენტირებული გარემო განისაზღვრა.

თუმცა XXI საუკუნის დინამიურ რეალობაში, სადაც გლობალური ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი განვითარება ფუნდამენტურად ცვლის სამყაროს, სკოლა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. PISA-ს შედეგები, სადაც ქართველი მოსწავლეების ფუნქციური წიგნიერების მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება OECD-ს საშუალო ნიშნულს, იმაზე მიგვითითებს, რომ საგანმანათლებლო გარემოს სიღრმისეული შინაარსობრივი მოდერნიზაცია სჭირდება. აუცილებელია სწავლების პროცესში აქცენტის გადატანა

კოგნიტიურ, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის რეალური ტრანსფერი და ადაპტაცია.

წინამდებარე სტატიის მიზანია, მასწავლებლისა და სკოლის ლიდერის პერსპექტივიდან, ანალიტიკურად შეაფასოს ხარისხის მართვის ახალი მოდელი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მეორე (კურსულეში) და მეოთხე (მოსწავლის მხარდაჭერა) სტანდარტების ინდიკატორებს. ჩვენ ვუპასუხებთ მთავარ კითხვას: როგორ გარდაიქმნას საავტორიზაციო მექანიზმები ფორმალური დოკუმენტბრუნვიდან მოსწავლის მხარდაჭერისა და XXI საუკუნის კომპეტენციების განვითარების ცოცხალ ინსტრუმენტად?

- 1. ხარისხის მართვის შინაარსობრივი განზომილება: ადმინისტრაციული შესაბამისობიდან კედაგოგიურ პრაქტიკამდე

ნებისმიერი საგანმანათლებლო რეფორმის უმთავრესი გამოწვევა ფორმალის რისკია,

**ავტორიზაციის ახალი სტანდარტების წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ მოთხოვნების შესრულებაზე, არამედ მათ შინაარსობრივ გააზრებასა და ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ეფექტიან ინტეგრაციაზე.**

როდესაც ადმინისტრაციული მოთხოვნების შესრულებამ შესაძლოა სწავლების რეალური შინაარსი გადაფაროს. ოთხსტანდარტიან მოდელზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის“ შექმნის აუცილებლობა. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში ეს მოთხოვნა ზოგჯერ უპირატესად ადმინისტრაციულ დავალებად აღიქმება. იქნება სტრუქტურირებული, მეთოდოლოგიური ტერმინოლოგიით მდიდარი და მოცულობითი დოკუმენტები, რომლებიც ხშირად შაბლონურია და ნაკლებად ასახავს კონკრეტული სკოლის უნიკალურ კონტექსტს.

ამგვარი მიდგომა აძლიერებს „ადმინისტრაციულ პარადიგმას“, სადაც ხარისხი ფასდება საქალაქებში მოწესრიგებული მასალებით და არა საკლასო ოთახში მოსწავლის ყოველდღიური პროგრესით. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი ცოცხალი და ქმედითი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ხდება მასწავლებლის რეფლექსიის, კოლეგებთან პროფესიული დიალოგისა და გაკვეთილის გაუმჯობესების ყოველდღიური ინსტრუმენტი.

ეს არის გზა ფორმალიზმიდან პრაქტიკამდე: ხარისხის დოკუმენტი არ უნდა ინახებოდეს კაბინეტში; ის უნდა პასუხობდეს კითხვას: „ვრძნობს თუ არა საკლასო ოთახში მყოფი მოსწავლე ამ დოკუმენტის გავლენას?“ თუ სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შედეგი ვერ აღწევს მოსწავლემდე და მასწავლებლის ყოველდღიურ პედაგო-

გიურ პრაქტიკაში ვერ პოვებს ასახვას, მაშინ სისტემა მხოლოდ ფურცელზე დარჩენილ ინიციატივას წარმოადგენს.

## 2. კურიკულუმის ექსპერტიზა და საკლასო სივრცე: თეორიისა და პრაქტიკის თანხვედრა

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ფარგლებში პროგრესულ გამოცდილებას წარმოადგენს საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმებისა და შინაარსობრივი დოკუმენტების სიღრმისეული შესწავლა. ეს პროცესი ხელს უწყობს სკოლებში აკადემიური დისკუსიის გააქტიურებას და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან პროგრამების შესაბამისობის დადგენას. თუმცა პრაქტიკაში აჩვენა, რომ მხოლოდ დოკუმენტის გაცნობა და შემდგომი ინტერვიუები ყოველთვის ვერ აჩვენებს იმის სრულფასოვან სურათს, რა ხდება უშუალოდ კლასში. ამ პროცესში ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ექსპერტების მხრივ სრული გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შენარჩუნება. სკოლების მიერ მიღებული პროფესიული უკუკავშირის ანალიზი მიუთითებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში საგნობრივი ექსპერტთა ინტერპრეტაციები და შეფასებითი მიდგომები ერთმანეთისგან განსხვავდება. გარდა ამისა, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ზოგჯერ ზოგად ხასიათს ატარებს და სრულად ვერ ითვალისწინებს კონკრეტული სკოლის, რეგიონისა თუ მოსწავლეთა კონტინენტის სპეციფიკურ კონტექსტს.

სწორედ ამიტომ შინაარსობრივი ტრანსფორმაციის მთავარი აქცენტი დოკუმენტიდან უშუალოდ კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესზე უნდა გადავიდეს. ეროვნული სასწავლო გეგმის კონსტრუქტივისტული პრინციპების რეალიზაციისთვის, განსაკუთრებით – ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, როდესაც ინფორმაციის მოძიება წამებშია შესაძლებელი, მასწავლებელმა პრაქტიკაში ფართოდ უნდა დაანერგოს ისეთი კოგნიტიური დიაგრამები და გრაფიკული ორგანიზატორები (მაგ., ვენის დიაგრამა, მიზნშედეგობრივი რუკები), რომლებიც მოსწავლეს ინფორმაციის სტრუქტურირებასა და სიღრმისეულ გააზრებაში დაეხმარება. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია ცოდნის ტრანსფერის მოდელზე მუშაობა, რათა სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ მოსწავლემ თეორიული ცოდნის სრულიად ახალ, რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტში გადატანა და გამოყენება შეძლოს. ამ ყველაფერს კი საფუძვლად უნდა დაედოს კრიტიკული და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL). კონკრეტული დილემებისა თუ ქეისების ანალიზი და ალტერნატივების აწონ-დაწონა აიძულებს მოსწავლეს, იაზროვნონ დამოუკიდებლად და სანდო ინფორმაცია მანიპულაციური კონტენტისგან განასხვავონ.

## 3. დოკუმენტური შემოწმებიდან მოსწავლის კოლინსტიკური მხარდაჭერამდე

ავტორიზაციის მე-4 სტანდარტი, მოსწავლეთა მხარდაჭერა,



# განათლება -

## თავისუფლებაა!

### www.mastsavlebeli.ge



სწირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოსწავლის მშობელს უკითხავს, როგორ ვუმჯობესებთ კლასში მისი შედეგის რთულ ქცევას და ხომ არ ვურჩევდით რაიმე ხერხის, მეთოდის გამოყენებას შინ.

რთული ქცევის მართვა და არასასურველი ქცევის სასურველი ჩანაცვლება შრომატევადი პროცესია, მოითხოვს დროს, ენერჯიას, ნებისყოფას, ყოველდღიურ შრომას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა - პასუხს შემდეგ კითხვებზე:

1. რა არის რთული ქცევა? განვსაზღვროთ, რით გამოიხატება რთული/არასასურველი ქცევა. დეტალურად აღწეროთ როგორც რთული/არასასურველი, ისე სასურველი/სასარგებლო ქცევა, ამასთან, აღწეროთ ბავშვისთვის ნათელი და გასაგები უნდა იყოს.
  2. როგორ ვლინდება რთული ქცევა? მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ და მოვიინჟინოთ, როგორ და რა სინშირით (დღემი/ კვირაში/ გაცვეთილზე) ვლინდება ჩასანაცვლებელი ქცევა.
  3. რა არის რთული ქცევის წინაპირობა? დავაკვირდეთ, რა გარემოებებში (აქტივობა/ ფრაზა/ ფიზიკური თუ ემოციური მდგომარეობა) და რა წინაპირობების შემდეგ ავლენს ბავშვი რთულ ქცევას.
  4. რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი? განვსაზღვროთ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მისი ასაკობრივი თავისებურებების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
  5. რა არის ჩვენი მიზანი? განვსაზღვროთ რთული (ბავშვისთვის გასაგები), რეალისტური (ბავშვი ხედავდეს, რომ შეუძლია მიზნის მიღწევა), გაზომვადი (ბავშვს უნდა შეეძლოს შესაბამისი განმარტკიცებელი სტიმულებით - ქება, სასურველი აქტივობა, დასარუქება - აღიქვას საკუთარი პროგრესი) მიზანი.
- მიზნის განსაზღვრის შემდეგ ვაკალიბრებთ არგუმენტებს ბავშვისთვის გასაგები ენით და ვალაგებთ თანმიმდევრობით - მარტივიდან რთულიკენ. ამ გზით ვუმზადებთ ბავშვთან მიზანმიმართული და არგუმენტირებული საუბრისთვის.

ასევე, მზად უნდა ვიყოთ ბავშვის მოსაზრებების მოსამენად, მის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად. ალვიჭურვით მოთმინებითა და სიმშვიდით. არ გვეკონდეს იმის მოლოდინი, რომ ბავშვი პირველივე საუბრის შემდეგ გაიანზრებს, რატომ იყო მისი ქცევა არასასურველი. განვსაზღვრავთ, რა არის სასურველი ქცევა და შევთანხმდებით არასასურველი ქცევის სასურველით ჩანაცვლებასზე.

შეთანხმების მიღწევას შესაძლოა რამდენიმე არგუმენტირებული საუბარი დასჭირდეს. იმისთვის, რომ პროცესი ბავშვისთვის საინტერესო და სახალისო იყოს, მნიშვნელოვანია:

- \* პირველი - ვიზუალური გარემოზე, რომელშიც წამოვიწყებთ ბავშვთან საუბარს. გარემო უნდა იყოს კეთილგანწყობილი, მშვიდი, კომფორტული. საუბარი უნდა წარიმართოს დამსწრეთა გარეშე. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის კონცენტრირებას საუბრის თემაზე, განაწყოებს მას გულწრფელი და კეთილგანწყობილი საუბრისთვის, დაგვეზარება ნდობის ატმოსფეროს შექმნაში. ნებისმიერ დამსწრის არსებობა კი, პირიქით, უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის თვითშეფასებაზე, ღირსების გრძობაზე, შესაბამისად, ხელს შეგვიშლის გულწრფელი და ურთიერთნდობაზე დამყარებული, შედეგიანი საუბრის გამართვაში.
- \* მეორე - სასურველია პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული თვალსაჩინოების: ზღაპრის, მოთხრობის, იგავის, მულტიპლიკაციური ფილმის, ფილმის, ანიმაციის, ილუსტრაციის, - გამოყენება. ეფექტიანია შესაბამისი თვალსაჩინოების არგუმენტირებული განხილვა, მაგალითების მოყვანა, მთავარი გმირების მოტივებზე, გადაწყვეტილებებსა და ამ გადაწყვეტილებების შედეგებზე საუბარი, დაფიქრება იმაზე, რომელი გადაწყვეტილება იქნებოდა უკეთესი და რატომ.
- \* მესამე - ძალიან მნიშვნელოვანია, ვაკონტროლოთ ჩვენი საუბრის კილო. ის უნდა იყოს დამაჯერებელი და მშვიდი. არ მოვერიდოთ კითხვების დასმას, ვთხოვთ ბავშვს არგუმენტების მოყვანა, საკუთარი ქმედებისა და მოსაზრების დასაბუთება.

\* მეოთხე - იმისთვის, რომ საუბარი შედეგიანი იყოს, უნდა მოვერიდოთ ბავშვის შედარებას სხვასთან. გვახსოვდეს: ბავშვის ამჟამინდელ ქცევას ან მდგომარეობას ვადარებთ მხოლოდ ამავე ბავშვის წინა ქცევასა და მდგომარეობას.

\* მეხუთე - თავი ავარიდოთ ნებისმიერი სახის ბრძანებას

სრულდება, თანაც მოაქვს მშვიდი, სტაბილური, სიყვარულზე, პატივისცემაზე, ნდობასა და თანაგანაცხადზე დაფუძნებული ურთიერთობები.

ამრიგად, მიზნობრივი საუბარი მეტად ეფექტიანია, ვიდრე დასჯა, ამიტომ ნამდვილად ღირს, გავიაროთ რთული და შრომა-

### ანი ანუშიძე

## რთული ქცევა მიზნობრივი საუბრების მნიშვნელობა



და არ გამოვიყენოთ ფრაზები, რომლებიც ბავშვისგან მოითხოვს ჩვენი თხოვნის ან მოთხოვნის უპირობო შესრულებას. ამ ტიპის ფრაზებით ბავშვს ვუყალიბებთ მორჩილ ხასიათს, ვაღდებულს ვხდით, უსიტყვოდ შესარულოს მოთხოვნა. ჩვენი მიზანი კი ის არის, ავუსხნათ, განვუმართოთ, დავარწმუნოთ და ბრძანებების ნაცვლად გზამკვლევი მივაწოდოთ.

ტევადი, არგუმენტირებული, დასაბუთებასა და დარწმუნებაზე ორიენტირებული მიზნობრივი საუბრების გზა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მელიქიშვილი. ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ.
2. თ. მუმლაძე, ნ. მიქია, თ. საამიშვილი. ქცევის მართვის ინდივიდუალური შემთხვევების განხილვა. გამკვლევი მასწავლებლებისთვის. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2018 წ.
3. თ. მუმლაძე, ნ. მიქია, თ. საამიშვილი. ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერა სკოლებში - პრევენციული აქტივობები. გამკვლევი მასწავლებლებისთვის. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2018 წ.
4. მ. ბაგრატიონი, შ. ტყეშელაშვილი, ლ. ქურციკიძე. ინკლუზიური განათლების გამკვლევი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, 2021 წ.
5. თანამედროვე სკოლის მართვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2021 წ.

**SEL – სოციოემოციური სწავლება** – არის პროცესი, როდესაც ბავშვები და მოზარდები იძენენ და ეფექტიანად იყენებენ ცოდნას, დამოკიდებულებასა და უნარებს ემოციების გასაგებად, პოზიტიური მიზნების განსაზღვრად და მისაღწევად. გრძობენ და ამყლავებენ ემპათიას სხვების მიმართ, ამყარებენ და ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობას და იღებენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

უზრუნა „მასწავლებელში“ დაბეჭდილ სტატიაში ავტორი



სოციალურ-ემოციური სწავლება შეგვიძლია დავყოთ ხუთ ძირითად კატეგორიად, კომპეტენციებად, რომლებიც მოიცავს მოსწავლის კოგნიტიურ, ემოციურ და ქცევით ასპექტებს.

1. თვითნებობა
2. თვითრეგულაცია
3. სოციალური ინფორმაციის გადამუშავება
4. სოციალური კომპეტენციები
5. პასუხისმგებლობის გრძობა

დ. ბოლქვაძე აღნიშნავს, რომ თუ სკოლამდელ ასაკში მშობლები შეიღებენ განვითარებაზე ზრუნვით არიან დაკავებული, მაგალითად, უკითხავენ ზღაპრებს, უფერიან ძილის წინ, ეხმარებიან ყოფილი ცხოვრების უნარების ჩამოყალიბებაში, სკოლაში შესვლის შემდეგ ეს პროცესი სუსტდება, რადგან მშობლის მხრივ პასუხისმგებლობა გადადის სკოლასა და შეიღების ბუნებრივი ზრდა-განვითარების პროცესზე, „დანარჩენს თავად ისწავლის“ პრინციპით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე (<http://mastsavlebeli.ge/?p=177740>).

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ემოციური ინტელექტის თეორიის ავტორი, ამერიკელი ფსიქოლოგი დანიელ გოლმანი, იკვლევდა, რატომ არ იყო დამოკიდებული ადამიანების წარმატება მხოლოდ გონებრივ შესაძლებლობებსა და აკადემიურ უნარებზე, როგორ ახერხებდა ზოგიერთი პიროვნება მასზე გონებრივად აღმატებულ ადამი-

ანებთან შედარებით წარმატების მიღწევას, რატომ არ არის ინტელექტის მაჩვენებელი საკმარისი პროგნოზების გასაკეთებლად.

გოლმანმა ახალი ტიპის ინტელექტს „ემოციური ინტელექტი“ უწოდა. მეცნიერთა განმარტებით, ეს არის ადამიანის უნარი, გაიგოს საკუთარი გრძობები, გამოხატოს სხვის მიმართ ემპათია და მოახდინოს ემოციების ეფექტური რეგულირება/მართვა. საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი არ დგინდება გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით. ემოციურ ინტელექტს გონებრივი, კოგნიტიური ინტელექტისგან ისიც განასხვავებს, რომ ემოციური ინტელექტის კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის წარმატების წინასწარმეტყველებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი დონის ემოციური ინტელექტის ქონება, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტისა. ამ ემოციურ უნარს სხვანიარად ადამიანური ურთიერთობის უნარსაც უწოდებენ.

საინტერესოა მკვლევრების ერთი დასკვნაც. ისინი ფიქრობენ, რომ ემოციური კომუნიკაციის 90% არავერბალურია. ემოციურ ინტელექტს, ისევე როგორც რომელიმე სხვა უნარს, ზოგიერთი ბავშვი თავიდანვე ავლენს. ასეთი ბავშვები კონტროლს უწევენ საკუთარ იმპულსებს, ნაკლებად არიან მიდრეკილი ტანტრუმისა და სხვა ასეთი ქცევებისკენ. აღრეულ ასაკში ემოციური ინტელექტის მიმანიშნებელია ისეთი ერთი შეხედვით უზრალ მოქმედება, როგორცაა დესერტის მშვიდად დალოდება მაგადასთან, სანამ სხვები სადილს დაამთავრებენ. ემოციურად ინტელექტუალური ბავშვები ხალისიანები არიან. ისინი უკეთესად ართმევენ თავს სასკოლო სირთულეებს, ინარჩუნებენ სიმშვიდეს რთულ ვითარებაში, აკონტროლებენ ემოციებს, შეუძლიათ გამოიციონ ახლოებული ადამიანების გრძობები და შესაძლო რეაქციები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციური ინტელექტის განვითარება სკოლაში. სკოლას შეუძლია, დანერგოს „ემოციური განათლების“ პროგრამა. ეს პროგრამა ასწავლის ბავშვებს ბრზობით, იმედგაცრუებითა და მართობით გამოწვეული ემოციების მართვას. განათლების საეციალისტები მიუთითებენ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობაზე, რადგან მოზარდებს, რომლებიც არ ფლობენ ბრზობის დასარეგულირებლად საჭირო ტექნიკებს ან დებრესიაში არიან, ხშირად აქვთ კონფლიქტი თანატოლებთან, რაც ხელს უშლის მათ მენტალურ

კეთილდღეობას და აკადემიურ პროგრესს სკოლაში.

კონფლიქტის კრეატიულად გადაჭრის პროექტი (The Resolving Conflict Creatively Project) ემოციურ ინტელექტზე დაფუძნებული ერთ-ერთი პროგრამაა. მისი სახელწოდება გვიჩვენებს, რომ იგი მიმართულია, დაეხმაროს მოსწავლეებს კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიებაში, უფითარებს მათ ინტერპერსონალურ უნარებს. ჯონ დაველი, პროექტის ავტორი და ბავშვთა კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი, ამბობს: „ეს ის უნარებია, რომლებიც ამწვიდებს ბავშვებს გაბრზობისას, ეხმარება მათ მეგობრების შექმნაში, ასწავლის სხვისი აზრის

**ნიკო ცხაკაია**

## სოციოემოციური უნარების სწავლება



გათვალისწინებით კონფლიქტის გადაჭრას, უყალიბებს ეთიკური და უსაფრთხო გადაწყვეტილებების არჩევის უნარს“.

დონა ჰიუსმენი, ფსიქოლოგიის სპეციალისტი მასაჩუსეტსიდან, ამბობს, რომ ემოციური ინტელექტის სწავლა სავესებით შესაძლებელია. მან თანამოზრებთან ერთად შექმნა სოციოემოციური სწავლის (Social-emotional learning; SEL) პროგრამა, რომელიც ახდენს ჰუმანიტარული მიმართულების სასკოლო საგნებთან ისეთი სასიცოცხლო უნარების ინტეგრირებას, როგორებიცაა ძიება, აქტიური სწავლა, რეფლექსია, საკუთარი თავისა და სხვების შეცნობა. „უამრავი კვლევით და თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ემოციური ინტელექტის ჩვენს სკოლის კურსულში ჩართვით დავამტკიცეთ, რომ მოსწავლეებს, ხდებიან რა თავიანთი ემოციების მცოდნენი, ეფექტურად შეუძლიათ მათი მართვა და უკეთესად ართმევენ თავს სწავლაზე კონცენტრირებას“, – ამბობს ჰიუსმენი. ის

მიჩნევს, რომ საუკეთესო შედეგი დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან აღირიცხა.

ჰაუსმენის თანამოზრე ჯონ პეიტონი იკვლევდა, რა შედეგები მოჰქონდა სოციოემოციურ სწავლებას აკადემიური თვალსაზრისით. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 300-ზე მეტი კვლევა 300 000-ზე მეტ მოსწავლეს შორის (ასაკი – 6-13 წელი). დადგინდა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სოციოემოციური სწავლების პროგრამაში იყვნენ ჩართული, 11-17%-ით უკეთეს შედეგებს აღწევდნენ, ვიდრე ამ პროექტის მიღმა დარჩენილები. ჩვენ შევძელით დავამტკიცებინა, რომ სოციოემოციური სწავლება არ არის მოსწავლის ძვირფასი დროის არააკადემიური მიმართულებით

ამო ფლანგვა. მოსწავლეების აკადემიური მიღწევები იზრდება, მათი სოციალური და ემოციური უნარები უზოჯობსდება, ცუდი ქცევა და აგრესია მცირდება“, – ამბობს პეიტონი.

ამგვარად, სოციოემოციური უნარების სწავლება სკოლებში ამაღლებს მოზარდთა მოტივაციას, აძლიერებს მენტალურ კეთილდღეობას და ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და ეფექტურ სასწავლო გარემოს, რაც, კვლევების მიხედვით, გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგების პროგრესზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. J.A. Durlak, C.E. Domitrovich, R.P. Weissberg and T.P. Gullotta. Handbook of Social and Emotional Learning. 2015
2. D. Goleman. Emotional intelligence. New York: Bantam Books. 1995
3. Panorama education, User guide. Social-emotional learning. 2015
4. Social and Emotional Learning in Elementary School. The Pennsylvania State University. 2017

იდეები ხმას მაშინ იღებენ, როდესაც გონებრივი იერიში იწყება.

მორის დრიუონის „მწვანეთითება ტისტუს“ სწავლებისას ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად შეიძლება მივიჩნიოთ გონებრივი იერიშის მეთოდი (Brainstorming), რადგან ნაწარმოები დატვირთულია ისეთი აქტუალური და ღრმა თემებით, რომლებიც მოსწავლევს ფიქრის, მსჯელობისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისკენ უბიძგებს.

აღნიშნული მეთოდი მოსწავლეთზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვანი ფორმაა და მისი მთავარი მიზანია აზროვნების გააქტიურება, პრობლემური საკითხების დანახვა, იდეების თავისუფლად გამოხატვა და ტექსტის მრავალმხრივი გააზრება. „მწვანეთითება ტისტუს“ სწორედ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც მოსწავლევს მხოლოდ შინაარსის დამახსოვრებას კი არა, ემოციურ და ლირებულულებით მსჯელობასაც სთავაზობს, ამიტომ გონებრივი იერიშის მეთოდი მას განსაკუთრებით ბუნებრივად ერგება.

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლევს სთავაზობს რამდენიმე პრობლემურ, ღია და დამაფიქრებელ კითხვას, რომლებიც იმავდროულად ნაწარმოების მთავარ თემებთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად:

1. რა იწვევს ადამიანში სისასტიკეს?
2. რატომ არსებობს ომი?
3. შესაძლებელია თუ არა სამყაროს შეცვლა სიკეთით?
4. რა არის ნამდვილი ძალა?
5. რატომ ავიწყდება საზოგადოებას ადამიანურობა?
6. შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს დიდი ცვლილებების მოხდენა?

მოსწავლევები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, ასოციაციებსა და ვარაუდებს. პირველ ეტაპზე მასწავლებელი არ აფასებს პასუხებს, რადგან გონებრივი იერიშის მეთოდის არსი სწორედ იდეების თავისუფალი გენერირება და აზროვნების სტიმულირებაა.

მოსწავლევები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე, თანამედროვე სამყაროზე, ძალადობაზე, ადამიანურ ურთიერთობებსა და სიკეთის მნიშვნელობაზე. ამ პროცესში იქნება გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე გრძობს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

ამის შემდეგ იწყება უკვე ტექსტთან დაკავშირება. მოსწავლევები აკვირდებიან მთავარ პერსონაჟს და მსჯელობენ, რატომ განსხვავდება ის სხვა ადამიანებისგან. ისინი თავად მიდიან იმ დასკვნამდე,

რომ ტისტუს მხოლოდ ზღაპრული პერსონაჟი არ არის. ის სიკეთის, სიწმინდის, თანაგრძობისა და ჰუმანურობის სიმბოლოა. მისი „მწვანე თითები“ კი სიყვარულსა და მშვიდობას ავრცელებს. მოსწავლევები აცნობიერებენ, რომ ტისტუს სამყაროს ბავშვური გულწრფელობით უყურებს და სწორედ ამიტომ ამჩნევს იმას, რასაც უფროსები ვეღარ ხედავენ: ადამიანთა ტკივილს, უსამართლობას, ომის სისასტიკესა და საზოგადოების გულგრილობას.

გონებრივი იერიშის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური ხდება მაშინ, როდესაც მოსწავლევები იწყებენ ნაწარმოებში არსებული სიმბოლოების გააზრებას. მასწავ-

აფიქრებინებს, რომ ძალადობის დამარცხება მხოლოდ სიყვარულით, თანაგრძობითა და ადამიანურობით არის შესაძლებელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ეპიზოდებს, სადაც ტისტუს ციხესა და იარაღს ყვავილებით ფარავს. მოსწავლევები მსჯელობენ:

- ❖ რატომ გააჩინა ტისტუს ყვავილები ციხეში?
  - ❖ რატომ დაფარა მან იარაღი ყვავილებით?
  - ❖ რას ცდილობდა ამით?
- გონებრივი იერიშის პროცესში მოსწავლევები თავად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ტისტუს არ ცდილობს ადამიანების ძალით შეცვლას. იგი სამყაროს სიყვარულით უპირისპირდება. მისი ბრძოლა

აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლევები მზა პასუხებს კი არ იღებენ, არამედ თავად აღმოაჩენენ ნაწარმოების მთავარ იდეებს. ისინი დამოუკიდებლად მსჯელობენ და ასე გამოაქვთ დასკვნა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და სახალისო ხდება. მოსწავლევებს ეძლევათ საშუალება, თავისუფლად გამოთქვან ვარაუდები. გარდა ამისა, ამ მეთოდის პირველი ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა იდეების თვალსაჩინო ადგილზე ჩამოწერაა, რათა ბავშვებმა უკეთ დაინახონ და


### ციცინო გაზმიშვილი

## გონებრივი იერიშის მეთოდზე დაფუძნებული სწავლება მორის დრიუონის „მწვანეთითება ტისტუს“ მაგალითზე

ლებელი მათ სთავაზობს რამდენიმე მნიშვნელოვან სიმბოლოს:

- ❖ ყვავილი
- ❖ ომი
- ❖ ქლაქი
- ❖ იარაღი
- ❖ მწვანე ფერი
- ❖ ციხე
- ❖ განკურნება

მოსწავლევები გამოთქვამენ საკუთარ შეგრძნებებს და მოსაზრებებს თითოეულ მათგანზე. ისინი მსჯელობენ, რას შეიძლება აღნიშნავდეს ყვავილი და მიდიან დასკვნამდე, რომ ის სიკოცხლის, იმედის, სიბოძისა და ჰუმანობის სიმბოლოა. მწვანე ფერი მათთვის ბუნებასთან, განახლება და სიკოცხლსთან ასოცირდება, ომი და იარაღი კი სისასტიკის, ძალადობისა და ადამიანური უგუნურების სიმბოლოდ წარმოიჩნდება. მოსწავლევები გაიზრდებიან, რომ ტისტუს ყვავილებით ებრძვის ომს და ამ გზით ავტორი მკითხველს



მშვიდობიანი და ჰუმანური. სწორედ ეს არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი – სამყაროს შეცვლა შესაძლებელია არა ძალადობით, არამედ სიკეთითა და თანაგრძობით.

მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მოსწავლევების მიერ ტექსტის თანამედროვე რეალობასთან დაკავშირება. ისინი მსჯელობენ დღევანდელ სამყაროზე, ომებზე, ადამიანთა გულგრილობაზე, საზოგადოების პრობლემებზე. მოსწავლევები აანალიზებენ, რამდენად აქტუალურია ტისტუს გზავნილი დღესაც და რატომ ისწორდება თანამედროვე საზოგადოებას სიყვარული, ემპათია, ჰუმანურობა.

გონებრივი იერიშის მეთოდი ხელს უწყობს:

1. კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
2. შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებას;
3. თავისუფალი აზრის გამოხატვას;
4. ტექსტის ღრმა და მრავალმხრივ გააზრებას;
5. ემპათიისა და ჰუმანური ღირებულებების განვითარებას (თავად ნაწარმოები ჰუმანიზმზეა დაფუძნებული).

გაიზრდნენ ერთმანეთის იდეები და მოსაზრებები. ასეთი ნაწარმოებების განხილვის დროს მოსწავლევების გონება უამრავ მოსაზრებას ამუშავებს და გადმოსცემს.

მეორე ეტაპი საკუთარი დამოკიდებულებების გამოთქმის, დისკუსიისა და შეფასების ეტაპია. ჩემთვის, მომავალი მასწავლებლისთვის, გონებრივი იერიშის მეთოდი ის იარაღი იქნება, რომელსაც მოსწავლეთა წიგნიერების, კითხვისა თუ მსჯელობის უნარების განვითარებისთვის გამოვიყენებ.

„ყველაზე ძლიერი იარაღი აზროვნებაა, ხოლო გონებრივი იერიში – მისი თავისუფლება“.

\* სტატიამ წარმოდგინდა მეთოდოლოგია ეფუძნება ავტორის პედაგოგიურ პრაქტიკას და თანამედროვე სწავლების ინტერაქციულ პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. კაპანაძე, გონებრივი იერიში – აქტიური მეთოდი ყველა საფეხურისათვის <https://mastsavlebeli.ge/?p=17988>
2. მათა ჯალიაშვილი, გონებრივი იერიშის ნიუანსები <https://mastsavlebeli.ge/?p=13934>

საგანმანათლებლო სივრცეში, სპორტული მოედანი იქნება ეს, საკლასო ოთახი თუ პროექტული სწავლება, გუნდის ფორმირება გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ბავშვების ჯგუფებად დაყოფა. ეს არის მიზანმიმართული პედაგოგიური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ეგოცენტრული ფაზის („მე“) ტრანსფორმაცია სოციალურ-თანამშრომლობით ფაზად („ჩვენ“).

ქვემოთ განხილულია გუნდის ფორმირების თეორიული (პედაგოგიური) საფუძვლები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზები სპორტის გაკვეთილების მაგალითზე.

**პედაგოგიური საფუძვლები (თეორიული ჩარჩო)**

გუნდური მუშაობის პედაგოგია ეყრდნობა სოციალური კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, სწავლა და პიროვნული განვითარება ყველაზე ეფექტურად სოციალური ინტერაქციის პროცესში ხდება.

ეფექტური გუნდის ფორმირებისას პედაგოგია ეყრდნობა სამ მთავარ სვეტს:

1. **პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება:** მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ინდივიდუალური წარმატება დაკავშირებულია გუნდის წარმატებასთან. „თუ შენ ვერ შეასრულე შენი როლი, ვერც მე მივაღწევ მიზანს“.

2. **ინდივიდუალური და კოლაბორაციული პასუხისმგებლობა:** გუნდურობა არ ნიშნავს ინდივიდუალობის დაკარგვას ან ვინმეს ზურგს უკან დამალვას. თითოეულ წევრს აქვს კონკრეტული, გაზომვადი ფუნქცია.

3. **თანასწორობა და მრავალფეროვნება:** პედაგოგია აღიარებს, რომ გუნდში ყველა ერთნაირი უნარების მქონე ვერ იქნება. პირიქით, ძალია განსხვავებულობაშია (ვიდაც სტრატეგია, ვიდაც – შემსრულებელი, ვიდაც – მამოტივირებელი).

**გუნდის განვითარების ეტაპები პრაქტიკაში**

პრაქტიკულ საქმიანობაში ნებისმიერი ჯგუფი გადის განვითარების დინამიკურ ფაზებს (ბრიუს

ტაკმენის მოდელის მიხედვით), რომლებსაც მასწავლებელმა ფასილიტაცია უნდა გაუწიოს:

საბოლოო პროდუქტი ვერ შეიკვრება, თუ თითოეულმა წევრმა თავისი წილი სამუშაო

ფაზა	რა ხდება ამ დროს?	პედაგოგის როლი და სტრატეგია
1. ფორმირება	მოსწავლეები აკვირდებიან ერთმანეთს, ფრთხილობენ, შფოთავენ.	ორიენტირება: წესების ერთობლივი შემუშავება, ნდობის აღმშენებელი თამაშები
2. შეჯახება/შტორმი	იწყება ინტერესთა კონფლიქტი, ლიდერობისთვის ბრძოლა, „მე“-ს წინ წამოწევა.	მედიაცია: მასწავლებელი კი არ აერობს კონფლიქტს, არამედ ასწავლის მის კონსტრუქციულ მართვას.
3. ნორმირება	ყალიბდება საერთო ლიდერულელები, ბავშვები იღებენ თავიანთ როლებს, ჩნდება ნდობა.	ფასილიტაცია: ავტონომიის გადაცემა მოსწავლეებისთვის, გუნდური სულისკვეთების წახალისება
4. ფუნქციონირება	ჯგუფი მუშაობს როგორც ერთიანი ორგანიზმი. მიზანი მიღწეულია. „მე“ ხდება „ჩვენ“.	დელეგირება: მასწავლებელი გადადის დამკვირვებლის როლში და აძლევს ბავშვებს შემოქმედებით თავისუფლებას.

**გიორგი სილაგავა**

**გუნდის ფორმირების პედაგოგია და პრაქტიკა**

როგორ ვაძციოთ კლასი გუნდად

როლების მიზნობრივი განაწილება

მოსწავლეებს არ უნდა მიეცეთ უფლება, ყოველთვის ერთსა და იმავე კომფორტის ზონაში დარჩნენ (მაგ., დომინანტი ბავშვი მუდამ ლიდერი იყოს, პასიური კი ჩრდილში დარჩეს). როლები უნდა იყოს როტაციული:

- ☒ **კაპიტანი/ფასილიტატორი** (მართავს პროცესს, იცავს დროს);
- ☒ **იღებების გენერატორი/სტრატეგი** (ფიქრობს კომინაციებზე/ გადაჭრის გზებზე);
- ☒ **მზღვეველი** (ამოწმებს შეცდომებს, ეხმარება სუსტ რგოლებს);
- ☒ **სპიკერი** (წარმოაჩენს გუნდის ნამუშევარს/ შედეგს).

„საერთო მიზანი“ სტრატეგია

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ისეთი დავალება, რომლის



არ შეასრულა. სპორტში ეს არის კომბინაციური თამაში (მაგ., გოლი არ ითვლება, თუ ბურთს არ შეეხო გუნდის ყველა წევრი).

**რიფლექსია – მარცხისა და წარმატების განსაზღვრება**

პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია აქტივობის შემდგომი განხილვა. მასწავლებელმა უნდა დასვას სწორი კითხვები:

- რა დაგვცხმარა მიზნის მიღწევამ?
- როდის დავკარგეთ ერთმანეთი მოედანზე/მუშაობისას და რამ გამოიწვია ეს?
- როგორ იგრძენი თავი, როცა თანაგუნდელმა დაგაზღვია/დაგცხმარა?

**პედაგოგიური გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები**

**გამოწვევა:** დომინანტი მოთამაშეები („ვარსკვლავები“), რომლებიც თამაშს/პროცესს ითვისებენ

**გადაწყვეტა:** ლიმიტების დაწესება (მაგ., ბურთის ფლობის დროის შეზღუდვა ან შეთანხმება, რომ „ვარსკვლავს“ გოლის გატანა შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პასს ყველაზე პასიური მოთამაშისგან მიიღებს).

**გამოწვევა:** შეცდომებში ერთმანეთის დადანაშაულება

**გადაწყვეტა:** კულტურის შეცვლა – შეცდომა განხილულ უნდა იქნეს არა როგორც კონკრეტული პირის მარცხი, არამედ როგორც გუნდური სისტემის ხარვეზი, რომელიც ერთად უნდა გამოისწორდეს („ჩვენ ერთად ვაგებთ და ერთად ვიგებთ“).

**შეჯამება:** გუნდის ფორმირების პრაქტიკა პედაგოგისგან მოითხოვს მოთმინებას, მოქნილობას და მზაობას, რომ კონტროლი ეტაპობრივად თავად მოსწავლეებს გადაულოცოს. როდესაც ბავშვი სწავლობს გუნდურობას, ის იძენს უმთავრეს სოციალურ კომპეტენციას, რაც მას ნებისმიერ სამოქალაქო თუ პროფესიულ სივრცეში წარმატებულ მოქალაქედ აქცევს.

თავისი არსით ყველაზე ჰუმანური და მოსწავლეზე ორიენტირებული ნაწილია. მისი ინდიკატორები მოითხოვს მოსწავლის უფლებების დაცვას, უსაფრთხო გარემოს, კარიერულ კონსულტირებას, სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას. თუმცა ამ ინდიკატორების პრაქტიკული ვერიფიკაცია აჩვენებს, რომ აქცენტი კვლავ საქმის წარმოებაზეა გადატანილი – მოწმდება დებულებები, ჟურნალები და ფოტომასალა და არა რეალური ხარისხი.

სინამდვილეში მხარდაჭერა მხოლოდ დაგეგმილი კალენდარული ღონისძიებები არ არის. იგი უნდა კონცენტრირდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მის ფსიქოემოციურ კონტექსტზე. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მოსწავლეები მუდმივად იმყოფებიან საინფორმაციო ნაკადის, სოციალური მედიისა და AI ინსტრუმენტების გავლენის ქვეშ. ეკრანზე დამოკიდებულება, კიბერბულინგი და ვირტუალური იზოლაცია ახალ საგანმანათლებლო გამოწვევებს აჩენს. ამიტომ სკოლაში მოსწავლის მხარდაჭერა უნდა გაიზომოს სასკოლო კულტურით, სადაც თითოეული ბავშვი თავს ემოციურად უსაფრთხოდ იგრძნობს. მხარდაჭერა ნიშნავს საგნობრივი კათედრების, პედაგოგებისა და სასკოლო ფსიქოლოგიური სამსახურის მჭიდრო, ორგანიზებულ კოორდინაციას მოსწავლის შფოთვის შესამცირებლად, ციფრული ჰიგიენისა და მედიაწიგნიერების უნარების განსავითარებლად. მსგავსი მიდგომა წარმატებით ხორციელდება ფინეთის სკოლებში – იქ მოსწავლის კეთილდღე-

ობის მხარდაჭერა ეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდების (მასწავლებელი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) მუდმივ თანამშრომლობას, რაც ბავშვის სოციომოციურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

#### 4. ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა ცხრანლიანი საავტორიზაციო ციკლის პირობებში

ავტორიზაციის ვადის ცხრა წლამდე გაზრდა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც სკოლას მუდმივი გარე სტრესიგან ათავისუფლებს. თუმცა არსებობს რისკი, რომ სკოლამ წარმატებული ავტორიზაციის შემდეგ შეასუსტოს ყურადღება ხარისხის მონიტორინგზე და ინერციით მართვის პირობებში დაკარგოს რეალური პროგრესის დინამიკა.

ამ გამოწვევის საპასუხოდ გარე შეფასება უნდა გადაიქცეს რისკზე დაფუძნებულ, მსუბუქ მონიტორინგად, ხოლო სიმძიმის ცენტრი სკოლის შიდა ხარისხის განვითარების ჯგუფზე გადავიდეს. ამისთვის სკოლამ შიდა შეფასების მექანიზმები (კოლეგების ურთიერთდასწრება და რეფლექსია) უნდა გამოიყენოს არა მხოლოდ ფორმალური ანგარიშგებისთვის, არამედ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლადაც. როდესაც ეს ინსტრუმენტები კაბინეტებიდან საკლასო ოთახში გადაინაცვლებს, ხარისხის მართვა სკოლის შიგნით ცოცხალ, ყოველდღიურ პროცესად იქცევა.

თუმცა მხოლოდ სკოლის ძალისხმევა არ კმარა, რადგან ეს პროცესი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული გარე შეფასების მექანიზმებთან. უკვე მეორე წელია, რაც ფუნქციონირებს თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა, რომელიც წელს დამატებული მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის კითხვარებით კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი გახდა. სამწუხაროდ, კითხვარებში დასმული აქცენტები ხშირად მარეგულირებელ დოკუმენტებსა თუ ბიუროკრატიულ პროცედურებზეა ორიენტირებული, ნაკლებად უკავშირდება სასწავლო პროცესს და, ბუნებრივია, მოსწავლეებისა თუ მშობლების ინტერესს სცდება. შედეგად ეს ინსტრუმენტი კარგავს თავის უმთავრეს დანიშნულებას – ასახოს კონკრეტული სკოლის ავთენტური გარემო. ამასთანავე, გადასამუშავებელი მასალის უზარმაზარი მოცულობის გამო ცენტრალურ დონეზე ინფორმაციის დროული დამუშავება და სკოლებისთვის უკუკავშირის (ფიდბეკის) დაბრუნება დიდ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, სისტემამ უნდა დანერგოს ისეთი ციფრული პროგრამა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში სასვებით შესაძლებელს გახდის მყისიერი, ავტომატიზებული უკუკავშირის გენერირებას. სწორედ ეს აქცევს რეალურად ქმედითად ამ ორმხრივ პლატფორმას.

#### დასკვნა და პრაქტიკული რეკომენდაციები

წინამდებარე ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი, ოთხსტანდარტიანი

**ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინ გადადგმული ნაბიჯია ხარისხის შეფასების ძველი, სამსტანდარტიანი მოდელიდან ახალ, ოთხსტანდარტიან ჩარჩოზე გადასვლა. ოთხი განახლებული სტანდარტი აფართოებს ამ ჩარჩოს და მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას; სასკოლო კურიკულუმს; სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას; მოსწავლეთა მხარდაჭერას.**

მოდელი ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობას ხარისხის მართვის პროცესის შინაარსობრივი ტრანსფორმაციისთვის. თუმცა რეფორმის რეალური ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს სისტემა ფორმალური შესაბამისობის შეფასებიდან მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების შეფასებაზე გადასვლას. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის შიდა ხარისხის კულტურას, პროფესიულ თანამშრომლობასა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

1. **ბიუროკრატიული პროცედურების ოპტიმიზაცია და სისტემური გაციფრულება:** სასკოლო დოკუმენტები უნდა „გაცოცხლდეს“, გახდეს ლაკონური და მჭიდროდ დაუკავშირდეს პედაგოგიურ ქმედებებს, რათა სასკოლო საზოგადოებამ მათში რეალური, პრაქტიკული საჭიროება დაინახოს და არა მორიგი ბიუროკრატიული ვალდებულება. ესტონეთის გამოცდილების მსგავსად, გარე მონიტორინგის გაციფრულებამ მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს ადმინისტრაციული ტვირთი.

არსებულ ელექტრონულ პლატფორმაზე AI-ტექნოლოგიების ინტეგრირება შესაძლებლობას მისცემს სკოლებს, მონაცემთა დიდი მოცულობის მიუხედავად, მიიღონ მისიერი, ავტომატიზებული უკუკავშირი, რაც მთელ ამ პროცესს მშრალი ანგარიშგებიდან რეალური განვითარების ორმხრივ ინსტრუმენტად აქცევს.

2. **მოსწავლეთა ფსიქოემოციური ვალიდაცია:** სკოლებმა უნდა გამოიყენონ მოსწავლეთა და მშობელთა ანონი-



მური ანეკტირება სასკოლო კულტურისა და ემოციური უსაფრთხოების შესახებ. გამოკითხვები მშრალი ბიუროკრატიული ფორმატიდან სასკოლო კულტურისა და ემოციური უსაფრთხოების რეალურ საზომად უნდა იქცეს. იმისთვის, რომ დასმულმა კითხვებმა რეალური შინაარსი შეიძინოს და სასწავლო პროცესს დაუკავშირდეს, აუცილებელია სასკოლო ფსიქოლოგებისა და საგნობრივი კათედრების კოორდინირებული თანამშრომლობა მიღებული მონაცემების ვალიდურობისა და შიდა ანალიზის პროცესში.

**3. XXI საუკუნის უნარებისა და AI წიგნიერების ინტეგრირება:** სასკოლო კურიკულუმებმა დინამიკურად უნდა უპასუხოს ტექნოლოგიურ გამოწვევებს, რაც მეორე სტანდარტის ინდიკატორების რეალური შეფასების საფუძველია. შოტლანდიის მოდელის მსგავსად, აქცენტი მზა პასუხებიდან კრიტიკულ ანალიზსა და პროექტებით სწავლებაზე (PBL) უნდა გადავიდეს. იმისთვის, რომ ეს მიდგომა პროტოკოლის ფორმალურ განხილვად არ დარჩეს, საგნობრივი ექსპერტების ინტეგრირება უფრო მიზნობრივი უნდა გახდეს. შეფასება უნდა ფოკუსირდეს უშუალოდ სასწავლო პროცესის გააქტიურებაზე, რათა ნათლად გამოჩნდეს, რამდენად რეალურად იყენებენ მოსწავლეები ტექნოლოგიებს შემოქმედებითი პროექტებისა და პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტად.

**4. უწყვეტი განვითარების შიდა კულტურა:** ავტორიზაციის შემდგომ, ცხრაწლიან პერიოდში, სკოლამ განვითარების ტემპი რომ არ დაკარგოს, აქცენტი კონტროლიდან მასწავლებლის მხარდაჭერაზე უნდა გადავიდეს. ეს პირდაპირ უკავშირდება მეორე სტანდარტს – სათანადო მომზადებისა და ციფრული უნარების გარეშე პედაგოგიველარ შეძლებს XXI საუკუნის სასწავლო პროცესის წარმართვას. ამიტომ მთავარი ამოცანა მასწავლებელთა რეალური საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი ტექნოლოგიური გაძლიერებაა. ხარისხის უზრუნველყოფა კაბინეტებიდან საკლასო ოთახში უნდა იწვევდეს კათედრების მხარდაჭერით, კოლეგიალური თანამშრომლობითა და რეფლექსიით.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ მოთხოვნების შესრულებაზე, არამედ მათ შინაარსობრივ გაზრებასა და ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ეფექტიან ინტეგრაციაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, ხარისხის მართვის სისტემა იქცეს არა ადმინისტრაციული კონტროლის, არამედ თითოეული მოსწავლის პიროვნული, აკადემიური და სოციომოციური განვითარების მხარდაჭერ მექანიზმად.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მედიაწიგნიერების გაცვეთილები: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. კომუნიკაციების კომისია, UNICEF და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2023  
<https://sl1nk.com/mtw2k1a>
2. კრიტიკული აზროვნება და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში (პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზი). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (წ. გ.)
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (წ. გ.)  
<https://eqe.ge/res/NewFolder%2028/NewFolder/NewFolder/matsne-1031755-56.pdf>
4. მ. ხუნდაციშვილი, ს. ბივერი. განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება: სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი / ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, 2017
5. D. Kluster. What is Critical Thinking? *Thinking Classroom: An International Journal of Reading, Writing and Critical Reflection*, 2001
6. PISA 2022 Results: Factsheets - Georgia. OECD Publishing, 2023
7. C. A. Tomlinson. *How to Differentiate Instruction in an Academically Diverse Classroom* (3rd ed.). ASCD, 2017



ნინო მარდიშვილი

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა კომპიუტერული ტექნოლოგიების საბნის ჭრილში

**კომპიუტერული  
ტექნოლოგიები ქმნის  
შესაძლებლობას,  
ეროვნული მიზნები  
პრაქტიკულ,  
შემოქმედებით და  
მოსწავლისთვის  
საინტერესო  
აქტივობებად  
გარდაიქმნას.  
სტატიაში  
განხილულია, როგორ  
შეიძლება ამ მიზნების  
ინტეგრირება  
სასწავლო პროცესში  
სხვადასხვა  
აქტივობისა და  
პროექტის მეშვეობით.**

2024 წლის 12 ივნისს დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ფუნდამენტურ ღირებულებებსა და კომპეტენციებს, რომლებიც სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანს, რადგან იგი არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ მრავალმხრივ კომპეტენციებსაც ავითარებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები ქმნის შესაძლებლობას, ეროვნული მიზნები პრაქტიკულ, შემოქმედებით და მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობებად გარდაიქმნას. სტატიაში განხილულია, როგორ შეიძლება ამ მიზნების ინტეგრირება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობისა და პროექტის მეშვეობით.

ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მცოდნე მოქალაქის აღზრდა

საგნის ფარგლებში შესაძლებელია მოსწავლეთა ჩართვა ისეთ პროექტებში, რომლებიც ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და სიმბოლოებს უკავშირდება. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირების გარემოში შექმნილი ანიმაციები და თამაშები აცოცხლებს საქართველოს ისტორიულ მოვლენებსა და ეროვნულ სიმბოლოებს. მსგავსი აქტივობები

ხელს უწყობს პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍷 Scratch-ში „საქართველოს დროშის“ ანიმაციის შექმნა
- 🍷 პროექტი „გააცანი შენი ქვეყნის გმირები“ (პრეზენტაცია ან ციფრული დოკუმენტი)

ასეთი აქტივობები აერთიანებს პროგრამირებასა და მოქალაქეობრივ განათლებას და აძლიერებს ეროვნული იდენტობის განცდას.

ბ) სახელმწიფო ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდა

კომპიუტერული ტექნოლოგიები ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის. მოსწავლეები ქმნიან საგანმანათლებლო თამაშებს, პრეზენტაციებსა და ციფრულ რესურსებს, რაც მათ ცოდნის გამდიდრებასთან ერთად საკუთარი კულტურული იდენტობის გააზრებაშიც ეხმარება.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍷 Scratch-ში სიტყვათა თამაშის შექმნა (კითხვები ქართულ ენასა და კულტურაზე)
- 🍷 პრეზენტაციების შექმნა თემებზე: ქართული ფოლკლორი, ტრადიციები, მწერლები

ამგვარი დავალებები როგორც ციფრულ, ისე ლინგვისტურ კომპეტენციებსაც ავითარებს.

გ) ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, უნივერსალური ეთიკური პრინციპების მქონე და დამცველი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემელი მოქალაქის აღზრდა

მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს პატრიოტიზმთან, სახელმწიფოებრიობასა და საკაცობრიო იდეალებთან

ვიზუალური პროგრამირება იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა განახორციელონ პროექტები სხვადასხვა ქვეყნის კულტურის შესახებ. ვირტუალური მუზეუმები, ინტერაქციული ისტორიები და ციფრული სტატიები ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების გაცნობას და ურთერთპატივისცემის გაღვივებას.

საგანმანათლებლო თამაშები და ციფრული რესურსები, რომლებიც დემოკრატიის პრინციპებს ასახავს, მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ გაიზრონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა. სხვადასხვა ფორმატის (ვიდეო, პრეზენტაცია, ბუკლეტი) ნამუშევრები აძლიერებს მათ კრიტიკულ და მოქალაქეობრივ ცნობიერებას.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ამსახველი ვირტუალური მუზეუმის შექმნა
- 🍎 ვიკიპედიის სტილის სტატიების მომზადება (Word/ციფრული პლატფორმები)

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 Scratch-ში საგანმანათლებლო თამაშები ტოლერანტობაზე
- 🍎 ვიდეოს, პოსტერის ან ბუკლეტის შექმნა დემოკრატიის პრინციპების შესახებ

ეს აქტივობები ხელს უწყობს მრავალფეროვნების პატივისცემას და გლობალური ცნობიერების ჩამოყალიბებას.

ეს აქტივობები აყალიბებს სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის განცდას.

დ) მშვიდობიანი, ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობი მოქალაქის აღზრდა

გ) ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი და აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი, პროგრესულ სიხანლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არა მხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ინტელექტუალურ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ

გუნდური ციფრული პროექტები (მაგ., ერთობლივი დოკუმენტების შექმნა) ავითარებს თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და სოციალური პასუხისმგებლობის უნარებს. ინკლუზიურობის თემებზე შექმნილი ინტერაქციული ისტორიები ეხმარება მოსწავლეებს თანასწორობისა და ტოლერანტობის მნიშვნელობის გააზრებაში.

ლოგიკური თამაშების, სიმულაციებისა და მონაცემთა ანალიზის გამოყენება მნიშვნელოვნად ავითარებს მოსწავლის აზროვნების უნარს. თანამედროვე ტექნოლოგიების (მაგ., ხელოვნური ინტელექტის) კვლევა ხელს უწყობს ინოვაციური ხედვის ჩამოყალიბებას.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 ჯგუფური მუშაობა (Microsoft 365, Google Docs)
- 🍎 ინკლუზიურობაზე დაფუძნებული ინტერაქციული ისტორიების („როგორ დავეხმაროთ ერთმანეთს“) შექმნა Scratch-ში
- 🍎 ვიკიპედიის ტიპის პროექტები (OneNote)

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 ლოგიკური თამაშებისა და სიმულაციების შექმნა Scratch-ში
- 🍎 მონაცემთა ანალიზი Excel/Google Sheets-ში
- 🍎 თანამედროვე ტექნოლოგიების (AI, 3D ბეჭდვა) კვლევა და პრეზენტაცია

მოსწავლეები სწავლობენ გუნდურობას, პასუხისმგებლობას და სოციალური ურთიერთობების მართვას.

მოსწავლეები არა მხოლოდ მოიხმარენ ტექნოლოგიას, არამედ თავადაც ქმნიან ახალ პროდუქტებს.

ე) დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მცოდნე და დამცველი,

ზ) დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, გაცნობიერებული პერსონალური

**კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტი. მისი ინტეგრირებული და მიზნობრივი გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების განვითარებას, არამედ სრულფასოვანი, პასუხისმგებლობიანი და თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბებასაც.**

გადაწყვეტილებების მიმღები, მოაზროვნე, მაძიებელი, შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის მქონე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტად განმავითარებელი, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, შრომისმოყვარე მოქალაქის აღზრდა

პროექტებზე (მაგ., პერსონალური ბიუჯეტის მართვა, ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვა) დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს რეალური ცხოვრებისთვის ამზადებს. ისინი სწავლობენ ინფორმაციის მოძიებას, ანალიზსა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 ყოველდღიური გრაფიკის მართვის აპლიკაციის შექმნა
- 🍎 პერსონალური ბიუჯეტის დაგეგმვა Excel-ში
- 🍎 ინფორმაციის მოძიება, შეფასება და ანალიზი

ეს უნარები მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად.

თ) ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობით კომუნიკაციის მაღალი კულტურის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება

ბლოგინგი, პრეზენტაციების მომზადება და ციფრული კომუნიკაცია მოსწავლეებს აზრის მკაფიოდ და ეთიკურად გამოხატვას ასწავლის. ეს პროცესები ავითარებს როგორც წერით, ისე ზეპირ კომუნიკაციას.

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 ბლოგის შექმნა და მართვა
- 🍎 პრეზენტაციების მომზადება
- 🍎 ფიზიკური აქტივობების ციფრული ჩანაწერები

მოსწავლეები სწავლობენ აზრის მკაფიოდ, ეთიკურად და პასუხისმგებლობით გამოხატვას.

ი) თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ციფრული მოქალაქეობის უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება

კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კიბერუსაფრთხოება და ონლაინ ეთიკა. მოსწავლეები ქმნიან ციფრულ გზამკვლევებს, სწავლობენ უსაფრთხო ქცევის წესებს და იძენენ უნარებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ციფრულ სამყაროში.



**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 კიბერუსაფრთხოების გიდის შექმნა
- 🍎 ონლაინ ეტიკეტის წესების ჩამოყალიბება
- 🍎 ყალბი ინფორმაციის ამოცნობის პროექტები
- 🍎 Scratch-ში მონაცემთა უსაფრთხოების სიმულაციები

**პრაქტიკული აქტივობები:**

- 🍎 Excel-ში ეკოლოგიური მონაცემების ანალიზი
- 🍎 Scratch-ში კლიმატის ცვლილების სიმულაციები
- 🍎 ქარის ტურბინის მოდელირების პროექტი
- 🍎 პოსტერებისა და ვებგვერდების შექმნა გარემოს დაცვის საკითხებზე

ეს მიმართულება აყალიბებს პასუხისმგებლობიან ციფრულ მოქალაქეს.

კ) გარემოსდაცვითი ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებზე სათანადო რეაგირება და მოქმედება პიროვნული, ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების მიზნების შესაბამისად

ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეები აანალიზებენ ეკოლოგიურ მონაცემებს, ქმნიან სიმულაციებსა და ანიმაციებს კლიმატის ცვლილების შესახებ. ეს აქტივობები ხელს უწყობს გარემოს მიმართ პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეები სწავლობენ გარემოსდაცვითი პრობლემების გააზრებას და მათ გადაწყვეტაზე ფიქრს.

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტია. მისი ინტეგრირებული და მიზნობრივი გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარების განვითარებას, არამედ სრულფასოვანი, პასუხისმგებლობიანი და თანამედროვე მოქალაქის ჩამოყალიბებასაც.





ნოდარ ცაგარეიშვილი

# ხელოვნური ინტელექტი სასწავლო პროცესში

Gemini Gem-ის შესაძლებლობები მასწავლებლისთვის

**Gemini Gem არ არის უბრალო ჩატბოტი. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია წინასწარ „მოამზადოს“, მიანიჭოს კონკრეტული როლი, დაუსახოს მიზანი, მისცეს ინსტრუქცია, მერე კი სისტემატურად გამოიყენოს განმეორებადი ამოცანების გადასაჭრელად, ტესტების შედგენა იქნება ეს, სწავლის სტრატეგიების მორგება, მშობლებთან კომუნიკაცია თუ გაკვეთილის გეგმის შექმნა.**

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემო სულ უფრო მეტად მოითხოვს მასწავლებლისგან არა მხოლოდ საგნობრივ კომპეტენციას, არამედ ციფრული ინსტრუმენტების ოსტატურ გამოყენებასაც. ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება ახალ შესაძლებლობებს ქმნის საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის, სასწავლო მასალების მომზადებისა და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის კუთხით. ამ ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია Google-ის მიერ შემოთავაზებულ Gemini Gem-ს - პერსონალიზებული AI-ასისტენტის შექმნის პლატფორმას, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ააწყოს საკუთარი საგანმანათლებლო ამოცანებისთვის მორგებული ციფრული თანამეშვე.

Gemini Gem არ არის უბრალო ჩატბოტი. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელს შეუძლია წინასწარ „მოამზადოს“, მიანიჭოს კონკრეტული როლი, დაუსახოს მიზანი, მისცეს ინსტრუქცია, მერე კი

სისტემატურად გამოიყენოს განმეორებადი ამოცანების გადასაჭრელად, ტესტების შედგენა იქნება ეს, სწავლის სტრატეგიების მორგება, მშობლებთან კომუნიკაცია თუ გაკვეთილის გეგმის შექმნა. წინამდებარე სტატიის მიზანია, მასწავლებელს გააცნოს Gemini Gem-ის არსი, მისი გამოყენების პირველი ნაბიჯები და ის პრაქტიკული შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მისი ყოველდღიური პედაგოგიური პრაქტიკის ნაწილი გახდეს.

### რა არის GEMINI GEM?

Gemini Gem არის Google-ის Gemini პლატფორმის ფუნქცია, რომელიც ხელმისაწვდომია 2024 წლიდან. ის მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შექმნას საკუთარი, პერსონალიზებული AI-ასისტენტი კონკრეტული ინსტრუქციების, ტონის, როლისა და ამოცანის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ჩვეულებრივ AI-ასისტენტს ყოველ ჯერზე თავიდან ვუხსნით, ვინ ვართ და რა გვინდა, Gemini-ის შემთხვევაში ეს

ინფორმაცია ერთხელ ინახება და ყოველ მომდევნო საუბარში ავტომატურად ამოქმედდება.

Gem-ის შექმნა შესაძლებელია gemini.google.com პლატფორმაზე, Gemini Advanced-ის სააბონენტო გეგმის ფარგლებში, Google Workspace for Education-ის მომხმარებლებისთვის კი წშირად ხელმისაწვდომია სკოლის ელექტრონული ანგარიშის მეშვეობითაც.

### GEM-ის შექმნის პირველი ნაბიჯები

- Gemini Gem-ის შექმნა ტექნიკური ცოდნის გარეშეც არის შესაძლებელი. პროცესი მოიცავს რამდენიმე მარტივ ეტაპს:
  - gemini.google.com-ზე შესვლა და მარცხენა პანელში „Gems“ მენიუს გახსნა;
  - „New Gem“ ლილაკზე დაჭერა და ახალი ასისტენტის შექმნის დაწყება;
  - Gem-ისთვის სახელის მინიჭება (მაგ., „ჩემი გაკვეთილის დამგეგმავი“ ან „ენის ასისტენტი“);

- ინსტრუქციის (System Prompt) შეყვანა – ეს Gem-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია: აქ ვუხსნით, ვინ არის, რა ამოცანები აქვს და როგორი ტონით უნდა მოგვმართოს ჩვენ;
- „Save“ ლილავით შენახვა და პირველი სასაუბრო ტესტი.

10 პრაქტიკული Gem მასწავლებლისთვის: ქვემოთ წარმოდგენილია 10 Gem, რომელთა გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა პედაგოგიური საქმიანობის კონტექსტში. თითოეული Gem-ისთვის მოცემულია სახელი, გამოყენების სიტუაცია და სრული ინსტრუქცია, რომელიც პირდაპირ შეიძლება გამოყენებულ იქნეს Gemini-ს System Prompt-ის ველში.

**Gem 1 – დღის დამგეგმავი (Daily Planner)**

გამოიყენეთ, როდესაც სამუშაო დღე ქაოსურია და არ იცით, საიდან დაიწყეთ. ეს Gem ეხმარება მასწავლებელს ყოველდღიური ვალდებულებების პრიორიტეტიზაციაში.

Gem-ის სახელი: Daily Planner / დღის დამგეგმავი ინსტრუქცია (System Prompt):

```
You are my personal planning assistant.
Whenever I give you my tasks, deadlines, unfinished work,
ideas, or worries, organize everything into a realistic
plan.
Always separate the tasks into:
1. urgent tasks that must happen today
2. important tasks I should schedule
3. quick wins I can finish in under 15 minutes
4. things I should delegate, delay, or ignore
5. the one task that matters most
Then create a simple time-blocked plan for the day.
Do not overload the schedule. Leave room for breaks and
unexpected problems.
If I give you too much work, tell me what to cut.
```

**Gem 2 – პერსონალური რეპეტიტორი (Personal Tutor)**

გამოიყენეთ, როდესაც სწავლობთ ახალ საგნობრივ

თემას ან ემზადებით სასწავლო მასალის ახსნისთვის. ასევე სასარგებლოა, როდესაც მოსწავლეს უჭირს კონკრეტული ცნების გაგება.

Gem-ის სახელი: Personal Tutor / პერსონალური რეპეტიტორი ინსტრუქცია (System Prompt):

```
You are a patient personal tutor.
Whenever I give you a topic, teach it in this order:
1. explain the big picture in simple language
2. break it into the key concepts
3. explain each concept with a real-life example
4. give me an analogy for the hardest part
5. tell me the common mistake beginners make
6. ask me 5 questions to test my understanding
7. based on my answers, tell me exactly what to review next
Adjust the difficulty based on my level.
Do not only summarize the topic. Your job is to make sure I
actually understand it.
```

**Gem 3 – კვლევის ანალიტიკოსი (Research Analyst)**

გამოიყენეთ, როდესაც გჭირდებათ კონკრეტული თემის სწრაფი, სტრუქტურირებული კვლევა ახალი სასწავლო პროგრამის გაცნობისას, ინკლუზიური მეთოდების შესწავლისას ან საგნობრივი სიახლეების გაანალიზებისას.

Gem-ის სახელი: Research Analyst / კვლევის ანალიტიკოსი ინსტრუქცია (System Prompt):

```
You are my research analyst.
Whenever I give you a topic, help me understand it clearly
and turn the research into action.
Always give me:
1. a simple overview
2. the most important facts
3. the strongest arguments on each side
4. what is confirmed versus uncertain
5. the most useful insights
6. what I should investigate next
7. a short action checklist
Avoid filler. Explain complicated ideas in plain English.
When the topic requires current information, tell me what
should be verified with reliable sources before I act on it.
```

**Gem 4 – წერილების რედაქტორი (Message Rewriter)**

გამოიყენეთ მნიშვნელოვანი ელექტრონული წერილის, მშობლისთვის განკუთვნილი შეტყობინების ან ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის გაგზავნამდე. ეს Gem წერილს ნათელს, ბუნებრივსა და კომპეტენტურს ხდის.

Gem-ის სახელი: Message Rewriter / წერილების რედაქტორი ინსტრუქცია (System Prompt):

```
You are my communication editor.
Whenever I paste a message, rewrite it so it sounds clear,
confident, natural, and human.
Give me 3 versions:
1. warm and friendly
2. professional and direct
3. short and casual
Keep the original meaning, but remove unnecessary words and
awkward phrasing.
Do not make the message sound robotic, overly formal, or
passive-aggressive.
After the rewrites, tell me which version fits the situation
best and why.
If the message is unclear, ask me who I am sending it to and
what outcome I want.
```

**Gem 5 – გადაწყვეტილების მრჩეველი (Decision Coach)**

გამოიყენეთ, როდესაც ორ სასწავლო მეთოდს შორის ირჩევთ, ახალ ციფრულ ინსტრუმენტს აფასებთ ან პროფესიულ გადაწყვეტილებას იღებთ.

Gem-ის სახელი: Decision Coach / გადაწყვეტილების მრჩეველი ინსტრუქცია (System Prompt):

You are my brutally honest decision advisor. Whenever I give you a decision, compare the options using:

1. upside
2. downside
3. hidden cost
4. time required
5. money required
6. risk
7. long-term value
8. what I may be ignoring

Then give me your honest recommendation. Do not hide behind a neutral answer just to sound balanced. Tell me which option you would choose, why you would choose it, and what could change the recommendation. If I am missing important context, ask me the minimum number of questions needed before answering.

You are my sales and negotiation coach. Whenever I give you an offer, pitch, or conversation, help me prepare for the hardest version of the situation. Always analyze:

1. what the other person probably wants
2. what they may be worried about
3. the objections they are likely to raise
4. the weakest part of my pitch
5. the clearest way to explain the value
6. calm replies to each objection
7. the best next question to ask

Then roleplay the conversation with me. Do not make the buyer too easy. Push back realistically so I can practice properly.

**Gem 6 – კონტენტის სტრატეგი (Content Strategist)**

გამოიყენეთ, თუ ქმნით საგანმანათლებლო კონტენტს სოციალური მედიისთვის, სკოლის ბლოგისთვის ან mastavlebeli.ge-სთვის. Gem გეხმარებათ, იდეები ნამდვილად გამოსაყენებელ მასალად გადაიყვანოთ.

Gem-ის სახელი: Content Strategist / კონტენტის სტრატეგი ინსტრუქცია (System Prompt):

You are my content strategist. Whenever I give you a topic, product, service, or business, turn it into useful content ideas people would actually care about.

For each request, give me:

1. the audience pain point
2. the strongest angle
3. 10 hooks
4. 5 post ideas
5. 3 short video ideas
6. the best format for each idea
7. a clear CTA

Write in simple, human language. Avoid generic motivational content, empty hype, and robotic hooks. Focus on specific problems, useful outcomes, curiosity, and ideas people would want to save or share.

**Gem 7 – გაყიდვების შესახებ მოლაპარაკების მწვრთნელი (Sales Coach)**

გამოიყენეთ მშობლებთან, ადმინისტრაციასთან ან კოლეგებთან რთული საუბრის, ახალი ინიციატივის წარდგენის ან ბიუჯეტის მოთხოვნის მომზადებისას.

Gem-ის სახელი: Sales Coach / მოლაპარაკების მწვრთნელი ინსტრუქცია (System Prompt):

**Gem 8 – სამუშაო პროცესის შემქმნელი (Workflow Builder)**

გამოიყენეთ, თუ ერთი და იგივე ამოცანა – გაკვეთილის გეგმის შედგენა, შეფასების მომზადება, ყოველკვირეული ანგარიში – რეგულარულად მეორდება. Gem ქმნის განმეორებად სქემას, რომელიც ნებისმიერი კოლეგისთვის გასაგები იქნება.

Gem-ის სახელი: Workflow Builder / სამუშაო პროცესის შემქმნელი ინსტრუქცია (System Prompt):

You are an operations expert. Whenever I describe a task I repeat regularly, turn it into a simple repeatable workflow.

Create:

1. the goal of the process
2. the information needed before starting
3. the step-by-step workflow
4. the tools needed
5. what can be automated
6. what can be delegated
7. the mistakes to avoid
8. a final quality checklist

Keep the workflow simple enough that another person could follow it without asking me questions. If the process is too complicated, simplify it before adding more tools.

**Gem 9 – ჩანაწერების გარდაქმნელი (Notes-to-Action)**

გამოიყენეთ შეხვედრის, ვებინარის, კურსის ან ბრენინგ-ტორმინგის შემდეგ. Gem ქაოსურ ჩანაწერებს სტრუქტურირებულ სამოქმედო გეგმად გარდაქმნის.

Gem-ის სახელი: Notes-to-Action / ჩანაწერების

**გარდამქმნელი ინსტრუქცია (System Prompt):**

You are my notes and action plan assistant. Whenever I give you notes, organize them into:

1. the main issues
2. the most useful insights
3. decisions that were made
4. unanswered questions
5. tasks that need action
6. deadlines and priorities
7. a simple checklist

If the notes come from a course, video, or article, separate what is interesting from what is actually useful. Do not only summarize. Turn the information into something I can use immediately.

**Gem 10 – პირადი მეორე ტვინი (Second Brain)**

გამოიყენეთ როგორც მთავარი Gem, რომელიც ყველა

დანარჩენს აერთიანებს. ეს არის თქვენი ციფრული ცოდნის საცავი, რომელიც იდეებს, გამოცდილებას, გაკვეთილებს, პედაგოგიურ გადაწყვეტილებებს ერთ ადგილას, სტრუქტურირებულად უყრის თავს.

Gem-ის სახელი: Second Brain / პირადი მეორე ტვინი ინსტრუქცია (System Prompt):

```

You are my personal knowledge assistant.
Your job is to help me organize, connect, and reuse my
ideas, lessons, decisions, and recurring workflows.
Whenever I give you information, classify it as:
1. idea
2. lesson
3. decision
4. task
5. workflow
6. reference
7. question to revisit later
Then tell me:
1. what the information means
2. where it belongs
3. what it connects to
4. how I can use it
5. the next action, if any
Keep everything clear and structured.
Do not let useful information disappear inside a long chat.

```

## Gem, ისევე როგორც

### ნებისმიერი სხვა

### AI-ინსტრუმენტი,

### ეფექტურია მხოლოდ

### მაშინ, როდესაც

### გამოიყენება

### შეგნებულად,

### კრიტიკული შეფასებით

### და მასწავლებლის

### პედაგოგიური ხედვის

### ჩარჩოში.

## რისთვის

### არ გამოდგება GEM?

მნიშვნელოვანია, რომ Gem-ის გამოყენებასთან ერთად მასწავლებელი ინარჩუნებს კრიტიკულ და შემოქმედებით როლს. Gem ვერ ჩაანაცვლებს:

- 🍌 მასწავლებლის პიროვნულ კავშირს მოსწავლეებთან;
- 🍌 სიტუაციაზე მომენტალური, ემოციური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარს;
- 🍌 მასწავლებლის პროფესიულ განსჯასა და საგნობრივ ექსპერტიზას;
- 🍌 AI-ს მიერ შექმნილი მასალის კრიტიკულ გადამოწმებას და კლასის კონკრეტულ საჭიროებებთან ადაპტაციას.

Gem, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა AI-ინსტრუმენტი, ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოიყენება შეგნებულად, კრიტიკული შეფასებით და მასწავლებლის პედაგოგიური ხედვის ჩარჩოში.

Gemini Gem წარმოადგენს პრაქტიკულ და ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია

ინტეგრირდეს ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობაში. მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს არა AI-ს, როგორც ყოვლისმცოდნე იარაღის ექსპლუატაციაში, არამედ სისტემური, პერსონალიზებული ასისტენტის შექმნაში, რომელიც ადაპტირებულია ამა თუ იმ მასწავლებლის კონკრეტულ კონტექსტსა და საჭიროებებთან.

ამ სტატიაში წარმოდგენილი 10 Gem, დღის დამგეგმავიდან პერსონალური ცოდნის საცავამდე, არ წარმოადგენს ამომწურავ სიას. ეს არის საწყისი წერტილი, რომელსაც მასწავლებელი მოარგებს საკუთარ კონტექსტს, კლასს, საგანსა და სასკოლო გარემოს. Gem-ის ინსტრუქცია შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს. ეს არის ცოცხალი, ადაპტირებადი ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებელთან ერთად იზრდება.

ციფრული ინსტრუმენტების სწრაფი განვითარების ეპოქაში პროფესიული წინსვლა სულ უფრო მეტად მოითხოვს მათ შეგნებულ ათვისებას. პირველი Gem-ის შექმნა შეიძლება ყველაზე მარტივი ამოცანით დაიწყოს, მაგალითად, ერთი კვირის გაცვეთილების გეგმის სქემის შემუშავებით. ხშირად სწორედ ეს პირველი ნაბიჯია გარდამტეხი: მასწავლებელი ხვდება, რამდენი დრო შეიძლება გამოთავისუფლდეს ადმინისტრაციული ამოცანებისგან და მიიმართოს მოსწავლეებთან პირდაპირ, ცოცხალი ინტერაქციისკენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Google. Gemini Apps Help: Create and use Gems. Google LLC. 2024 <https://support.google.com/gemini/answer/14800160>
2. Bender, E. M., Gebru, T., McMillan-Major, A., Shmitchell, S.: On the Dangers of Stochastic Parrots: Can Language Models Be Too Big? Proceedings of the 2021 ACM Conference on Fairness, Accountability, and Transparency, 610-623. 2021
3. Selwyn, N. Should Robots Replace Teachers? AI and the Future of Education. Polity Press. 2019
4. UNESCO. Guidance for generative AI in education and research. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization. 2023 <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000386693>
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ციფრული კომპეტენციების ჩარჩო მასწავლებლებისთვის. 2023 <https://tpdc.ge>





ლელა ედგვერაძე

# დროის დაზოგვა თუ სწავლების ხარისხი?

როგორ არ დავაზარალოთ ჯგუფური მუშაობის შედეგები

**ჯგუფებში მუშაობა მიზნობრივი პროცესია და მისი შედეგები არ შემოიფარგლება კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესრულებით. სწავლების ორგანიზების ამ ფორმის გამოყენების უმთავრესი სარგებელია ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა სოციალური ურთიერთთანამშრომლობა, თვითეფექტიანობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და შემოქმედებითობა.**

მცირე ჯგუფებში მუშაობის ორგანიზება: დროის მენეჯმენტსა და ხარისხს შორის ბალანსის პრობლემა.

მცირე ჯგუფებში მუშაობის პრაქტიკა ბოლო წლების განმავლობაში სკოლებში ფართოდ იწვევება, თუმცა მასწავლებლები ხშირად საუბრობენ გამოწვევებზე, რომლებიც სწავლების ორგანიზების ამ ფორმის გამოყენებას ახლავს თან. ისინი აღნიშნავენ, რომ მცირე ჯგუფებში მუშაობა ბევრ დროს მოითხოვს, მოსწავლეთა გადანაწილება იწვევს ხმაურსა და არეულობას, ვერ ესწრება ნამუშევრების წარდგენა, ჯგუფებში მოსწავლეთა ჩართულობა არათანაბარია, დავალებას ძირითადად ლიდერი მოსწავლეები ასრულებენ, ჭირს, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ ასპექტის გაკონტროლება, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება დაპირისპირება მოსწავლეებს/ჯგუფებს შორის და ა. შ.

ზოგი მასწავლებელი ამ გამოწვევებთან გამკლავებას სწავლების ორგანიზების ამ ფორმაზე უარის თქმასაც კი ამჯობინებს (ასეთი შემთხვევები გამოვლინდა ჩემს პირად პრაქტიკაში, მასწავლებლებთან ინდივიდუალური ქოუჩინგის პროცესში), უმეტესობა კი ცდილობს, მიმართოს სხვადასხვა ხერხს. თუმცა პრობლემის გადაჭრის გზის შერჩევა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ჯგუფური მუშაობის რომელიმე ასპექტში ცვლილების შეტანა ხშირად იწვევს გვერდით ეფექტს, რომელიც ამცირებს ჯგუფებში მუშაობის სარგებელს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი ზიანიც მოაქვს. სტატიაში განვიხილავთ, როგორ შეიძლება დასწავლოს დროის დაზოგვის მიზნით განხორ-

ცილებულმა ცვლილებებმა სწავლა-სწავლების ხარისხი ჯგუფური მუშაობის დროს.

ჯგუფური მუშაობის მთავარ სირთულედ მასწავლებლები მიიჩნევენ დროის ფაქტორს, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტს მოიცავს:

- ჯგუფების ორგანიზებისთვის საჭირო დრო;
- ინსტრუქციების მიღებისა და სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო დრო;
- დავალების წარდგენისთვის განკუთვნილი დრო;
- უკუკავშირისთვის განკუთვნილი დრო.

იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი კომპონენტი მნიშვნელოვანია და მათი სრულფასოვნად განხორციელება აუცილებელია კონკრეტული აქტივობის სასწავლო შედეგებისა თუ, საზოგადოდ, ჯგუფური მუშაობის მიზნების მისაღწევად, დროის დაზოგვის ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ზარალდება სასწავლო პროცესის ეფექტიანობა.

მაგალითად, დროის დაზოგვისა და ჯგუფების ორგანიზებასთან დაკავშირებული არეულობის თავიდან აცილების მიზნით მასწავლებელი ირჩევს მარტივ გამოსავალს – მოსწავლეებს აჯგუფებს ადგილის მიხედვით. კონკრეტული მიზანი მიღწეულია – არ იხარჯება დრო ჯგუფების შემადგენლობის განსაზღვრის, ადგილების ცვლისა და ავეჯის გადაადგილებისთვის. ცალკეულ შემთხვევებში ეს მისაღებია, თუმცა ჯგუფებში განაწილების ამ პრინციპის მუდმივი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

როცა ჯგუფების შემადგენლობა სტაბილურია და გაცვეთილიდან გაცვეთილამდე არ იცვლება:

- ❶ მცირდება სხვადასხვა უნარის, გამოცდილებისა და მზაობის მქონე მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა;
- ❷ თითოეული მოსწავლის სოციალური როლი იძენს სტაბილურობას: როგორც წესი, ყალიბდება მუდმივი ლიდერები და პასიური წევრები;
- ❸ ჯგუფის შიგნით ურთიერთქმედების მყარი მოდელების ჩამოყალიბება აფერხებს მოსწავლეთა შესაძლებლობების სრულფასოვან რეალიზებასა და სოციალური უნარების განვითარებას;
- ❹ დისკუსიის ხარისხი ეცემა, ფაქტობრივად, იკარგება ჯგუფებში მუშაობის პოზიტიური ეფექტი, რომელიც აუცილებელია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის;
- ❺ მყარი ჯგუფების არსებობა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოშობს დაპირისპირებას სხვა ჯგუფებთან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მცირე ჯგუფებში მუშაობის მიზანია ჯანსაღი ურთიერთთანამშრომლობის გარემოს შექმნა, მოსწავლეთა სოციალური და საკომუნიკაციო უნარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ამკარა ხდება: მიუხედავად იმისა, რომ ადგილების მიხედვით რეგულარულად დაჯგუფება განსაზღვრული სირთულის დაძლევის მარტივ გზას წარმოადგენს, ის საგრძნობლად ამცირებს მცირე ჯგუფებში მუშაობის პოზიტიურ შედეგებს. კონტრპროდუქტიულიც კია. ამიტომ მას შეიძლება მივმართოთ იშვიათად, ცალკეულ შემთხვევებში, როცა მიზნობრივად ვზოგავთ დროს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებისთვის (პრეზენტაციისთვის, უკუკავშირისთვის და სხვ.).

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ, განურჩევლად დაჯგუფების პრინციპისა, საზოგადოდ, მიუღებელია ისეთი ჯგუფების შექმნა, რომელთა შემადგენლობა მუდამ ერთი და იგივეა. ადგილების მიხედვით დაჯგუფება წარმოშობს გამოწვევებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყალიბდება სტაბილურად ერთნაირი შემადგენლობის ჯგუფები, რომლებიც მცირე დახურულ სოციუმს ქმნიან საკუთარი იერარქიითა და როლების განაწილებით. მცირე ჯგუფებში მუშაობის ორგანიზების დროს აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ მიზანშეწო-

ნილია ჯგუფების დაკომპლექტების სხვადასხვა პრინციპის გამოყენება (შემთხვევითი შერჩევა, განსხვავებული უნარების მიხედვით მიზნობრივი დაჯგუფება, ინტერესების მიხედვით დაჯგუფება, მოსწავლეთა დაჯგუფება სურვილის მიხედვით...). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ დაჯგუფების ყოველი პრინციპის მიზნობრიობა და თანხლები სირთულეები. რომელიმე პრინციპის დომინირება საგრძნობლად ამცირებს ჯგუფური მუშაობის სარგებელს და სერიოზულ გამოწვევებს ბადებს.

პრაქტიკაში გვხვდება დროის დაზოგვის მიზნით პრეზენტაციის უფლების შეზღუდვა. ზოგჯერ მასწავლებელი ყველა ჯგუფს არ აძლევს შესრულებული დავალების წარდგენის საშუალებას. სასწავლო პროცესში ეს შეზღუდვა შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს:

- ❶ ყველა ჯგუფს ეძლევა ერთი და იგივე დავალება;
- ❷ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული დავალებები;
- ❸ პრეზენტაციის საშუალება ეძლევა მხოლოდ იმ ჯგუფს, რომელმაც პირველმა დაასრულა დავალება;
- ❹ ჯგუფი დავალებას წარუდგენს მხოლოდ მასწავლებელს, დანარჩენები აგრძელებენ მუშაობას ან
- ❺ სხვა ჯგუფები წყვეტენ მუშაობას და უსმენენ პრეზენტაციას, რის გამოც მათი დავალება დაუსრულებელი რჩება.
- ❻ ჯგუფს პრეზენტაციის საშუალება ეძლევა შემთხვევითი არჩევანის პრინციპის გამოყენებით, მას შემდეგ, რაც ყველა დაასრულებს მუშაობას. ამ დროს შესაძლებელია, დავალება წარადგინოს ერთზე მეტმა ჯგუფმა.

ამკარაა, რომ ყველა შემთხვევაში დარღვეულია თანასწორობის პრინციპი. მოსწავლეები, რომლებსაც არ მიეცათ შესრულებული დავალების წარდგენის შესაძლებლობა, ემოციურად ზარალდებიან. რაოდენ სიფრთხილეს მოითხოვს ასეთი მიდგომის გამოყენება, ამას ცხადყოფს ამგვარ პრაქტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების ფაქტები, რომელთა შესახებაც მასწავლებლები საუბრობენ.

აცნობიერებენ რა პრობლემის სიმწვავეს, მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეთა ემოციური ზიანის შემცირებას, სთხოვენ მათ შესრულებული

**მცირე ჯგუფებში მუშაობის ორგანიზების დროს აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ მიზანშეწონილია ჯგუფების დაკომპლექტების სხვადასხვა პრინციპის გამოყენება (შემთხვევითი შერჩევა, განსხვავებული უნარების მიხედვით მიზნობრივი დაჯგუფება.**

დავალების დატოვებას და ჰპირდებიან, რომ მიაწვდიან უკუკავშირს. ასეთი ტაქტიკა გარკვეულწილად ამცირებს დაძაბულობას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების სრულფასოვან დაცვას.

პროცესის ეფექტი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის კონკრეტულ მიმდინარეობაზე. შესრულებული დავალების წარდგენის უფლებების შეზღუდვა ნაკლებად დამაზარალებელია, როცა ყველა ჯგუფი ერთსა და იმავე დავალებზე მუშაობს, დავალების დასრულების შესაძლებლობა ეძლევა ყველა ჯგუფს და პრეზენტაციისთვის შეირჩევა ერთი ჯგუფი შემთხვევითობის პრინციპით, ხოლო სხვა ჯგუფების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან უკუკავშირის პროცესში. ამ გზით მათ გარკვეულწილად ეძლევათ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის საშუალება. მართალია, ეს ვერ ცვლის სრულფასოვან პრეზენტაციას, მაგრამ მეთოდურად სწორად წარმართული პროცესი, ფაქტობრივად, ანეიტრალებს უარყოფით ეფექტს. იგივე შედეგი არ მიიღწევა მაშინ, როცა ჯგუფები სხვადასხვა დავალებას ასრულებენ. ამ დროს უკუკავშირში მონაწილეობა ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური აქტივობაა და არა ჯგუფში მუშაობის შედეგის დემონსტრირება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევებს, როცა პრეზენტაციას მხოლოდ ერთი ჯგუფი წარადგენს, ხოლო დანარჩენებს არათუ პრეზენტაციის, არამედ სამუშაოს დასრულების შესაძლებლობაც კი არ ეძლევათ. ზოგიერთი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომა საგნებით გამართლებულია იმ შემთხვევებში, როცა ჯგუფები ერთსა და იმავე დავალებას ასრულებენ, რადგან საბოლოოდ ყველა იღებს საჭირო ინფორმაციას. თუმცა ეს მოსწავლეებს უკუკავშირში მონაწილეობის შესაძლებლობასაც უზღუდავს და საბოლოოდ აუფასურებს მათ მიერ გაღებულ ძალისხმევას, მოსწავლეები იმედგაცრუებულნი რჩებიან და კარგავენ მოტივაციას. ამდენად, ვერ ვიღებთ ეფექტს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს გადაწონის. ამ მიდგომის გამოყენება მით უმეტეს მიუღებელია მაშინ, როცა ჯგუფებს განსხვავებული დავალებები აქვთ.

პროცესის შეფასებისას არანაკლებ საყურადღებოა, რამდენად ღირებულია თავად შესასრულებელი დავალებები კონკრეტული სასწავლო ამოცანების კონტექსტში. როცა ისინი ემსახურებიან

სასწავლო შინაარსის სხვადასხვა კომპონენტის, სხვადასხვა ასპექტის დამუშავებას (მაგალითად, ტექსტის დამუშავების შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს ავალებს, შეავსონ: 1. ამბის რუკა; 2. პერსონაჟის რუკა; 3. პრობლემის გადაჭრის სქემა; 4. ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა საკვანძო ლექსიკურ ერთეულებზე), აუცილებელი ხდება ყველა ჯგუფის ნამუშევრის წარდგენა და შესაბამისი უკუკავშირის გაცემა. მნიშვნელოვანია, უკუკავშირში აქტიურად ჩაერთონ სხვა ჯგუფის მოსწავლეებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება კონკრეტული მასალის სრულფასოვნად გააზრება და შეჯამება.

- უკუკავშირი კიდევ ერთი კომპონენტია, რომელიც დროის ფაქტორის გამო ხშირად სათანადოდ არ ხორციელდება:
- წარდგენილი ნამუშევარი ხშირად ფასდება ნაჩქარევი, ფორმალური კომენტარით, რომელშიც არ არის გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები, გაუმჯობესების გზები;
- უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მიზნობრივი სკაფოლდინგის ნაცვლად ხდება პირდაპირი შესწორება;
- უკუკავშირის პროცესში არ არიან ჩართული სხვა ჯგუფების წარმომადგენლები;
- ჯგუფები, რომლებსაც არ მიეცათ დავალების წარდგენის შესაძლებლობა, ვერ იღებენ უკუკავშირს;
- კლასი ვერ ისმენს ცალკეული ჯგუფებისთვის მიწოდებულ უკუკავშირს;
- არ მახვილდება ყურადღება ჯგუფში მუშაობის პროცესის შეფასებაზე;
- ზოგჯერ უკუკავშირი საერთოდ არ მიეწოდება.

რა თქმა უნდა, არაეფექტური უკუკავშირი, მით უმეტეს – მისი არარსებობა, სასწავლო პროცესს საგრძნობლად აზარალებს. ამ კომპონენტის მიზნობრივი განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნებისმიერი სასწავლო მიზნის მისაღწევად. ჯგუფებში მუშაობის დროს არ არის საკმარისი შესრულებული დავალების შინაარსის შესახებ მიწოდებული უკუკავშირი – უმნიშვნელოვანესია, შეფასდეს თავად მუშაობის პროცესი, ყურადღება მიექცეს ურთიერთთანამშრომლობის ხარისხს, თითოეული მოსწავლის წვლილს საერთო სამუშაოს შესრულებაში. ამ პროცესში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა თვითრეფლექსიასა და ურთიერთშეფასებას,



რომელიც ჯგუფური მუშაობის რუბრიკის კრიტერიუმებს ეფუძნება. სასურველია, მასწავლებელი მუშაობის პროცესს აკვირდებოდეს ამავე კრიტერიუმებზე დაფუძნებული დაკვირვების ფურცლის მეშვეობით და მიღებულ ინფორმაციას მიზნობრივად იყენებდეს მოსწავლეთა თვითრეფლექსიისა და ურთიერთშეფასების დროს, ითვალისწინებდეს შემდგომში ჯგუფური მუშაობის დაგეგმვისთვისაც.

ყველა ზემოთ განხილული გამოწვევის დაძლევა პროცესის გონივრულად დაგეგმვა-განხორციელებას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯგუფებში მუშაობა მიზნობრივი პროცესია და მისი შედეგები არ შემოიფარგლება კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესრულებით. სწავლების ორგანიზების ამ ფორმის გამოყენების უმთავრესი სარგებელია ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა სოციალური ურთიერთთანამშრომლობა, თვითრეფლექტიანობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და შემოქმედებითობა. სათანადო შედეგების მისაღწევად კი მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის ყველა კომპონენტის სრულფასოვნების შენარჩუნება.

იმისთვის, რომ დროის დაზოგვამ ხარისხის გაუარესება არ გამოიწვიოს, რეკომენდებულია პროცესის ოპტიმიზაცია მხოლოდ ეფექტური მენეჯმენტის ხარჯზე:

- 🍎 მკაფიოდ განსაზღვრეთ დავალებების მოცულობა და სირთულე, მათი შესრულებისთვის საჭირო დრო.
- 🍎 ლაკონურად და სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბეთ ინსტრუქცია:

- 🍎 გამოკვეთეთ დავალების შესრულების ეტაპები;
- 🍎 განსაზღვრეთ მოსწავლეთა როლები: ფასილიტატორი, იდეების ჩამწერი, საპრეზენტაციო ფორმატის გამფორმებელი, დროის მაკონტროლებელი...

როლების მინიჭება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის მიერ, ისე შემთხვევითობის პრინციპითაც (მაგ., ფერადი ბარათების, ნომრების გამოყენებით);

- 🍎 გადაეცით თითოეულ ჯგუფს ინსტრუქციები წერილობითაც.
- 🍎 წინასწარ მოამზადეთ თითოეული დავალებისთვის საჭირო რესურსი;
- 🍎 გამოიყენეთ ტაიმერი, რომელსაც მოსწავლეები ხედავენ; მუდმივად აკონტროლეთ მუშაობის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ მიზნობრივ სკაფოლდინგს. ამ გზით დაეხმარებით მოსწავლეებს დავალების შესრულებისთვის საჭირო დროის შემცირებაში.
- 🍎 ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრეთ, რამდენად გყოფნით დრო დაგეგმილი ჯგუფური მუშაობისთვის. თუ არ გაქვთ პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის საკმარისი დრო, მიზანშეწონილი იქნება, ჯგუფებში მუშაობა სხვა აქტივობით ჩაანაცვლოთ.





მარიტა ჩერქეზიშვილი

# PASSIVE VOICE-ის სწავლება

**ტრადიციული  
მეთოდოლოგია,  
რომელიც უმთავრესად  
წინადადებების  
მექანიკურ  
ტრანსფორმაციასა  
და აქტიურიდან  
პასიურში გადაყვანის  
მშრალ ფორმულებზეა  
ორიენტირებული,  
ხშირად მარცხდება.  
მოსწავლეები  
სწავლობენ წესს,  
მაგრამ ვერ ხვდებიან  
მის ფუნქციურ  
საჭიროებას.**

თანამედროვე უცხოური ენის სწავლების მთავარი გამოწვევა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ, ფუნქციურ უნარებად ქცევაა. მეათე კლასის ენობრივ დონეზე (B1/B2) მოსწავლეები უკვე კარგად ფლობენ საბაზისო გრამატიკულ სტრუქტურებს, თუმცა მათ წინაშე ახალი ბარიერი აღიმართება: ათვისება აკადემიური და ოფიციალური სტილისა, რომელშიც ვნებით გვარს (Passive Voice) ცენტრალური ადგილი უკავია.

ტრადიციული მეთოდოლოგია, რომელიც უმთავრესად წინადადებების მექანიკურ ტრანსფორმაციასა და აქტიურიდან პასიურში გადაყვანის მშრალ ფორმულებზეა ორიენტირებული, ხშირად მარცხდება. მოსწავლეები სწავლობენ წესს, მაგრამ ვერ ხვდებიან მის ფუნქციურ საჭიროებას – რატომ უნდა თქვან „*The window was broken*“ (ფანჯარა გატყდა), როცა შეუძლიათ თქვან „*Someone broke the window*“? შედეგად მათი წერითი თუ ზეპირი მეტყველება არაბუნებრივად და ერთფეროვნად უღერს.

ვნებითი გვარის აქტუალობა მხოლოდ გრამატიკული

წესების ცოდნაში როდი მდგომარეობს; ის მოსწავლეს ასწავლის აქცენტების სწორად დასმას, ინფორმაციით მანიპულირებას, დიპლომატიურ კომუნიკაციას (როცა, მაგალითად, დამნაშავეს ვინაობის დაფარვა გვსურს) და ობიექტური, მეცნიერული ტექსტების კონსტრუირებას. სწორედ ამიტომ ამ თემის სწავლებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონტექსტუალიზაცია – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ პასიური კონსტრუქცია რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების აღწერის ხელსაწყოა.

სწორედ ამ მიზნით მეათე კლასში ჩავატარე კომპლექსური გაკვეთილი, რომელზეც გრამატიკული სტრუქტურების ათვისება ინტერაქციული თამაშის – „ჯაშუშის ანგარიშის“ (Spy Report) დახმარებით მოხდა.

## გაკვეთილის მიზნები და შეფასების კრიტერიუმები

გაკვეთილის დაგეგმვისას უმთავრესი იყო ნათელი და მიღწევადი მიზნების დასახვა.

● მოსწავლეები შეძლებენ მოქმედებით და ვნებით გვარებს შორის სტრუქტურული განსხვავებების იდენტიფიცირებას; სხვადასხვა დროში (Present, Past, Future) ვნებითი გვარის ფორმულების (be + V+II participle) სწორად გამოყენებას წერილობითი და ზეპირი ფორმით.

● როლური თამაშების კონტექსტში მოსწავლეები შეძლებენ, გააცნობიერონ ვნებითი გვარის პრაგმატული ფუნქცია (მაგალითად, როდის არის მნიშვნელოვანი ყურადღების გადატანა ობიექტზე, მოქმედი პირის ვინაობის დამალვა ან ოფიციალური/დიპლომატიური ტონის შენარჩუნება).

● ჯგუფური მუშაობის პროცესში მოსწავლეები განივითარებენ გუნდური მუშაობის, როლების განაწილების, სხვისი აზრის მოსმენისა და საერთო გადაწყვეტილების მიღების უნარებს შეზღუდულ დროში.

მოსწავლეთა პროგრესის ობიექტურად შესაფასებლად

გამოვიყენე წინასწარ შემუშავებული რუბრიკა, რომელიც აფასებდა ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა გრამატიკული სიზუსტე, სტილებრივი რეგისტრი, თანამშრომლობა და როლური სიმულაცია, სინთეზი და რეფლექსია.

### გაკვეთილის მსვლელობა

იმისთვის, რომ გრამატიკული სტრუქტურა მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოს ფურცლებზე დაბეჭდილ წესებზე არ დარჩენილიყო, გადავწყვიტე, გაკვეთილზე კომუნიკაციური მეთოდოლოგია, კერძოდ, როლური თამაში (Role-playing) გამოვიყენებინა. როლური თამაში საშუალებას აძლევს მეთავეკლასელს, მოირგოს კონკრეტული სოციალური როლი, ჩაერთოს სიმულაციურ რეალობაში და გრამატიკა გამოიყენოს არა მიზნად, არამედ მიზნის მიღწევის საშუალებად.

როლურმა თამაშებმა გაკვეთილზე შექმნა ბუნებრივი საჭიროება იმისა, რომ აქცენტი მოქმედი პირიდან (Subject) თავად მოქმედებაზე ან ობიექტზე (Object) გადატანილიყო. კლასი დაიყო მცირე ჯგუფებად და თითოეულ მათგანს გადაეცა სპეციალური სცენარი, რომელშიც წარმატებული კომუნიკაცია პირდაპირ იყო დამოკიდებული ვნებითი გვარის სწორ და მიზანმიმართულ გამოყენებაზე.

### გაკვეთილის გეგმის სტრუქტურა

**აქტივობა 1: გონებრივი იერიში და წესის ერთობლივი „აღმოჩენა“.** როლურ თამაშზე გადასვლამდე

აუცილებელი იყო, მოსწავლეებს გაეგოთ ვნებითი გვარის არა მხოლოდ ფორმა, არამედ ფუნქციური დანიშნულებაც. ნაცვლად ტრადიციული ლექციური ტიპის ახსნისა, გამოვიყენე ინდუქციური სწავლების მეთოდი (Guided Discovery). დავსვი სამი კითხვა, რომლებმაც ბიძგი მისცა დისკუსიას:

1. **When do we use the passive voice instead of the active voice? (როდის ვიყენებთ ვნებით გვარს აქტიურის ნაცვლად?)**
2. **What is the golden formula for passive voice? (რა არის ვნებითი გვარის „ოქროს ფორმულა“?)**
3. **What happens to the verb „to be“ when we change tenses? (რა ემართება ზმნას „to be“ დროის ცვლილებისას?)**

**აქტივობა 2: „დროის დეტექტივები“ – ინტერაქციული კლასიფიკაცია დაფაზე.** მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა „ოქროს ფორმულა“ აღმოაჩინეს, საჭირო იყო თეორიული ცოდნის პრაქტიკული განმტკიცება. ამისთვის გამოვიყენე ინტერაქციული, კინესთეტიკური მეთოდი. დაფაზე წინასწარ მქონდა გაკრული სხვადასხვა გრამატიკული დროის აღმნიშვნელი ბარათები (მაგალითად: *Present Simple, Past Simple, Future Simple* და ა.შ.). მოსწავლეებს დავურთვე ფერად ბარათებზე დაწერილი ვნებითი გვარის წინადადებები (რომლებიც თემატურად უკავშირდებოდა მომავალ როლურ თამაშს).

თითოეულ მოსწავლეს ან წყვილს უნდა გაეანალიზებინა თავისი წინადადება, დაფასთან მისულიყო და შესაბამისი დროის გრაფაზე მიეკრა.

**აქტივობა 3: ვიზუალური კონსოლიდაცია და სტრუქტურის გაფორმება.** ინტერაქციული და კინესთეტიკური სავარჯიშოების შემდეგ, როდესაც მოსწავლეებმა უკვე პრაქტიკულად გამოცადეს დროების კლასიფიკაცია, საჭირო გახდა მიღებული გამოცდილების სისტემატიზაცია. ამ მიზნით კლასს წარვუდგინე მულტიმედიაური პრეზენტაცია (PowerPoint Presentation), რომელიც მიზნად ისახავდა აქტიური და ვნებითი გვარების სტრუქტურულ ვიზუალიზაციას. პრეზენტაცია არ იყო დატვირთული მშრალი, აკადემიური ტექსტებით; ნაცვლად ამისა, აქცენტი დაისვა ვიზუალურ გრამატიკაზე (Visual Grammar).

**აქტივობა 4: მართული პრაქტიკა წყვილებში – ინტერაქციული ქვიზი.** ვიზუალური პრეზენტაციისა და სტრუქტურის გაზრების შემდეგ, უშუალოდ კომპლექსურ როლურ თამაშზე გადასვლამდე, აუცილებელი იყო იმის შემოწმება, რამდენად კარგად აითვისა თითოეულმა მოსწავლემ მიღებული მასალა. ამ მიზნით გაკვეთილის შემდეგი ფაზა დავუთმე წყვილებში მუშაობას (Pair Work) სპეციალურად მომზადებული ქვიზის გამოყენებით. მოსწავლეები მუშაობდნენ



პრაქტიკულად დაენახათ, როგორ იცვლება ტექსტის სტილი და რეგისტრი ვნები-თი გვარის გამოყენებით.

თავდაპირველად კლასი ფერადი ბარათების პრინციპით ორ პირობით ჯგუფად გაიყო: „Active“ და „Passive“. ორივე მათგანს გადაეცა ერთი და იგივე „ნელი“ ინფორმაცია – აქტიურ გვარში დაწერილი წინადადებების სერია, რომელიც აღწერდა საიდუმლო ინციდენტს:

Group A: Science Laboratory Incident Report (ანგარიში სამეცნიერო ლაბორატორიაში მომხდარი ინციდენტის

ტესტზე, რომელიც მოიცავდა როგორც ზმნის აქტიური ფორმის პასიურში გადაყვანას (Transformation), ისე არასწორად ფორმულირებულ წინადადებებში გრამატიკული შეცდომების პოვნასა და გასწორებას (Error Correction).

**აქტივობა 5: კულმინაციური ჯგუფური მუშაობა – „ჯაშუშის ანგარიში“.** გაკვეთილის ფინალური და ყველაზე შემოქმედებითი ეტაპი დაეთმო კომპლექსურ ჯგუფურ დავალებას, სახელწოდებით „ჯაშუშის ანგარიში“ („The Spy Report“). ამ აქტივობის მიზანი იყო, მოსწავლეებს



**შესახებ).** ამ ჯგუფის მოსწავლეებმა მოირგეს მკვლევარების, ლაბორატორიის თანამშრომლების როლი. მათ მეცნიერული ენით უნდა აღეწერათ, რა მოხდა ექსპერიმენტის დროს, როდესაც ნივთიერებები აირია ან ინვენტარი დაზიანდა. აქტიური წინადადებები მათ გარდაქმნეს მკაცრ, ობიექტურ, მეცნიერულ ვნებითი გვარის კონსტრუქციებად. ამით მოსწავლეებმა დაინახეს, რომ სამეცნიერო სფეროში მნიშვნელოვანია არა ის, ვინ დააშავა, არამედ თავად ფაქტის ზუსტი აღწერა.

**Group B: Visual Arts Studio Incident Report (ანგარიში ვიზუალური ხელოვნების სტუდიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ).** მეორე ჯგუფმა ხელოვნების სტუდიის კურატორებისა და მხატვრების როლი მოირგო. მათ საგამოფენო სივრცეში მომხდარი გაუგებრობის ან ნახატების დაზიანების აღწერა უნდა წარედგინათ დირექტორისთვის. ყოველდღიური აქტიური ფორმების ნაცვლად მათ გამოიყენეს დახვეწილი პროფესიული რეგისტრი. ეს სცენარი მოსწავლეებს იმის დანახვაში დაეხმარა, როგორ გამოიყენება ვნებითი გვარი ხელოვნებისა და მენეჯმენტის სფეროში დიპლომატიური კომუნიკაციისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვისიმე პირდაპირი დადანაშაულება.

ჯგუფების წინაშე დაისვა კონკრეტული როლური ამოცანა: მათ ეს აქტიური წინადადებები, რომლებიც

ბიც „ჭორების დონეზე“ გადმოგვცემდა ამბავს, უნდა ექციათ ერთიან ისტორიად და წარედგინათ სკოლის დირექტორისთვის. მთავარი პირობა იყო ის, რომ ანგარიში უნდა ყოფილიყო არა ემოციური, არამედ **მაქსიმალურად აკადემიური, ოფიციალური და დიპლომატიური.**

ამ აქტივობამ ბრწყინვალედ უპასუხა გაკვეთილის დასაწყისში დასმულ კითხვას: „როდის ვიყენებთ ვნებით გვარს?“ მოსწავლეებმა პრაქტიკაში იგრძნეს ენობრივი რეგისტრის ცვლილება – როგორ იქცევა ყოველდღიური საუბარი ოფიციალურად გრამატიკული სტრუქტურის შეცვლით. როლურმა სიტუაციამ (დირექტორის წინაშე წარდგომა) გაზარდა მათი მოტივაცია, ხოლო დაფაზე წინასწარ მიკრული დროების ბათეები და პრეზენტაციის სლაიდები მათთვის საუკეთესო დახმარებ რესურსი (Scaffolding) აღმოჩნდა.

**აქტივობა 6: რეფლექსია და შეჯამება ვენის დიაგრამის გამოყენებით.** ჯგუფური პრეზენტაციებისა და ანგარიშების წარდგენის შემდეგ გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი დავუთმე მოსწავლეთა მეტაკოგნიტიური უნარების გააქტიურებას. მასალის საბოლოო სისტემატიზაციისთვის კლასს შევთავაზე, **ვენის დიაგრამაზე (Venn Diagram)** გრაფიკულად გამოეკვეთათ მსგავსებები და განსხვავებები აქტიურ (Active) და ვნებით (Passive) გვარებს შორის.

დამოუკიდებელი მსჯელობის შედეგად მოსწავლეებმა დიაგრამა შემდეგნაირად შეავსეს:

**განსხვავებები (Active Voice):** აქცენტი დაისმის მოქმედ პირზე (Subject/Doer); უღერს უფრო დინამიურად, პირდაპირად და ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ, არაფორმალურ მეტყველებაში.

**განსხვავებები (Passive Voice):** აქცენტი გადატანილია მოქმედების ობიექტზე ან თავად ფაქტზე; მოქმედი პირი შეიძლება საერთოდ უცნობი იყოს; უღერს ოფიციალურად, აკადემიურად და გამოიყენება დიპლომატიური ან სამეცნიერო კონტექსტის შესაქმნელად.

**მსგავსებები (The Overlap):** მიუხედავად სტრუქტურული სხვაობისა, ორივე გვარი გადმოსცემს ერთსა და იმავე ძირითად შინაარსსა და მოვლენას; ორივეში გამოიყენება ზმნის დროები. რაც მთავარია, ორივე ფორმა თანაბრად მნიშვნელოვანია სრულფასოვანი, მრავალფეროვანი ინგლისური მეტყველებისთვის.

### დასკვნა და მასწავლებლის რეფლექსია

გაკვეთილის ფინალურმა ფაზამ, ვენის დიაგრამის შევსებამ, აჩვენა, რომ მეათეკლასელებმა არა მხოლოდ მექანიკურად აითვისეს გრამატიკული ფორმულა, არამედ სიღრმისეულადც გააანალიზეს აქტიური და ვნებითი გვარების სტილისტიკური და პრაგმატული ღირებულება. მათ დაინახეს, რომ ენა არის არა მხოლოდ წესების ერთობლი-

**ჯგუფური მუშაობის პროცესში მოსწავლეები განივითარებენ გუნდური მუშაობის, როლების განაწილების, სხვისი აზრის მოსმენისა და საერთო გადაწყვეტილების მიღების უნარებს მეზღუდულ დროში.**

ობა, არამედ ინსტრუმენტი, რომელიც კონტექსტის მიხედვით უნდა ვცვალოთ.

**დანართი N1**  
**შეფასების რუბრიკა**

მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებისას წინასწარ შემუშავებულმა 10-ქულიანმა რუბრიკამ ორმხრივი ფუნქცია შეასრულა:

1. მოსწავლეებისთვის ის იყო მკაფიო გზამკვლევი იმისა, რა კრიტერიუმებით ფასდებოდა მათი აკადემიური ტონი, გრამატიკა და გუნდურობა.
2. მე როგორც მასწავლებელს მან მოცემულ მომენტშივე (Real-time feedback) დამანახა თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რამაც სუბიექტური შეფასება გამოიწვია.

**საშინაო დაგვლება:** საკითხის ცოდნის განსამტკიცებლად და თეორიიდან წერილობით პრაქტიკაზე გადასასვლელად მოსწავლეებს მიეცათ ინდივიდუალური საშინაო დაგვლება. მათ უნდა აერჩიათ ერთ-ერთი ვარიანტი:

**ვარიანტი ა (Science Track):** დაეწერათ მოკლე ლაბორატორიული ანგარიში (Lab Report) ქიმიის ან ფიზიკის მათ მიერ ჩატარებული ნებისმიერი რეალური ექსპერიმენტის შესახებ, რომელშიც გამოიყენებდნენ ვნებითი გვარის მინიმუმ 5 კონსტრუქციას.

**ვარიანტი ბ (Art Track):** დაეწერათ საგამოფენო სივრცის მოკლე მიმოხილვა ან კრიტიკა (Art Exhibition Review), რომელშიც ყურადღებას გაამახვილებდნენ იმაზე, როგორ იყო წარმოდგენილი, განათებული ან განლაგებული ექსპონატები სტუდიაში.



კრიტერიუმები	მაღალი (9-10 ქულა)	საშუალოზე მაღალი (7-8 ქულა)	საშუალო (5-6 ქულა)	დაბალი (1-4 ქულა)
გრამატიკული სიზუსტე („ოქროს ფორმულა“)	ვნებითი გვარის ფორმულა (be + V_3) გამოყენებულია უშეცდომოდ. დროები და ზმნის ფორმები სრულად შეთანხმებულია ყველა წინადადებაში.	ზმნის ფორმებში დაშვებულია მცირე, არასისტემური შეცდომები (მაგ., არაწესიერი ზმნის მესამე ფორმა), რომლებიც აზრს არ ცვლის.	ვლინდება სისტემური შეცდომები დამხმარე ზმნის „to be“ შერჩევაში ან მთავარი ზმნის წარმოებაში. დარღვეულია დროში შეთანხმება.	მოსწავლე ვერ ახერხებს ელემენტარული პასიური კონსტრუქციების აგებას. ტექსტი საცვა უხეში გრამატიკული შეცდომებით.
სტილისტიკური რეგისტრი (აქტიურიდან პასიურში)	„ნედლი“ აქტიური წინადადებები წარმატებით არის გარდაქმნილი აკადემიურ, ოფიციალურ და დიპლომატიურ ანგარიშად, რომელიც შეესატყვისება დირექტორთან კომუნიკაციას.	წინადადებების უმეტესობა სწორად არის ტრანსფორმირებული; შენარჩუნებულია ოფიციალური ტონი, თუმცა ტექსტში მაინც იპარება რამდენიმე არაფორმალური ელემენტი.	ჯგუფს უჭირს აკადემიური სტილის შენარჩუნება; საბოლოო ანგარიში უფრო ყოველდღიურ საუბარს ჰგავს, ვიდრე ოფიციალურ დოკუმენტს.	სტილისტისური ცვლილება საერთოდ არ ფიქსირდება. საბოლოო პროდუქტი დარჩენილია არაფორმალურ რეგისტრში, მოქმედების/ობიექტის წინ მოწვევის გარეშე.
თანამშრომლობა და როლური სიმულაცია	გამოვლენილია სამაგალითო გუნდურობა ლაბორატორიის/ხელოვნების სტუდიის სცენარებში. როლები მკაფიოდაა განაწილებული და ყველა წევრი თანაბრადაა ჩართული.	ჯგუფი მუშაობს შეთანხმებულად. წევრების უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს ისტორიის შექმნასა და საერთო როლების რეპეტიციაში.	გუნდურობა სუსტია. დავალების მომზადებისას მიდრეკილია მხოლოდ ერთი ან ორი მოსწავლე, ხოლო დანარჩენები პასიურები არიან.	ჯგუფური მუშაობა მთლიანად ჩავარდნილია. გუნდის წევრებს შორის არ შეინიშნება არავითარი კოორდინაცია ან ეფექტური კომუნიკაცია.
სინთეზი და რეფლექსია (ვენის დიაგრამა)	ვლინდება ღრმა მეტაკოგნიტიური უნარები. ვენის დიაგრამაში მკაფიოდ და სიღრმისეულად არის ჩამოყალიბებული ორივე გვარის სტრუქტურული მსგავსებები და პრაგმატული განსხვავებები.	დიაგრამა სწორად არის შევსებული; ძირითადი გადაკვეთი და განმასხვავებელი ნიშნები იდენტიფიცირებულია, თუმცა აკლია მცირე დეტალები.	ვენის დიაგრამა შევსებულია ნაწილობრივ ან მასში შეტანილია ზედაპირული დავკვირვებები (მაგ., ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ წინადადების სივრცეზე).	მოსწავლე საერთოდ ვერ ახერხებს აქტიურ და ვნებით გვარებს შორის არსებით მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვას.



ნატო ქობულაძე

# აღმზრდელ-პედაგოგი – ემოციების არქიტექტორი

ადრეული ბავშვობა ადამიანის განვითარების ის გადაწყვეტი ეტაპია, როდესაც საფუძველი ეყრება კოგნიტიურ, სოციალურ და ემოციურ უნარებს. თანამედროვე პედაგოგია აღიარებს, რომ სწავლა ემოციების, მოტივაციისა და შემეცნების დინამიკური ურთიერთქმედების შედეგია, სადაც ემოციური მდგომარეობა განსაზღვრავს ინფორმაციის გადაამუშავების ეფექტურობას.

## რა არის ემოციური რეგულაცია და რატომ არის ის პრიორიტეტული?

ემოციური რეგულაცია არის ბავშვის უნარი, ამოიცნოს საკუთარი ემოციები, მართოს მათი ინტენსივობა და აირჩიოს გარემოსთვის შესაფერისი ქცევა. კვლევები ადასტურებს, რომ ეს უნარი კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც სოციალური ურთიერთობებისთვის, ასევე მომავალი აკადემიური წარმატებისთვის. ბავშვები, რომლებიც უკეთესად არეგულირებენ საკუთარ ქცევას, უფრო პროსოციალური არიან და თანატოლებს შორის პოპულარობით სარგებლობენ.

3-დან 6 წლამდე ასაკში ბავშვის თვითრეგულაციის უნარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ იგი დიდწილად დამოკიდებულია უფროსის მხარდაჭერაზე, რასაც კო-რეგულაცია ეწოდება. ბავშვები ემოციების მართვას უფროსებზე დაკვირვებით სწავლობენ. აღმზრდელ-პედაგოგის ქცევა, ემოციების გამოხატვის ფორმა და კომუნიკაციის სტილი ბავშვისთვის სოციალური ქცევის მოდელად იქცევა და ბავშვით თანდათან ითვისებს მსგავს ქცევით მოდელს. მაგალითად, უფროსისგან ასეთი ფრაზის მოსმენა – „ახლა ცოტა გავბრაზდი, ამიტომ რამდენიმე ღრმა ჩასუნთქვა მჭირდება“ – ბავშვს აჩვენებს, რომ ძლიერი ემოციების მართვა შესაძლებელია.

მნიშვნელოვანია სოციალური უნარების განვითარება თამაშით ისწავლებოდეს. თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევაა. სოციალური კომპეტენციების გასავითარებლად რეკომენდებულია შემდეგი თამაშები:

- 🍎 **თამაში „იპოვე ემოცია“:** მასწავლებელი აღწერს სიტუაციას (მაგ.: „გატყდა შენი საყვარელი სათამაშო“), ბავშვები კი ირჩევენ შესაბამის ბარათს;
- 🍎 **სარკის თამაში:** ბავშვები წყვილებში იმეორებენ ერთმანეთის სახის გამომეტყველებას, რაც ემპათიის განვითარებას უწყობს ხელს;
- 🍎 **როლური თამაშები:** პერსონაჟების ემოციების განსახიერება ეხმარება ბავშვს სხვისი პერსპექტივის გაგებაში.

მნიშვნელოვანია, აღმზრდელ-პედაგოგებმა გამოიყენონ პრაქტიკული სტრატეგიები და ტექნიკები ბავშვებში ბრაზის მართვისა და თვითრეგულაციის უნარების გასავითარებლად. გთავაზობთ პრაქტიკულ სტრატეგიებს ბრაზის მართვისა და თვითრეგულაციისთვის:

1. **ემოციის სახელდება („მე ვხედავ, რომ...“):** როდესაც ბავშვი აღელვებულია, მასწავლებელი უნდა შეეცადოს მისი მდგომარეობის ვერბალიზებას. მაგალითად: „ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ, რადგან სათამაშო წაგართვეს“. ეს ზრდის თვითცნობიერებას, რის შედეგადაც ავტომატურად მცირდება ემოციის ინტენსივობა.
2. **ვიზუალური ინსტრუმენტი – „ემოციური თერმომეტრი“:** ეს ეხმარება ბავშვს საკუთარი მდგომარეობის განსაზღვრაში ფერების მიხედვით:  
**მწვანე ან ლურჯი:** მშვიდი – მზად არის სათამაშოდ;  
**ყვითელი:** აღელვებული – სჭირდება პაუზა ან ღრმა სუნთქვა;  
**წითელი:** გაბრაზებული – სჭირდება „დამშვიდების კუთხე“.
3. **„კუს ტექნიკა“ (Turtle Technique):** ბრაზის მართვის ეფექტური მეთოდი, რომელიც ასწავლის ბავშვს შეჩერებას, საკუთარ თავში ჩაღრმავებას („ბაკანში“ დამალვას), ღრმად სუნთქვას და პრობლემის გადაჭრის გზებზე ფიქრს.
4. **დამშვიდების კუთხე (Calm Corner):** სპეციალურად მოწყობილი სივრცე ბალიშებით, რბილი სათამაშოებით, სენსორული ბოთლებითა და სუნთქვის ბარათებით, სადაც ბავშვს შეუძლია განმარტოება თვითრეგულაციისთვის.

**ემოციის სახელდება: რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?**



- დაარქვით ემოციას სახელი როდესაც უფროსი ეუბნება ბავშვს: „ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ, რადგან სათამაშო წაგართვა“, ეს ავტომატურად ასწავრებს ემოციის ინტენსივობას და ზრდის ბავშვის თვითნებობას.
- „რატომ არიხე ეს ემოცია?“ კითხვების დასმა ეხმარება ბავშვს ემოციური ლექსის გამოყენებაში და საკუთარი მნიშვნელოვანი შეფასებების უკეთ გახსენებაში.

**ბრაზის მართვის „კუს ტექნიკა“**

**ნაბიჯი 1:** შეჩერდი! შეჩერდი და იგრძენი შენი სხეული ანაწევლად ბავშვს ამოიციონ ბრაზის ფიზიკური სიმპტომები (მაგალითად: შეშუპების შეკერვა) და ფრთხილად შეჩერდი.

**ნაბიჯი 2:** დაიძლიერე კაკინი! დაიძლიერე საკუთარ თავში ბავშვი წარმოიგენს, რომ კუხავით ბაკინი იშლება, რაც აძლევს მას ფრის ემოციის დასაშვებულად.

**ნაბიჯი 3:** ნიხონქე! ღმრთავ იხუნთქე ღრმა სუნთქვა ეხმარება სხეულს „გაგრილებაში“ და დასაბუდების მოხსნაში.

**ნაბიჯი 4:** იფიქრე გამოსავალზე! იპოვე პრობლემის მოგვარების გზა მხოლოდ დამშვიდების შემდეგ არის შესაძლებელი კონსტრუქციული გამოსავალზე ფიქრი.

**„ემოციური თერმომეტრი“**

**ნითული ზონა - გაბრაზებული მჭირდება „დამშვიდების კუთხე“**  
ბრაზის მაღალი ინტენსივობა, რომელიც მოთხოვს გამმარტვებს და თვითრეგულაციის სტრატეგიებს.

**ყვირითი ზონა - აღელვებული მჭირდება პაუზა და სუნთქვა**  
ბრაზის მალალი ინტენსივობა ან მოსუქების ნიშანი, როდესაც ბავშვს სჭირდება დასაბუდა დამშვიდებაში.

**ლურჯი ზონა - მშვიდი**  
მზად ვარ სათამაშოდ და სწავლისთვის ბავშვს თავს კონფორტულად გრძობს და შეეძლება სხვებთან ერთიფრთობა.

**„დამშვიდების კუთხის“ მონაცემი**

**რა უნდა იყოს კუთხეში?**  
რბილი ბალიშები, სათამაშოები, სუნთქვითი ბოლები, სუნთქვის ბარათები და მუსიკა განვითარებისთვის.

**განმარტობის უფლება**  
ეს არის ადგილი, სადაც ბავშვს შეეძლება საკუთარ ემოციებთან მართვად და მას სწორად გამოთავსო.

**უფროსის როლი - ემოციური მოდელი**

იყავით მშვიდი მაგალითი ბავშვები სწავლობენ უფროსებს დაკვირვებით — როგორ მართობენ ემოციებს და როგორ ვინარსებენ სიმშვიდეს სტრუქტურულ სიტუაციებში.

„მე ასეა ცოტა გავბრაზდი, მაგრამ დამშვიდდები“  
საკუთარი ემოციების მოდელირება ეხმარება ბავშვს დაინახოს, რომ ნებისმიერი ემოცია მანძილზეა და მას სწორად გამოთავსო.

5. „მოლაპარაკების ჯოხი“ – ეს ტექნიკა ეხმარება ბავშვებს დიალოგის მართვაში, მოთმინებით ლოდინსა და სხვისი აზრის მოსმენაში. სპეციალური ნივთი (ჯოხი, სათამაშო ან სხვა ნივთი) ნიშნავს „სპიკერის უფლებას“. საუბრობს მხოლოდ ის, ვისაც ეს ნივთი უჭირავს, სხვები კი ყურადღებით უსმენენ.

**ნაბიჯები:**  
**იდენტიფიცირება:** კონფლიქტის დროს ბავშვები იღებენ მოლაპარაკების ჯოხს.

**მონაცვლეობა:** პირველი ბავშვი საუბრობს თავის განცდებზე ან ხედვებზე, ხოლო მეორე უსმენს. საუბრის დასრულების შემდეგ ჯოხი გადაეცემა მეორეს.

**მოსმენის მოდელირება:** მასწავლებელი თავად ახდენს მოდელირებას, თუ როგორ უნდა დაველოდოთ ჯოხის გადმოცემას.  
**შეთანხმება:** ჯოხის მონაცვლეობითი გამოყენება გრძელდება მანამ, სანამ ბავშვები საერთო გამოსავალს არ იპოვიან.

6. „პაუზის ღილაკი“ ტექნიკა (შეჩერდი და დაფიქრდი) ეს მეთოდი მიმართულია იმპულსის კონტროლისა და რეფლექსური აზროვნების განვითარებისკენ. ბავშვები იყენებენ წარმოსახვით ან ფიზიკურ (მაგალითად, მუყაოსგან დამზადებულ) პულტს, რომელზეც გამოსახულია პაუზის სიმბოლო.

**ნაბიჯები:**  
**შეჩერება (Pause):** როდესაც ბავშვი გრძობს, რომ სურვილი აქვს, ჩაიდინოს არასწორი ქმედება (მაგალითად, დარტყმა), ის წარმოსახვით „აჭერს“ პაუზის ღილაკს.

**დაფიქრება:** ბავშვი სვამს კითხვას – რა მოჰყვება მის ამ გადაწყვეტილებას?

**უკან გადახვევა (Rewind):** თუ ბავშვმა უკვე ჩაიდინა არასწორი ქმედება, მასწავლებელი სთავაზობს „უკან გადახვევის“ ღილაკის გამოყენებას და ფიქრს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ბოდა სხვანაირად მოქცეულიყო.

**სწორი არჩევანი:** პაუზის შემდეგ ბავშვი იღებს უფრო გააზრებულ გადაწყვეტილებას.

7. ემოციების სიტყვებით გამოხატვა (ვერბალიზაცია) კონფლიქტის მოსაგვარებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ბავშვმა ისწავლოს გრძობების სიტყვებად ქცევა.

**სტრატეგიები:**  
**ემოციის სახელდება („მე ვხედავ, რომ...“):** მასწავლებელი ეხმარება ბავშვს მდგომარეობის ვერბალიზებაში: „ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ, რადგან სათამაშო წაგართვეს“.

**„მე-შეტყობინებები“:** ბავშვს ვასწავლით საკუთარ თავზე საუბარს: „მე მწყინს, როცა ხელს მკრავ“, ან „მე აღელვებული ვარ, რადგან მინდა, რომ ეს მე მქონდეს“.

**ემოციების ლექსიკონი:** ბავშვებს ვასწავლით ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „იმედგაცრუებული“, „აღტაცებული“, „დაღონებული“.

**მასწავლებელი, როგორც „თარჯიმანი“:** მასწავლებელი განმარტავს ბავშვის ნათქვამს ისე, რომ მეგობარმა მისი ემოცია გაიგოს: „ანა, ლუკას დავეხმარე, ავიხსნას, რატომ ფიქრობს, რომ ეს არ არის სამართლიანი“.

8. კონფლიქტის მოგვარების სივრცე: „მოლაპარაკების მაგიდა“ ჯგუფში უნდა არსებობდეს სპეციალურად მოწყობილი მოლაპარაკების სივრცე, სადაც ზემოაღნიშნული ტექნიკები ერთიანდება. არსებობს მოლაპარაკების მაგიდასთან მოქმედების 5 ძირითადი წესი:

1. ყურადღებით და მოთმინებით ვუსმენთ სხვას და ველოდებით ჩვენს ჯერს;
2. პატივისცემით ვეპყრობით ერთმანეთის აზრს;
3. აზრს გამოთქვამთ გარკვევით, თუმცა ხმადაბლა;
4. მონდომებით ვფიქრობთ პრობლემის გადაჭრის გეგმზე;
5. ვდგებით მხოლოდ მორიგების შემდეგ.

ალმზრდელ-პედაგოგის როლი ამ პროცესში არის არა მზა პასუხების გაცემა, არამედ ფასილიტაცია, რათა ბავშვებმა თავად იპოვონ სამართლიანი გამოსავალი. ბრაზის მართვისა და კონფლიქტების მოგვარებისას სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ, როგორ მივმართავთ ბავშვებს, რა ფრაზებს ვიყენებთ, რომ სწორი მინიშნება მივცეთ მათ. აღნიშნული საკითხის სწორად გადაჭრაში უფროსებს ყველაზე მეტად შესაბამისი ფრაზების გამოყენება ეხმარება. განვიხილოთ ალმზრდელ-პედაგოგის მიერ გამოსაყენებელი ფრაზები:

1. **ფრაზები ბრაზის ან ძლიერი ემოციის დროს ემოციის აღიარება** ბავშვს, პირველ რიგში, სჭირდება განცდა, რომ მისი ემოცია დანახული და მიღებულია.
  - „ვხედავ, რომ ძალიან გაბრაზდი“;
  - „როგორც ჩანს, გეწყინა“;
  - „ვხვდები, რომ ახლა რთული მომენტია შენთვის“;
  - „შენი გაბრაზება ნორმალურია“;
  - „ხანდახან მეც ვბრაზობ“.
- დამშვიდების მხარდაჭერა**
  - „მოდი, ერთად ღრმად ჩავისუნთქოთ“;
  - „როცა მზად იქნები, მომიყვები“;
  - „შეგიძლია, ცოტა ხნით აქ დაისვენო“;

- „მოდი, წყნარად დაცხედით“;
- „მე შენთან ვარ“.

ქცევის საზღვრების მშვიდად დაფიქსირება მნიშვნელოვანია, ბავშვმა გაიგოს, რომ ყველა ემოცია მისაღებია, თუმცა – არა ყველა ქცევა.

- „შეგიძლია გაბრაზდე, მაგრამ დარტყმა არ შეიძლება“;
- „ბრაზი ნორმალურია, სხვას ვუყვიროთ – არა“;
- „სიტყვებით მითხარი, რა გაბრაზებს“;
- „ვერ დავრთავ ნებას, ვინმეს ატყინო“;
- „მოდი ვიპოვოთ უსაფრთხო გზა ბრაზის გამოსახატად“.

**2. ფრაზები კონფლიქტის მოგვარებისას – ორივე მხარის მოსმენა**

- „მინდა, ორივეს მოვისმინოთ“;
  - „ჯერ შენ მოყვივი, მერე შენი მეგობარი მოჰყვება“;
  - „ერთად გავარკვიოთ, რა მოხდა“;
  - „მოდი, ერთმანეთის საუბარს მოვუსმინოთ“.
- ემპათიის განვითარება**
- „როგორ ფიქრობ, შენმა მეგობარმა როგორ იგრძნო თავი?“;
  - „რას იგრძნობდი შენ მის ადგილას?“;
  - „შეგიძლია ისეთი გამოსავალი ვიპოვოთ, რომ ორივე მშვიდად იყოთ?“;
  - „მეგობრის გრძნობებიც მნიშვნელოვანია“.
- პრობლემის ერთობლივი გადაჭრა**
- „რა შეგიძლია ახლა გააკეთოთ?“;
  - „როგორ მოვაგვაროთ ეს ერთად?“;
  - „მოდი, გამოსავალი ერთად მოვიფიქროთ“;
  - „რა დაგეხმარებათ ორივეს, უკეთ რომ იგრძნოთ თავი?“

**3. პოზიტიური ქცევის გაძლიერების ფრაზები**

- „მომეწონა, როგორც გამოიყენე სიტყვები“;
- „შენ შეძლებ დამშვიდებას — ეს ძალიან მნიშვნელოვანია“;
- „მადლობა, რომ მეგობარს მოუსმინე“;
- „ვამაყობ, რომ მშვიდად მოაგვარე პრობლემა“;
- „შენ კარგად გამოხატე შენი გრძნობები“.

**4. ფრაზები თვითრეგულაციის სწავლებისთვის**

- „შეჩერდე და ვიფიქროთ“;
- „რა დაგეხმარება ახლა დამშვიდებაში?“;
- „შეგიძლია ნელა ისუნთქო“;
- „როცა მზად იქნები, ერთად ვისაუბრებთ“;
- „შენ ემოციების მართვა შეგიძლია“.

**5. ფრაზები, რომელთა თავიდან აცილებაც სასურველია**

არაეფექტური და დამთრგუნველი კომუნიკაცია ხშირად ზრდის ბავშვის შფოთვისა და აგრესიას.

**სასურველია არ გამოვიყენოთ:**

- „ნუ ტირი!“;
- „ცუდი ბავშვი ხარ“;
- „არაფერია სანერვიულო“;
- „შეწყვიტე ახლავე!“;
- „შენ ყოველთვის ასე იქცევი“;
- „თუ არ გაჩერდები, დაგსჯი“.

ამ ფრაზების ნაცვლად მნიშვნელოვანია ემპათიური და მხარდამჭერი ფორმულირებების გამოყენება. მაგალითად: ორი ბავშვი კამათობს სათამაშოზე. ერთმა მეორეს ხელი ჰკრა. აღმზრდელ-პედაგოგის შესაძლო რეაგირება:

„ახლა, რომ ორივეს გინდოდათ ეს სათამაშო და გაბრაზდით. ხელი არ უნდა ვკრათ ერთმანეთს. ახლა ერთად მოვიფიქროთ, როგორ ვითამაშოთ ისე, რომ ორივე მშვიდად იყოთ“.

ასეთი მიდგომა ამშვიდებს სიტუაციას და ბავშვს ასწავლის პრობლემის გადაჭრას მშვიდობიანი გზით. სწორედ ამიტომ, აღმზრდელ-პედაგოგის საუბრის ტონი, შერჩეული სიტყვები და რეაგირების ფორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაზე. პოზიტიური, ემპათიური და მხარდამჭერი კომუნიკაცია ხელს უწყობს ბავშვის დამშვიდებას, უსაფრთხოების განცდის შექმნას, ემოციების სიტყვიერად გამოხატვის სწავლას და კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას, რაც ბავშვებში ემოციების რეგულაციის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

**გამოყენებადი ლიტერატურა:**

1. დოლიძე ხ., ბაქრაძე თ., ჯიჯავაძე ნ. (2020). *ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაში (ნაწილი I)*
2. ქუციციძე ე. (2024). *სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება სკოლაში – მხარდამჭერი მიდგომები*
3. Harrington, E. et al. (2020). *Emotion regulation in early childhood*
4. ჯიჯავაძე ნ., კუხალიშვილი თ. (2019). *ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი*. გავროს ბავშვთა ფონდი
5. CASEL ჩარჩო. (2022). *სოციალური და ემოციური სწავლა*
6. Gross & Thompson (2007). *ემოციური რეგულაციის მოდელი*.

**როგორ დავმშვიდდეთ და მოვაგვაროთ კონფლიქტი**

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ემოციების მართვისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პრაქტიკული სტრატეგიები.

**თვითდამშვიდების სტრატეგიები**



**კუს მეთოდი:** შეჩერდი, დაიმალე ბაკანში, ისუნთქე და იფიქრე გამოსავალზე.



**ბუბტი-სუნთქვა:** ნარმოიდვინე, რომ მუცლით ბერავ დიდ ფერად ბუბტს და ნელა უშვებ პაერს.



**კონფლიქტის მოგვარების გზები**




**მოლაპარაკების ვიზი:** მთავარი წესი: საუბრობს მხოლოდ ის, ვისაც ხელში „სპიკერის ვიზი“ უჭირავს.



**შეჩერდი და დაფიქრდი:** გამოიყენე „პაუზის ლილაკი“ და ჰკითხე შენს თავს: სამართლიანია ჩემი არჩევანი?





თეა ვახტანგაძე

# აქტივობები სასწავლო წლის დასასრულისთვის

სასწავლო წლის დასასრული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის ემოციებით სავსე დღეებია: გამოცდები, ბოლო ზარი, შემაჯავებელი ღონისძიებები, ექსკურსიები, სკოლის დამამთავრებელი წვეულებები... მასწავლებლები გაკვეთილის გეგმებიდან ზაფხულის გეგმებზე გადადიან, მოსწავლეები საგულდაგულოდ ინახავენ ჩანთებსა და სასკოლო ნივთებს, მშობლები ფიქრობენ და გეგმავენ, როგორ უზრუნველყონ შვილებისთვის საინტერესო და ნაყოფიერი საზაფხულო არდადეგები. თუმცა ჯერ წინ გამოწვევებით სავსე დღეებია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის ბოლო არ არის უბრალოდ ერთი ეტაპის დასასრული, ეს არის მნიშვნელოვანი გარდამავალი ფაზა, რომელიც აერთიანებს მიღწევებს, გამოცდილებებს, ემოციებსა და ახალი შესაძლებლობების მოლოდინს.

**სასწავლო წლის დასასრული და მასთან დაკავშირებული ღელვა სხვადასხვა საფეხურისთვის განსხვავებულია.** მაგალითად, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ნერვიულობენ მისაღებ გამოცდებზე, სკოლასთან გამოსამშვიდობებელი წვეულების ორგანიზებზე, საშუალო საფეხურის მოსწავლეები – საფეხურის გამოცდაზე, შემაჯავებელ ქულებზე, ასევე მათ უწევთ მეგობრებთან დროებით დამშვიდობება; პატარებისთვის კი, რომლებიც საფეხურს იცვლიან განსაკუთრებით ემოციურია ეს დღეები, ხშირ შემთხვევაში ისინი ემშვიდობებიან მათთვის უკვე ძალიან საყვარელ მასწავლებლებს, იპყრობთ ახალ საფეხურზე გადასვლისა და ახალ პედაგოგებთან შეხვედრის შიში და ღელვა.

სასწავლო წლის ბოლო მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის არის სტრესული, მათთვის დამახასიათებელია გადაჭარბებული ღელვა, გაკვეთილების ჩატარება კი მასწავლებლებისთვის არის ჩვეულებრივზე მეტად რთული, რადგან მოსწავლეებში დაბალია მოტივაცია, ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეები არიან დაღლილი, გაფანტული, უჭირთ კონცენტრაცია. გამოწვევა კლასის მართვა. სხვადასხვა ონლაინგამოკითხვაში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა ნახევარი აღარ ეზოადება გაკვეთილისთვის, ან პირიქით ზედმეტად განიცდიან მოახლოებულ გამოცდებს, შემაჯავებელ ტესტებს, ამ შემთხვევაში მასწავლებლებისგან მათ კიდევ უფრო მეტი მზარდაქტერა სჭირდებათ. პედაგოგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სასწავლო წლის ბოლოს ის უბრალოდ გადაიწვარა.

თუმცა ეს ის პერიოდია, როდესაც დადებითი ემოციებით დამუხტული მოსწავლეები უნდა გააცილონ მასწავლებელმა, რომ ახალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მოტივირებულნი და სწავლის სურვილით ანთებულნი დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს. შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გატარებენ მოსწავლეები ბოლო დღეებს სკოლაში. სხვადასხვა პლატფორმა, ვებგვერდი, იუთუბარხი გეთავაზობს ძალიან ბევრ საინტერესო და სახალისო აქტივობას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სასწავლო წლის ბოლო დღეებში. ეს აქტივობები შესაძლებელია მოვარგოთ სხვადასხვა საფეხურს და ჩვენს საკლასო ოთახს. მოვაწყოთ პირობითად ფერადი კვირა და თითოეული დღე მივუძღვნათ კონკრეტულ აქტივობას. (ცხრილი)

**ექსპერიმენტები** – მასწავლებლები ძალიან ხშირად საგაკვეთილო პროცესისთვის ქმნიან ბევრ საინტერესო აქტივობას, თუმცა მათი განხორციელება შესაძლოა ვერ მოხერხდეს სასწავლო წლის განმავლობაში საგაკვეთილო დროის სიმცირის გამო. შესაძლოა, კურიუზულში არ იძლეოდეს ამის საშუალებას, ან რაიმე სხვა მიზეზი იყოს. ახლა საუკეთესო დროა ექსპერიმენტების ჩასატარებლად, შესაძლებელია ახალი აქტივობების, მეთოდების, რესურსების დატესტვა საკლასო ოთახში, რომლებიც მომდევნო სასწავლო წლისთვის უკვე იქნება გამოცდილი და თავისუფლად შეძლებთ მათ გამოყენებას, ასევე შესაძლებელია კოლეგებისთვის მათი გაზიარება. ამ დროს მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია, იქმნება სახალისო და განსხვავებული სასწავლო გარემო, იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა, მასწავლებლისთვის კი იქმნება შესაძლებლობა ახალი მეთოდებისა და ექსპერიმენტების გამოყენების, იზრდება პროფესიული თავისუფლება.

**განვლილი მასალის შეჯამება** – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომაა, თუმცა კარგია თუ ამას განახლებული მეთოდით განვახორციელებთ. შესაძლებელია მოსწავლეებმა შექმნან პორტოლოები, სადაც ისინი ასახავენ, რა ისწავლეს და რა აქტივობები, პროექტები, მნიშვნელოვანი რესურსები შექმნეს სასწავლო წლის განმავლობაში. ეს მოსწავლეებში ხელს უწყობს თვითრეფლექსიას, ავითარებს პასუხისმგებლობის, თვითშეფასების და ორგანიზების უნარს. მასწავლებელს კი ეხმარება მოსწავლეთა პროგრესისა და ინტერესების უკეთ დანახვაში; მას საშუალება ეძლევა, შეაფასოს არა მხოლოდ შედეგი,

არამედ პროგრესი; ყალიბდება პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, ხელი ეწყობა რეფლექსიას და წარმატებით იგეგმება მომავალი სასწავლო წელი. შესაძლებელია, მოეწყოს პორტფოლიოების შეფასება, სადაც უიურის წევრები თვითონ მოსწავლეები იქნებიან.

**სწავლა საკლასო ოთახის მიღმა** – შესაძლებელია განვლილი მასალიდან რომელიმე თემა გატანილი იქნას საკლასო ოთახის კედლების გარეთ, ისეთ ლოკაციაზე, რომელიც ავთენტურია შერჩეული საკითხისთვის, სადაც კარგად გამოჩნდება თემის კავშირი პრაქტიკულ გარემოსთან. ეს მოსწავლეებში ზრდის მოტივაციას, ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნა გადაიტანოს პრაქტიკაში, დააკავშიროს რეალურ გარემოსთან; ავითარებს დაკვირვების, კვლევის და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს; ქმნის ემოციურ გამოცდილებას, რაც ცოდნის ხანგრძლივად და ეფექტურად დამახსოვრების წინაპირობაა. მასწავლებელს კი საშუალება ეძლევა, სწავლება გახადოს მრავალფეროვანი, ინოვაციური; ხელი ეწყობს ინტერდისციპლინური და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებას; იქმნება შესაძლებლობა, დააკვირდეს მოსწავლეთა უნარებს ბუნებრივ გარემოში, ზრდის სწავლების პროცესის ეფექტურობასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

**შერეული ასაკობრივი ჯგუფები/ თანამშრომლობითი სწავლება** – ძალიან კარგი იქნება თუ სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს ერთად ჩაუტარდებათ ვაკეეთილი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები დავალების მომზადებაში, მსჯელობაში, განხილვაში აქტიურად იქნებიან ჩართულნი. ისინი ერთად იმსჯელებენ თემებზე, ერთად მოამზადებენ პასუხებს კითხვებზე, რაც მოსწავლეებში ავითარებს თანამშრომლობის, კომუნიკაციის უნარს, ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას, ემპათიას, უფროსკლასელებს უფიქრებს ლიდერობის და პასუხისმგებლობის განცდას, უმცროსკლასელებს აძლევს მოტივაციასა და პოზიტიურ მაგალითს, იქმნება თავისუფალი და მხარდაჭერი გარემო, მოსწავლეებში ასევე ვითარდება სოციალური და გუნდური მუშაობის უნარი. მასწავლებლებს კი საშუალება ეძლევათ გამოიყენონ დიფერენცირებული და თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები, რათა ხელი შეუწყონ ერთიანი დამეგობრული სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბებას.






**სახალისო ანონიმური გამოკითხვები** – მოსწავლეებს ამ აქტივობის ფარგლებში შეუძლიათ თავისუფლად, გულწრფელად და შემოქმედებითად გამოხატონ საკუთარი აზრები და ემოციები სასწავლო წლისა და მასწავლებლების აქტივობების შესახებ. გამოკითხვა შესაძლოა მოიცავდეს, როგორც სახალისო ასევე რეფლექსიურ შეკითხვებს. ანონიმური ფორმატი ქმნის უსაფრთხო დამეგობრულ სივრცეს, სადაც თითოეულ მოსწავლეს საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირების საშუალება აქვს. გამოკითხვა შესაძლოა, ჩატარდეს ციფრულად სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით, სახალისოდ გაფორმებული ფურცლებისა და საიდუმლო ყუთის გამოყენებით. ეს აქტივობა აძლიერებს ნდობას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მოსწავლეებში ზრდის გულწრფელობას, თვითგამოხატვას, ჩართულობას და საკუთარი მნიშვნელოვნების გააზრებას, ავითარებს პასუხისმგებლობას სასწავლო გარემოს მიმართ. მასწავლებელი კი უკეთ შეიცნობს მოსწავლეთა




ემოციებსა და საჭიროებებს, იღებს უკუკავშირის სწავლების მეთოდების და აქტივობების შესახებ, რაც ეხმარება მას დაგეგმოს სასწავლო პროცესის, რომის თანხვედრაში იყოს მოსწავლეთა მოლოდინებთან და ამავდროულად ემსახურებოდეს უკეთესი შედეგის მიღებას.

**თამაშების დღე** – შესაძლებელია მოსწავლეებისთვის შეირჩეს ერთი დღე, როცა სასწავლო პროცესი სხვადასხვა საგანმანათლებლო თამაშის გამოყენებით მიმდინარეობს, როგორცაა ქვიზები, როლური აქტივობები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ქვიზები, შემოქმედებითი და ლოგიკური აქტივობები. ეს ზრდის მოტივაციასა და ჩართულობას მოსწავლეებში, ამცირებს სასწავლო სტრესს და დაძაბულობას, ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ავითარებს სწრაფ აზროვნებას, აუმჯობესებს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა და დამახსოვრების ხარისხს, ზრდის თვითდაჯერებულობას. მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სწავლების პროცესი გახადოს მრავალფეროვანი და კრეატიული, ეხმარება მოსწავლეთა ინტერესებისა და უნარების უკეთ დანახვაში, ხელს უწყობს ინოვაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას, ამყარებს პოზიტიურ ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და დინამიკურობას.

**მოსწავლის აკადემიური დიაგრამა** – არის რეფლექსიურ-ანალიტიკური აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ვიზუალურად ასახავენ საკუთარ აკადემიურ პროგრესს სასწავლო წლის განმავლობაში. მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა ფორმატის დიაგრამის, გრაფიკის, სიმბოლოს, ფერისა და შემოქმედებითი ვიზუალური ელემენტის გამოყენებით წარმოაჩინონ თავიანთი მიღწევები. ეს ეხმარება მათ საკუთარი განვითარების ვიზუალიზაციაში, პროგრესის გააზრებასა და საკუთარი მიზნების განსაზღვრაში, ავითარებს ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას. მასწავლებლებსთვის კი ამარტივებს როგორც ინდივიდუალურად მოსწავლის პროგრესის გაანალიზებას, ასევე მთლიანი სასწავლო პროცესის რეფლექსიას.

**შედარებით პატარა ასაკობრივ ჯგუფებში** შესაძლებელია, მოეწყოს სხვადასხვა ნომინაციის დღე, ისე რომ ყოველი მოსწავლე იქნას დაჯილდოებული გამორჩეული უნარის შესაბამისად – მაღლიერების წერილების დღე, ფერების დღე, როცა ყველა მოსწავლე და მასწავლებელიც მათ შორის სკოლაში გამოცხადდება ერთი ფერის სამოსით; სიცილის დღე, როდესაც მოსწავლეები მოჰყვებიან სასაცილო ისტორიებს ნამდვილს და გამოგონებულს. შესაძლებელია, გაცეთდეს მოსწავლის ხე, როგორც ინდივიდუალური (სადაც მოსწავლეები ასახავენ საკუთარ ისტორიას სასწავლო წლის განმავლობაში), ასევე მთლიანი კლასისთვის (როგორც კლასის ქრონიკა, სადაც ასახული იქნება კლასში მომხდარი ცვლილებები, ვინ დატოვა კლასი ან ვინ შემოუერთდა მათ დიდ ოჯახს). აქტივობების ეს ჩამონათვალი არის სახალისო და ემოციური, რაც ხელს უწყობს კლასში პოზიტიური და მხარდაჭერი გარემოს შექმნას, მოსწავლეებში ვითარდება ემოციური ინტელექტი და ემპათია, იზრდება მოტივაცია, ჩართულობა, ასეთ დროს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სწავლების პროცესი იქცევა საინტერესო, პოზიტიურ და დასამახსოვრებელ გამოცდილებად.

<p>ორშაბათი</p>	<p>ექსპერიმენტების დღე</p> 	<p>მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია, ჩართულობა, იქმნება სახალისო და განსხვავებული სასწავლო გარემო ... მასწავლებლებისთვის იქმნება შესაძლებლობა ახალი მეთოდებისა და ექსპერიმენტების გამოყენების, იზრდება პროფესიული თავისუფლება ...</p>
<p>სამშაბათი</p>	<p>მოსწავლეთა პორტფოლიოები</p> 	<p>მოსწავლეებში ხელს უწყობს თვითრეფლექსიას, ავითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, თვითშეფასების და ორგანიზების უნარს ... მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეთა პროგრესის და ინტერესების უკეთ დანახვაში, ხელს უწყობს რეფლექსიას და მომავალი სასწავლო წლის უკეთ დაგეგმვას...</p>
<p>ოთხშაბათი</p>	<p>მოსწავლის აკადემიური დიაგრამა</p> 	<p>მოსწავლეს ეხმარება საკუთარი განვითარების ვიზუალიზაციაში, პროგრესის გაზრდასა და საკუთარი მიზნების განსაზღვრაში, ავითარებს ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას ... მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეთა პროგრესის უკეთ განაწილებაში, ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომას და მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, ამარტივებს სასწავლო პროცესის რეფლექსიას ...</p>
<p>ხუთშაბათი</p>	<p>სწავლა საკლასო ოთახის მიღმა</p> 	<p>მოსწავლეებში ზრდის მოტივაციას, თეორიული ცოდნა გადაიტანოს პრაქტიკაში, ავითარებს დაკვირვების, კვლევის და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, ქმნის ემოციურ გამოცდილებას... მასწავლებელს საშუალება ეძლევა სწავლება გახადოს ინოვაციური, შეუძლია ბუნებრივ გარემოში დააკვირდეს მოსწავლეთა უნარებს, რაც ზრდის სწავლების პროცესის ეფექტურობას და პრაქტიკულ მნიშვნელობას ...</p>
<p>პარასკევი</p>	<p>შერეული ასაკობრივი ჯგუფები / თანამშრომლობითი სწავლება</p> 	<p>მოსწავლეებში ავითარებს თანამშრომლობას, კომუნიკაციის უნარს, ურთიერთპატივისცემას, ემპათიას, ლიდერობას, პასუხისმგებლობას განცდას, იქმნება თავისუფალი და მხარდამჭერი გარემო, ავითარებს სოციალური და გუნდური მუშაობის უნარს... მასწავლებელს საშუალება ეძლევა გამოიყენოს დიფერენცირებული და თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები, იქმნება სასკოლო საზოგადოების ერთიანი და მეგობრული კულტურა...</p>

<p>ორშაბათი</p>	<p>თამაშების დღე</p> 	<p>მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია და ჩართულობა, ამცირებს სასწავლო სტრესს და დაძაბულობას, ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ავითარებს სწრაფ აზროვნებას, ზრდის თავდაჯერებულობას... მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას სწავლება გახადოს მრავალფეროვანი და კრეატიული; ამყარებს პოზიტიურ ურთიერთობას მოსწავლეებთან; ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტურობას და ღირსშესაძლებლობას.</p>
<p>სამშაბათი</p>	<p>სახალისო ანონიმური გამოკითხვები</p> 	<p>მოსწავლეებში ზრდის გულწრფელობასა და თვითგამოხატვის უნარს, ჩართულობას და მნიშვნელოვნების განცდას, ავითარებს პასუხისმგებლობას სასწავლო გარემოს მიმართ... მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა ემოციებს და საჭიროების დროს დახმარებას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ...</p>
<p>ოთხშაბათი</p>	<p>ნომინაციების დღე</p> 	<p>მოსწავლეებში ზრდის თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას, ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, ემპათიას, ეხმარება მათ საკუთარი ძლიერი მხარეების დანახვაში, ამცირებს კონკურენტისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ ფორმებს. ეხმარება მასწავლებელს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობის და უნიკალურობის დანახვაში, ხელს უწყობს უსაფრთხო და მეგობრული საკლასო კულტურის შექმნას.</p>
<p>ხუთშაბათი</p>	<p>ფერების დღე, მასწავლებელი და ყველა მოსწავლე მოდის ერთი ფერის სამოსით</p> 	<p>მოსწავლეებში აძლიერებს კლასის ერთიანობის განცდას, ქმნის პოზიტიურ და მეგობრულ ატმოსფეროს, ზრდის ჩართულობას, თანამშრომლობას და გუნდურობას, იქმნება სასიამოვნო და დასამახსოვრებელი ემოცია. იქმნება თბილი და არაფორმალური გარემო, პოზიტიური, თანამშრომლობითი, რაც ხელს უწყობს კლასის, როგორც ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას და პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავებას.</p>
<p>პარასკევი</p>	<p>ვირტუალური ზაფხული, მოგზაურობა მომავალში და მათ სურვილები ზაფხულთან დაკავშირებით</p> 	<p>მოსწავლეებში ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას, ხელს უწყობს ფანტაზიის და თვითგამოხატვის უნარის განვითარებას, აუზებებს წერით და თხრობას, პრეზენტაციის უნარს, ეხმარება მოსწავლეს ემოციების და სურვილების გამოხატვაში... მასწავლებელს ეხმარება უკეთ დაინახოს, მოსწავლეთა ინტერესები და პიროვნული თვისებები იქმნება შემოქმედებითი და ნაკლებად სტრესული გარემო ...</p>

სასწავლო წლის მიწურული მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის გამოწვევებით სავსე, ემოციური და ხშირად საკმაოდ სტრესული პერიოდია, რაც საგაკვეთილო პროცესში მოტივაციისა და კონცენტრაციის კლებას იწვევს. თუმცა, ეს ეტაპი არ უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ სირთულედ; ის წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდამავალ ფაზას, რომელიც პოზიტიური ემოციებითა და ნაყოფიერი შრომით უნდა დასრულდეს.

ამიზნის მისაღწევად საუკეთესო გამოსავალი სასწავლო წლის ბოლო დღეებში მრავალფეროვანი, სახალისო და ინოვაციური აქტივობების (მაგ. „ფერადი კვირის მოდელი“) ინტეგრირებაა. ისეთი მიდგომები, როგორებიცაა – ექსპერიმენტები, სწავლა საკლასო ოთახის მიღმა, თანამშრომლობითი სწავლება, თამაშები და ანონიმური გამოკითხვები, ორმხრივ სარგებელს ატარებს:

**მოსწავლეებისთვის:** ამცირებს სტრესს, ზრდის მოტივაციას, ხელს უწყობს თვითრეფლექსიას, გუნდურ მუშაობას, ემპათიას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას.

**მასწავლებლებისთვის:** იძლევა პროფესიული თავისუფლებისა და ახალი მეთოდების გამოცდის შესაძლებლობას, ეხმარება მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის უკეთ დანახვასა და მომავალი სასწავლო წლის ეფექტურად დაგეგმვაში.

საბოლოო ჯამში, ტრადიციული საგაკვეთილო ფორმატის შეცვლა შემოქმედებითი და ინტერაქციული აქტივობებით ხელს უწყობს ერთიანი, მეგობრული სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბებას და რთულ, გადაღლილობის პერიოდს გარდაქმნის პოზიტიურ, დასამახსოვრებელ გამოცდილებად.



ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

## წიგნს: „მედიაწიგნიერების გაკვეთილები“



# მედიაწიგნიერების გაკვეთილები



კომუნიკაციების  
კომისია



განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო



